

გიორგი მალაშხია

დიდი ი ლ ი ა

ჰუმანისტი

დემოკრატი



გიორგიმალაშხია

დიდი ილია

ჰუმანისტი

დემოკრატი

თბილისი

2014

Giorgi Malashkhia

GRAND

ILIA

HUMANIST

DEMOCRAT

Tbilisi

2014

ნაშრომში მოცემულია ილია ჭავჭავაძის - დიდი ქართველი მოაზროვნის, მწერლის, ფილოსოფოსის და ეკონომისტის, ისტორიკოსის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, როგორც ჰუმანისტისა და დემოკრატის, პორტრეტის ძირითადი შტრიხების წარმოდგენის მცდელობა თანამედროვე ეპოქის თვალსაწიერიდან.

რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი პაატა კოლუაშვილი

ISBN 978-9941-450-25-9

შინაარსი

წინათქმა.....	6
ილიას სოციალურ - ფილოსოფიური იდეები	9
ზოგადი ასპექტები.....	9
ადამიანი მეტაფასეულობათა სპექტრში.....	31
საზოგადოების ცხოვრების გარდაქმნა ილიას იდეების მიხედვით.....	49
ილიას ეკონომიკური და ინსტიტუციურიკონცეფცია.....	66
დამატება	
ადამიანური ცხოვრების მოდელის ქარგა ილიას იდეების მიხედვით	81

Contents

Foreword.....	6
Socio-philosophicalIdeas Ilya.....	9
General aspects.....	9
The Person in a range of Metavalues.....	31
Transformation of public Life on Ilya's Ideas.....	49
Economic and institutional Concept.....	66
Addition	
Model of human life on Ilya's Ideas.....	81

წინათქმა

დიდი ილიას მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური და მეცნიერული შრომების გაცნობა-შესწავლა მკითხველში უეჭველად გამოიწვევს აღფრთოვანებას, დროის კონსტექტის გათვალისწინებით, მისი შეხედულებების ჰუმანურობის, დემოკრატიულობის გამო. ამ მხრივ იგი წარმოგვიდგება კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეთა - ძველი და რენესანსის ეპოქის ჰუმანიზმის წარმომადგენელთა - ეპიკურეს, რუსთაველის, პეტრარკას, ლეონარდო და ვინჩის, თომას მორის, თომაზო კამპანელას, ევროპელ გამანათლებელთა, გოეთეს, ბაირონის და სხვათა მემკვიდრედ.

დიდი ილიას ნააზრევი ჩემში ახალგაზრდობის წლებიდან ახდენდა შთამაგონებელ გავლენას. იგი მიმაჩნდა ცხოვრების ნამდვილ გზის მანათობელ შუქურად ადამიანებისთვის, საერთოდ, და ყოველი ქართველისთვის, კერძოდ. მიმაჩნია, რომამპროგრესული იდეების შეთვისება და ცხოვრების კრედოდ ქცევა ყველა ეპოქის ადამიანებისთვის არანაკლებ აუცილებელია, ვიდრე ფიზიკური არსებობის საშუალებათა-მატერიალური დოვლათის სიუხვე. სხვანაირადადამიანის, როგორც სოციალური, გონიერიარსების, ცხოვრების აზრი კნინდება.

ამ იდეათა შეთვისება, ჩემი აზრით, დღეისთვის მეტად აქტუალურია, როცა ადამიანები დაბნეულნი არიან ფასეულობათა სამყაროში, განსაკუთრებით მატერიალურის და სულიერის ადგილის, სოციალური ფასეულობის პრიორიტეტის განსაზღვრისას. სავალალოა, რომ არასწორი ფასეულობითი ორიენტაცია, მატერიალური ფასეულობებისთვის უპირატესი, გადაჭარბებული როლის მიკუთვნება დიდად უშლის ხელს არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდუუმებს, არამედ მთლიანად საზოგადოებას ცხოვრების ჭეშმარიტად ადამიანურმოწყობაში, საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, კაცობრიობის ისტორიული ტვირთის - მრავალმანკიერებათა დაძლევაში.

დიდი ილიას მსოფლხედვა, იდეები, კაცობრიობის სხვა დიდ ინტელექტუალურ გიგანტთა მოძღვრებებთან ერთად, უმძლავრესი იარაღია აღნიშნულ მანკიერებათა დაძლევისთვის, ადამიანური ცხოვრების დამკვიდრებისთვის, ყველასა და თითოეულის კეთილდღეობისთვის, კაცთა მოდგმის საუკეთესო იდეალების ხორცშესხმისთვის.

ჩემი დიდი ხნის სურვლი იყო რაიმე სახით გამომეხატა ჩემი დამოკიდებულება დიდი ილიას იდეების მიმართ. მინდა ჩემი დიდი მადლიერება გამოვთქვა პროფესორების - გიორგი გაჩეჩილაძისა და გოჩა კუჭუხიძისადმი, რომელთაც საშუალება მომცეს დიდი ილიასადმი მიძღვნილ ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტის შრომების კრებულში გამომეკვეყნებინა ჩემი აქ წარმოდგენილი ნაშრომი. მასში შევეცადე ჰუმანისტისა და დემოკრატის ამპლუაში წარმომედგინა ჩვენი ერის სასიქადულო მოღვაწე, ერის იდეურ ბელადად აღიარებული დიდი ილია. მე ასევე გავაკეთე მოკრძალებული მცდელობა ილიას იდეების მიხედვით ამეგო საზოგადოების ადამიანური, ანუ ღირსეული, ცხოვ-

რებისპიპოთეზური მოდელი. მაღლიერების გრძობა მინდა გამოვხატო ახალგაზრდა თანამოაზრის ანასტასია გეთაშვილის მიმართ, რომელ-თანაცახალი ადამიანური ცხოვრების მოდელის ირგვლივმსჯელობები ზიბგს მამლედარიგი იდეის შემუშავებისკენ. ცხადია, არა მაქვს პრეტენზიამ ამპლუაში სრულყოფილად წარმოვაჩინო დიდი ილიას პიროვნება. იმედია მრავალი მკვლევარი ამ მიმართულებით შეავსებს მის პორტრეტს, რომ სრულად იქნეს ასახული გენიალური შემოქმედის მოღვაწეობის ეს მხარე.

ილიას სოციალურ - ფილოსოფიური იდეები

ზოგადი ასპექტები

XIX-ის საქართველოს წინაშე უმწვავესად იდგა ისტორიული ამოცანები ეროვნული თვითშემეცნების, საერთო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების სფეროებში. ყოველივე ამისათვის აუცილებელი იყო ერის შემეცნებითი დონის ამაღლება და პრაქტიკული საქმიანობა, ერის წინამძღოლობა. ამ ისტორიულ ვითარებაში ეს მისია ილია ჭავჭავაძეს დაეკისრა, რაც მან წარმატებით შეასრულა.

წარსულის ნებისმიერი მოღვაწის შემოქმედება და საქმიანობა უნდა შეფასდეს როგორც **მისი ეპოქის კონტექსტში, ასევე თანამედროვეობის გადასახედიდან**. სწორედ ამ მიდგომით ვეცდებით გადმოვცეთ ილიას როგორც შემოქმედისა და მოღვაწის, მისი სოციალურ-ფილოსოფიური და ეკონომიკური იდეების დიდი ჰუმანიზმი და დემოკრატიულობა..

განსაცვიფრებლად ფართოა ილიასაზროვნებისა და საქმიანობის არეალი, მდიდარია მისი მხატვრული გემოვნება და ფანტაზია; უშუალო და მახლობელია მისი ცხოვრებისეული სიბრძნე; შტამბექტადვია მისი ჰუმანიზმი და დემოკრატიულობა, უანგარობა

დასისადავე, მოქალაქეობივი პოზიცია.ეოველივე ამის შესახებ ასობით წიგნი, სტატია, ნარკვევია გამოქვეყნებული.¹ სათქმელი და დასაწერი კიდევ ბევრი დარჩა. ეს ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, ახალი კუთხით – **საერთო-საკაცობრიო მეტაფასეულბათა – ზნეობის, სამართლიანობის, თავისუფლების, მშვენიერებისა და სხვ. რაკურსით** წარმოვადგინოთ ილიას ჩვენეული პორტრეტი (ხედვა).

ვფიქრობთ, რომ ყოველი ადამიანის, უფრო შემოქმედის, მოღვაწის შეფასებისა და დაფასების მთავარი კრიტერიუმები (ინდიკატორები) სწორედ მის თვისებებსა და საქმიანობაში **ადამიანურ მეტაფასეულბათა – სიკეთის გამოვლინებებია,საკაცობრიო ფასეულბები, როგორც ორიენტირი, არის ადამიანთა სწორად აზროვნებისა და ცხოვრების, სწორად მოქმედების, სწორი გზით სელის საიმედო გარანტი, შეცდომებისა და ცდუნებების, გადახრებისაგან, სიმრუდეებისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთიგადამწვევტი საფუძეველი, ადამიანთა საერთო კეთილდღეობის, ადამიანთა პირადი ბედნიერების წყარო.** მათგან გადახრილი მოქმედება, ჭეშმარიტებისაგან დაცილება, არასწორი მოქმედებაა, რაც იწვევს მცირე და დიდ დანაკარგებს, ტრაგედიებს ადამიანთა, ხალხების, კაცობრიობის ცხოვრებაში. ვფიქრობთ, მართებულია ასეთი გადახრა განვიხილოთ ადამიანების ცხოვრებაში უპირველეს და უდიდეს ცდომილებად. მას არა მარტო ადამიანთა უვიცობა უდევს საფუძვლად, არამედ მათი მანკიერებანი, რომლებიც დაჰყვათ ადამიანებს დასაბამიდან მათი არასრულყოფილების გამო. ლოგიკა გვკარნახობს ვთქვათ, რომ ცხოვრებაში უკუღმართობათა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ადამიანთა სრულქმნილების, შემეცნების (ცნობიერების), ინტელექტის არასაკმარისი (დაბალი) დონეა. მისგან თავის დაღწევა ისევ ისტორიული პროცესის,

¹მათ შორისაა ილიას სოციალურ-ეკონომიკური და ფილოსოფიური შეხედულებების შესახებ პკლუაშვილის, პ. რატიანის, ვ. გაგოიძის, ტ. სართანის, ვ. კვარაცხელიას, შ. ვეშაპიძისა და სხვათა ნაშრომები.

დროის საქმეა, რაშიც ინტელექტუალურ ელიტას, პროგრესულ, ქარიზმატულ პიროვნებებს მნიშვნელოვანი როლი და ფუნქციები ეკისრებათ.

ილიას დიადი შემოქმედება და მოღვაწეობა საკაცობრიო ფასეულობათა **მნიშვნელობის ადამიანთა ცხოვრებაში, მათი დამკვიდრებისათვის თავგამოდებული რუდუნებაა**. მან დიდი ამაგი დასდო ადამიანთა მიერ ამ ფასეულობათა გაცნობიერებისა და გათავისების, მათი როლის, დანიშნულებისა და მნიშვნელობის ნათელი ყოფის საქმეს. მან ეს გააკეთა მხატვრული სიტყვის, მის მიერ გამოძერწილი და დებოთი (როგორებიც უნდა იყვნენ ადამიანები) თუ უარყოფითი (როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი) სახეების შექმნით, მეცნიერული ლოგიკის ძალით.

ილიას შემოქმედების ყოველ ნიმუშსა და საქმიანობის ყოველ ნაბიჯში ნათლად გამოიხატა მისი ერთგულება **საკაცობრიო ფასეულობებისადმი**, ზრუნვა მათი, როგორც ადამიანთა ცხოვრების, მყარი საყრდენების, თვით ადამიანთა ღირსების კრიტერიუმების (ინდიკატორების) ერთიანი საყოველთაოდ დამკვიდრებისათვის. **ადამიანი, როგორც მეტაფასეულობა** (მთავარი ფასეულობა), სოციალურ კონკრეტული ფასეულობების ერთობლიობის საფუძველზე არსებობს. მისი ღირსებები ამ ფასეულობათაგან იკვრება. ისინი უდევს საფუძვლად ადამიანთა შორის ურთიერთობებს, ადამიანის დამოკიდებულებას გარემოს მიმართ, საერთო ადამიანურ კეთილდღეობას, ბედნიერებას. მათგან გამომდინარეობს ადამიანთა მიზნები, მოქმედება, მათი ხასიათი – ბოროტება თუ სიკეთე.

საკაცობრიო ფუნდამენტურ ფასეულობათა მთელ იერარქიაზე – **ზნობაზე, სამართლიანობაზე, თავისუფლებაზე, მშვენიერებაზე, ჭეშმარიტებაზე და სხვ.** არის დაფუძნებული კაცთმოყვარეობა, ადამიანთა შორის მეგობრობა, თანადგომა და ა.შ. საკაცობრიო ფასეულობები ადამიანური ცხოვრების ბურჯებია. რა ხარისხითაცაა ისინი დამკვიდრებული, იმდენად ბედნიერები არიან ადამიანები,

სასიამოვნო, ღამაში და შინაარსიანია, ადამიანურია ცხოვრება. ამასთან ხაზიუნდა გაესვას ამ ცნებათა **ჭეშმარიტ აზრს**. ისინი არაიშვიათად ყალბადაა გაგებული, გაუცნობიერებლად, ან ისე, როგორც ეს ძლიერთა ამა ქვეყნისა აწყობთ. ხალხს ხშირად აჩვენებენ ფსევდოზნეობას, ფსევდოსამართლიანობას, ყალბ თავისუფლებას, სუროგატ მშვენიერებას და სხვ. ილიას მოძღვრების სიღიადე იმაშია, რომ იგი **ჭეშმარიტ ფასეულობებს** ამკვიდრებს.

კაცთა მოდემის ისტორია რთულია. ფასეულობები, ისევე როგორც მათი ანტიპოდები—ანტიფასეულობები, არსებობს სხვადასხვა ხარისხით. შესაბამისად ისინი ამშვენებს, აკეთილშობილებს ან ამახინჯებს, ამწარებს ცხოვრებას. მსჯელობა ფასეულობებზე – ზნეობაზე, სამართლიანობაზე, თავისუფლებაზე, მშვენიერებაზე და ა.შ., ასევე უზნეობაზე, უსამართლობაზე, ბოროტებაზე და სხვ. უნდა იყოს ხარისხის (ზომის) მიხედვით, კონკრეტულად. მაშინ გავარკვევთ პროგრესისა და ცივილიზაციის დონეს. **ყველა საზოგადოება განვითარების დონის შესაბამისად ყოველთვის ამა თუ იმ ზომით განიცდიდა ფასეულობათა დეფიციტს**. ეს დეფიციტი საგრძნობია ამჟამადაც. ფასეულობათა დამკვიდრების დონე მთელი ცივილიზაციისა და საკაცობრიო პროგრესის მაჩვენებელია. ამ დონის ამაღლება კაცობრიობის ამოუწურავი ამოცანაა. იგი წინააღმდეგობრივად, მაგრამ მაღლდება, რაშიც გამოიხატება საკაცობრიო პროგრესი.

სწორედ ამ კრიტერიუმების ფონზე წარმოდგება ილია ჩვენ წინ როგორც **დიდი პუმანისტი, დემოკრატიის ბურჯი**. ყოველივე ეს ნათლად დასტურდება მისი ნააზრევით – მხატვრული ქმნილებებით, პუბლიცისტური ნაწარმოებებით, მეცნიერული ნაშრომებით. ილია თავისი შემოქმედებით დგას მსოფლიოს გენიოსთა: პომეროსის, რუსთაველის, დანტე ალიგიერის, შექსპირის, გოეთეს, ადამ მიცკევიჩის, ალექსანდრე პუშკინის და სხვათა გვერდით როგორც თავისი ხალხისა და კაცობრიობის კულტურის მოამაგე, ადამიანთა კეთილდღეობის ქომაგი.

ილია მხატვრულ ქმნილებებში, პუბლიცისტურ შედეგებში, ღრმა მეცნიერულ გამოკვლევებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში წარმოჩინდება როგორც **სინამდვილის სწორუბოვარი ამსახველი, ანალიტიკოსი, შემფასებელი და მომავლის პროგნოზისტი, არქიტექტორი, ორიენტატორი.** ილიას აზროვნება ყველა ფორმაში – მხატვრულში, პუბლიცისტურში, მეცნიერულ-აბსტრაქტულ-ცნებითში ფილოსოფიურია, ღრმა, მასშტაბური, სივრცისა და დროისგამრღვევი, გლობალური, ასევე კონკრეტულ-საგნობრივი, მიზანმიმართული და პრაქტიკაზე ორიენტირებული. იგი ღრმა მთაზროვნე ფილოსოფოსის, სოციოლოგის, ფისიქოლოგის, ისტორიკოსის, ეკონომისტის ხედვით წარმოგვიდგენს განსჯის, ანალიზის, შემფასების საგანს, სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებს, ცხოვრების კანონებს, კანონზომიერებებს, ფაქტებს, კერძოსა და ზოგადს, მოვლენათა კავშირებს, განვითარების ტენდენციებს.

ილიას იდეები უსაზღვროდ ჰუმანური, საერთო ადამიანური, საერთოსაკაცობრიო, გლობალური, ამასთან ძირფესვიანად ეროვნული, პატრიოტულია. ამაში გამოიხატება მისი ადამიანური თვისებებისა და ინტელექტის სიდიადე. მის ქმნილებებში ცხოვრება ცხადად, ცოცხლადაა წარმონიღილი – რელიეფურად; ხალხი, ქვეყანა, ადამიანები ჩანან თავისი პოზიტიური მხარითა და მანკიერებებით, წინააღმდეგობებით, პრობლემებით; ნაჩვენებია ისტორიისა და თანამედროვეობის კოლიზიები და ოპტიმისტური პერსპექტივა, პროგრესის გზა და წყაროები.

აზროვნებით, მსოფლხედვით, კონცეპტით, საქმიანობის მიზნებით ილია თავისი ქვეყნისა და კაცობრიობის შვილია, მისი გონება, მთელი არსება დაკავებულია ეროვნული და საერთო-საკაცობრიო პრობლემებით, მათი გადაწყვეტის გზებით. მას ნათლად აქვს გათავისებული **საერთო-საზოგადოებრივი და კერძო-პიროვნული, პირადი ცხოვრების, თავისი ქვეყნისა და მსოფლიოს პროცესების ურთიერთკავშირი, ურთიერთდამოკიდებულება.** რეალობა მის აღქმაში ადამიანთა კეთილი თვისებების, ღირსებებისა და ნეგატიური ხასიათის, მოქმედების, წესის ერთიანობაა, დაპირ-

ისპირებაა, კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა, სადაც კეთილმა უნდა გაიმარჯვოს, ე.ი. შედეგი უნდა იყოს ისეთი, როგორსაც საზოგადოებრივი ცხოვრება წინ მიჰყავს.

ილიას ქმნილებებში ნათლად ჩანს, რომ **ადამიანი სამყაროს გვირგვინიცაა და ურთულესი არსებაც**. ადამიანები არიან კარგები და ცუდები. ადამიანებმა იციან თავდადება და ერთგულება, თანადგომა, მეგობრობა და სიყვარული. ასევე მათთვის უცხო არაა ღალატი და დაუნდობლობა, სიცრუე და გაიძვერობა, უხეშობა და სისასტიკე... მთელი უზარმაზარი მატერიალური დასულიერი სიმდიდრე, მსოფლიოს ყველა საოცრება – ძველი და ახალი – ადამიანთა გონებითა და ხელებითაა შექმნილი. ამასთან მათივე გონებიდან და ხელებიდან არის მრავალი უბედურება. ადამიანები ქმნიან საფრთხეებს, ართულებენ ცხოვრებას; მოაქვთ ტანჯვა, განსაცდელი, ტკივილი; ჩაგრავენ და არ ინდობენ, ძარცვავენ და ხოცავენ... მაშასადამე, ადამიანები არიან საოცრად კარგები, მშვენიერები, კეთილები, საყვარლები და საოცრად ცუდებიც, საზიზღრები, აგები...

საჭიროა, ქვეყანაზე, რაც შეიძლება, პირველი კატეგორიის ადამიანების სიმრავლე იყოს, რომ საბოლოოდ ცხოვრება საინტერესო, შინაარსიანი, ამაღლებული, ხალისიანი, მშვენიერი გახდეს. ადამიანებმა უნდა შეძლონ სწორად აზროვნება, სწორი მიმართულება მისცენ თავიანთ საქმიანობას, მოქმედებებს. თუ როგორი იქნება ადამიანთა მოქმედების ხასიათი, ვექტორი, როგორ იქნება გამოყენებული მათი უნარები, ძალები – ეს განსაზღვრავს შედეგს – ცხოვრების წესს, დონეს. მთელი ისტორია სწორედ ადამიანთა ერთობლივი მოქმედების პროდუქტია თავისი სიდიადით – ხალხთა კულტურით, განვითარების დონით, ასევე მანკიერებებით, საშინელებებით, ბოროტებით, უბედურებებით. **ადამიანთა ამ უარყოფითი მხარისაგან გათავისუფლება, გაკეთილშობილება, გაადამიანურება** სურს ილიას – დიდ ჰუმანისტს, ადამიანების ბედზე დაფიქრებულსა და მისთვის მოამბგეს. ამის მიღწევას ემსახურება იგი ინტელექტით, კალმითა და საქმიანობით.

ილია დიდ როლს ანიჭებს **ადამიანურ სიტბოს, ურთიერთობებს:** „მზე არ უზამს იმოდენასა დამზრალ ვვაილს, რაც თბილი სიტყვა დანაგრულ გულსა“ (ჭავჭავაძე. 1957: 214). მაგრამ ეს მარტივად არ ხდება. ილია ღრმად სწვდება ადამიანის ბუნებას, იმ მანკიერებებს, რომელიც მას თან დაჰყვა ან მან შეიძინა, გაუმართლებელ მიდრეკილებებს, დაუოკებელ პედონიზმს, გაუტანლობას და ა.შ., ყოველივე ამის მიზეზებს – გაუნათლებლობას, არასრულყოფილებას, განუვითარებლობას, ჭეშმარიტების წვდომის დაბალ დონეს. იგი ხედავს, რომ საზოგადოების ცხოვრების პრობლემები, სიმახინჯეები ძირითადად ადამიანებისაგან, მათი უგუნურებისაგანაა წარმომდგარი. ამიტომ, როგორც გემოდღვრავს შოთა, „კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“. ილია ხედავს ოპტიმიზმის საფუძველსაც, რომ შესაძლებელია ნეგატიური მხარის შემცირება და ცხოვრების უკეთესად მოწყობა. პროგრესის გზა მთელი საზოგადოების, მისი მოწინავე აზრისა და ძალების მოქმედებას, აქტიურობას, ბოროტებასთან ბრძოლას მოითხოვს სიკეთის, ადამიანთა შორის თანადგომის, ურთიეთსიყვარულის, მეგობრობის, საზოგადოებაში ზნეობის, სამართლიანობის, თავისუფლების, მშვენიერების დამკვიდრებისათვის, სიმახინჯეთა, ბოროტების, მანკიერებათა ამოძირკვისათვის. ამისათვის დამაშვრად და დაუდგარ მებრძოლად გვევლინება დიდი ილია მთელი თავისი არსებით, დიდი ინტელექტუალური პოტენციალით.

ინდივიდების, მთელი საზოგადოების ცხოვრების მოვლენათა ილიასეული ანალიზის მეთოდოლოგია მის მხატვრულ თხზულებებსა, პუბლიცისტიკაში თუ მეცნიერულ შრომებში ემყარება **ცხოვრების, როგორც ურთულესი, ძნელად ასახსნელი ფენომენის** გაგებას. იგი, პირველ რიგში, სვამს საკითხს ადამიანის მიერ თავისივე თავის შეცნობის შესახებ. ეს უნდა იყოს ადამიანის არსებობისა და საქმიანობის ორიენტირი. ამის გარეშე, ცხადია, ადამიანი უკომპასო გემივით იქნებოდა, უთავბოლოდ მოხეტიალეს ან ზღვაში გადაგდებულ ნაფოტს დაემსგავსებოდა. მხოლოდ საკუთარი თავის ჭეშმარიტი შეცნობის, საკაცობრიო ფასეულობებთან მისი თვისებების შეხამების შემდეგ შეძლებს

ადამიანი სწორად აზროვნებას, საქმიანობასა და ცხოვრებას. ადამიანს აქვს მოთხოვნილება შეიცნოს თავისივე თავი, მაგრამ ეს მოთხოვნილება შესაბამისად უნდა დაკმაყოფილდეს. მან უნდა იცოდეს ვინ არის ის, რისთვის ცხოვრობს, როგორ უნდა იცხოვროს. ეს მას თავიდან ააცილებს შეცდომებსა და ცდუნებებს. აქედან გამომდინარე, სავალალო შედეგებს. „კაცი რაც უნდა დიდი სიყვარულით არ იყოს აღმართული, ცარიელი სურვილითა და სიყვარულით ვერფერს გააწყობს, თუ წინასწარვე არ შეიგნო – ადამიანი ან ერთ თავის მომავალში საიდან წამოვიდა, პირველი რა გზა გაიარა და დღეს რომელ წერტილზეა მდგარი“ (ჭავჭავაძე 1952: 487).

ილია ცხოვრებას იხილავს **მრავალმხრივი მიდგომით, რთულ კავშირებსა და ერთიანობაში, მუდმივ ცვლილებებში, მოძრაობაში, დინამიკაში, სიღრმისეული ფენების, მოვლენათა დინების გათვლისწინებით, არსობრივ გამოვლინებებში და განზომილებებში.** ცხოვრების ამგვარი ბუნების შესახებ კიდევაც ათქმევინა მან არჩილს „ოთარაანთ ქვრივში“, როცა ის თავის ღვიძლ დას – კესოს მიმართავს შექსპირის ჰამლეტის სიტყვებით: „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყანიერებაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებს“ (ჭავჭავაძე 1983: 254-255).

ილიას ინტელექტუალური ენერგია მიმართულია იქეთკენ, რომ ეს საიდუმლოებანი ახსნას, უჩვენოს ადამიანებს გზა და საშუალებები მათი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის. მისთვის საესებით ნათელია, რომ ცხოვრების გარედან მაყურებელი ადამიანი ვერ იქნება მისი ჭეშმარიტი ამსახველი, მით უფრო შემოქმედი, მოღვაწე. ადამიანთა მოღვმის ღვიძლი შეილი. „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარც გამკითხველი, ჯერ იმ დროის ქარქაშში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ეს ასე რომ არ იყოს, კაცი ვერაფერ საბუთს ვერ უპოვის, ვერც აზრს, თუნდ ჯვაროსნულ ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი შეაკლა. ეს ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა“ (ჭავჭავაძე 1956: 66).

ილიას მდიდარი, მრავალმხრივი შემოქმედების გაცნობით ვრწმუნდებით, რომ იგი იყო თავისი დროის ღრმად ერუდირებული, სამშობლოსა და მსოფლიო ისტორიაში განსწავლული, ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, ეკონომიკურ მეცნიერებებში ჩაღრმავებული, წარსულის დიდ მოაზროვნეთა მხრებზე მდგარი შემოქმედი, რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიო და მშობლიური ლიტერატურის დაწვრილებითი ცოდნაზე. იგი იყენებს და იხსენიებს, მათ შორის კრიტიკულად, სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეთა – პეგელის, სპენსერის, კონტის, მარქსის, მილის, ზომბარტის, მენეს, რაუს და სხვათა შრომებს, ეკამათება მის თანამდროვე მწერლებსა და მეცნიერებს, პოლიტიკოსებს.

ილია ღრმად სწვდება საზოგადოების განვითარების **კანონებსა და კანონზომიერებებს, ისტორიის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს**, რაც მას საშუალებას აძლევს ფართოდ და სიღრმისეულად წარმოაჩინოს საზოგადოებრივი მოვლენები და პროცესები, საზოგადოებისა და საკაცობრიო ცხოვრება, ეროვნული და საყოველთაო პრობლემები, ისტორიის მდინარება მუდმივი ცვლილებების ფონზე. ამაში ვლინდება მისი გენიალობაც, სიახლოვე ხალხთან, მისცხოვრებასთან, მოვლენათა შუაგულში ყოფნა.

ილიას შემოქმედებასა და ცხოვრებაში ნათლად აისახა საერთო-ადამიანური და ეროვნულ-ლოკალური, კაცობრიობისა და ხალხების ისტორიის მრავალფეროვნებისა და ერთიანობის, ზოგადისა და კერძოს, ტიპურისა და განსაკუთრებულის (ცალკეულის) ერთობისა და განსხვავების, დაპირიპირებისა და თანამშრომლობის, თვითმყოფადობისა და იდენტურობის ტენდენცია და ნიშნები.

კაცობრიობის ცხოვრებაში უმთავრესია **ადამიანის თვისებები, უნიკალობა, განვითარება, ღირსებები, კეთილდღეობა, ბედი**, რაშიც იგულისხმება ხალხების, ადამიანთა მთელი მოდგმის მდგომარეობა. ილიას შემოქმედებასა და მოვაწეობაში უწინარესად უნდა დავინახოთ ადამიანებისადმი, მათი ბედისადმი დამოკიდებულება, ღირსეული ადამიანის, საზოგადოების წევრის ხვედრი,

ადამიანურ ურთიერთობათა, ადამიანების ერთმანეთთან დამოკიდებულების პრობლემები.

ილია გამოდის, **ერთი მხრივ, ადამიანის ღირსება, კეთილშობილების, კაცთმოყვრებისათვის მზრუნველი, ადამიანურ ფასეულობათა დამკვიდრების გზების მაძიებელი, პატრიოტიზმის მეხოტბე და მოამბე, მეორე მხრივ, ადამიანის მანკიერებათა და ცდომილებათა მკაცრი კრიტიკოსი, მამხილებელი, მგმობელი, მათი ამოძირკვისათვის თავგამოდებული მებრძოლი.** ყოველივე ეს მიეკუთვნება როგორც ლოკალური ეროვნული პროგრესის, ისე გლობალურ, ზოგადადამიანურ პრობლემებს. მათზე განსჯისას, მათ გადაწყვეტაზე ფიქრისას, მათი დაძლევისათვის ზრუნვისას ილია გვევლინება როგორც **თაეისი ხალხის, ერის პატრიოტი, ასევე გლობალისტი.** ამაში იგულისხმება გლობალიზმის დადებითი მხარე. ცხადია, ყველა მოვლენას ამა თუ იმ ზომით ახასიათებს დადებითი და უარყოფითი თვისებები ადამიანებთან მიმართების თვალსაზრისით. გლობალიზაციაზე მხოლოდ უარყოფითი შედეგების მიხედვით მსჯელობა დიდი შეცდომაა, იგი უნდა უკუვაგდოს.

აუცილებელია ვაცნობიერებდეთ **ჩვენს კუთვნილებას როგორც კონკრეტული ერისადმი, ქვეყნისადმი, ასევე კაცობრიობისადმი, გლობალური სამყაროსადმი.** ჩვენ, ადამიანთა მოდგმის შვილები, ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ, ბიოლოგიურად ბევრი საერთო თვისება გვაქვს და სოციალურად ბევრი ერთნაირი და საერთო პრობლემა გვაწუხებს. ამას ვერსად ვერ გავექცევით, ლოკოკინასავით თუ არ ჩავეკეტებით ჩვენს ნაჭუჭში. სიკეთე ყველგან სიკეთეა მსფლიოში, ბოროტება ყველგან ბოროტებაა, მეგობრობა და სიყვარული ყველას სჭირდება და ყველგან ფასდება, სიძულვილი და მტრობა ყველგან უარყოფითად აღიქმება. არის მრავალფეროვნება და განსხვავებები. ზუსტად იდენტური არაფერია სამყაროში. თვით სიამის ტყუპებიც რაღაცით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ერთიანობასა და განსხვავებებშია მსოფლიოს უნიკალობა და სიდიადე, ცხოვრების ღრმა შინაარსი, მისი სიმდიდრე. მთავარია მსოფლიოს ერთიანობა და

მრავალფეროვნება, გლობალიზაციის მრავალი სიკეთე, ცივილიზაციის საერთო კოლოსალური მიღწევები მოვაქციოთ ადამიანთა კეთილდღეობის კალაპოტში.

ილიას ნააზრევში კარგად ჩანს უწინარესად **ადამიანის არსის, მისი ცხოვრების საზრისის, ადამიანურ ფასეულობათა ჭესმარტი გაგება**, რაც გადმოცემულია მხატვრული სახეების, ბასრი პუბლიცისტური სიტყვის, ღრმა მეცნიერული განსჯის, განზოგადების მეშვეობით. მათში თვალნათლივ, როგორც სარკეში, არეკლილია ზოგად-ადამიანური დაკონკრეტულ-პიროვნული, ეროვნული ინტერესების ერთიანობა. ადამიანები თუ იქნებიან თავისუფალნი მანკიერებებისაგან, ისეთები, როგორებიც ილიას დადებითი გმირები არიან, ხალხის, ინდივიდებისა და კაცობრიობის ცხოვრება პროგრესის გზით, ბედნიერების მიმართულებით წავა.

გლობალიზაცია კაცობრიობის თანამგზავრია. მსოფლიო გლობალურისა და ლოკალურის ერთიანობაა. გლობალური არის ლოკალურში და ლოკალური – გლობალურში. ასე რომ არ იყოს, არ იქნებოდა კაცობრიობა როგორც კაცთა მოდგმის ერთიანობა, როგორც ზოგად-ადამიანური და კონკრეტულ-ადამიანური მოვლენა. ტექნიკის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების დარგის ყველა გამორჩენილი შემოქმედი გლობალისტი, ზოგად-საკაცობრიოს და ეროვნულს, თუ ჯგუფურსა და ცალკეულს, ემსახურება ერთდროულად. ასე იყო დასაბამიდან და ასეა დღესაც, მუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციაზე მსჯელობა მხოლოდ მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო.

ილიას ღრმა სიბრძნე იმაში გამოვლინდა, რომ ნათლად აქვს წარმოდგენილი **საკაცობრიო ფასეულობათა ადგილი**, თანამედროვე ტერმინოლოგიით, იერარქია, თანმიმდევრობა, პრეფერენციები, პრიორიტეტები. ილია, სწორედ როგორც გლობალისტი, მსჯელობს ადამიანთა თვისებებზე, უფლებებსა და მოვალეობებზე საერთოდ. „ბუნებამ რაც არ უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც არ უნდა მრთელი ჰავე მისცეს ადამიანს საცხოვ-

რებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინცდამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერ უშველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. **კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამ ქვეყანაზედ**“ (ჭავჭავაძე 1956: 7).

მაშასადამე, ცხოვრების მატერიალური მხარე არაა საკმარისი და გადამწვევტი კეთილდღეობისათვის, ბედნიერებისთვის, საბოლოოდ და, ეს მთავარია, არამატერიალური წვევტს კეთილდღეობის საკითხს. შეიძლება ადამიანებს თავზე საყრელად ჰქონდეთ მატერიალური დოვლათი, ნაირნაირი ნივთები, ქონება და სულაც არ იყვნენ ბედნიერები. ილიას „იდეალიზმში“ ღრმა აზრია, რაც კაცობრიობის დიდმა ნაწილმა ჯერ ვერ გაითავისა. არამატერიალური ფასეულობანი, ადამიანთა სულიერი ღირსებები, ადამიანური ურთიდერთობები, ცოდნა, იდეები და ა.შ. – **ეს მაღალი, მარადიული ფასეულობებია**, რომლებიც არ გადადის სიავეში, ზიანში, მაშინ, როცა მატერიალური ფასეულობები, მართალია, კეთილდღეობის წყარო და ძირითადად კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა, მაგრამ შესაძლოა და ხშირადაც ბოროტების წყარო ხდება. **ეს დაბალი ფასეულობებია**. მათთანაა დაკავშირებული პირდაპირ თუ არაპირდაპირადამიანთა შორის დაპირისპირება, გაჩაღებული ომები, ადამიანთა მოსპობა, ჩაგვრა, სხვადასხვა უბედურება. მათი ცალკეული სახეების არსებობა დროებითია, ისინი გარკვეული პერიოდის შემდეგ მწყობრიდან გამოდის, განსხვავებით არამატერიალური ფასეულობებისაგან, რომლებიც არ მოიხმარება ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ე. ი. არ იხარჯება, არ ცვდება, არ ისპობა გამოყენების შედეგად. ჩვეულებრივ ისინი ადამიანთა მაღალ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, ხანგრძლივად ანიჭებს მათ სიკეთეს, სიამოვნებას, ბედნიერების გრძნობას.

ეს საესეებით ნათელია. ადამიანურ ფასეულობათა იმ მაგალითების მიხედვით, რომლებსაც ილიას მრავალი გმირი ატარებს. განა ხშირად მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი უფრო ბედნიერად არ გრძნობენ თავს, ვიდრე სიმდიდრეში ჩაძირულნი? ეს საესეებით მართლზომიერია და ესემა თითოეულ ადამიანსა და ყველას. მერკანტილური „მატერიალიზმის“, ნივთების გაღმერთების გადალახვა საზოგადოებრივი კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა, რაც დღესაც მწვავე გამოწვევაა მთელი კაცობრიობისთვის. სანამ ამაში არ იქნება სრული გარკვეულობა, ადამიანები ვერ შეძლებენ ფასეულობათა სამყაროში სწორად ორიენტირებას. ცივილიზაციისა და პროგრესის მთავარი ამოცანა – საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფავერ იქნება გადაჭრილი. მაშასადამე, აქ კაცობრიობის, ხალხების ცხოვრების უდიდეს პრობლემასთან გვაქვს საქმე, რასაც, სამწუხაროდ, მისი აქტუალობის მიუხედავად, დღესაც არ ექცევა საჭირო ყურადღება.1 ამქვეყნიური ცხოვრების მატერიალური უზრუნველყოფის პრობლემების უარყოფა სულაც არ ნიშნავს **ასპექტიზმის ქადაგებას**. ილია თავისი მძლავრი ინტელექტით ზრუნვას არ აკლებდა ქვეყანაში ეკონომიკის, მატერიალური წარმოების დარგების განვითარებას, მისი გზების ძიებას. ჩვენ აქ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ილიამ დიდი ხნით, თითქმის საუკუნით ადრე, მიაპყრო ყურადღება იმ პრობლემას, რაც დღეს ასე მნიშვნელოვანია და რაზეც ბევრადაა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი ბედი.

1 ოპტიმიზმის საფუძველს მაინც იძლევა ის, რომ ადამიანთა საკმაო ნაწილში ამჟამადაც, ისევე, როგორც ძველთაგანვე, არაა გამჯდარი ნივთებისადმი მონური დამოკიდებულება. ისინი საგნებს თვლიან მოხმარების, აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებებად, განსხვავებით იმათგან, ვინც მათში ეძებს პრესტიჟის, სტატუსის, თვით ბედნიერების წყაროს. ამას საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები და თვით პრაქტიკაზე დაკვირვებაც ადასტურებს. ბაზრის მხრივ სამომხმარებლო ჟინის გაღვივება ცხოვრების უარყოფითი ფაქტორია: სამომხმარებლო საზოგადოება (რასაცხოტბას ასხამს ზოგიერთი ეკონომისტი-თეორეტიკოსი) ყოფის კარიკატურაა. შემოქმედ ადამიანთა საზოგადოებაა ჭკმმარიტი საზოგადოება.

ადამიანის არსების, დანიშნულების, ცხოვრების საზრისის მთავარი ღერძი მოქმედება, სულიერი და მატერიალური დოვლათის, არსებობისა და განვითარების საშუალებათა შექმნა, თვით-სრულყოფა და განვითარება, მუდმივი ცვლილებებია. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.(ჭავჭავაძე 1985: 18)- ქადაგებს უძრაობისა და ჩამორჩენის წინააღმდეგამხედრებული ილია. სადაც მოძრაობა არარის, მიზანი დამოქმედება, საქმიანობა არაა, იქყოველივე მკვდარია, ნამდვილი ცხოვრება არ არსებობს. ადამიანები თავად არიან თავიანთი ცხოვრებისა და სოციალური არსების შემოქმედნი, რასაც ისინი ბუნების დახმარებით აკეთებენ.**შრომის როლისა და მშრომელის – ისტორიის წამყვანი აქტიორის** - ადგილის შესახებ მეცნიერული მსჯელობები ილიას მოძღვრების ერთ-ერთი უმთავრესი და მყარი ნაწილია. იგი გამოდის როგორც შრომის, შემოქმედებითი საქმიანობის მეხოტბე და თავყვანისმცემელი. ცხოვრება ისეთია, როგორც ადამიანები არიან, მათი თვისებები გადადის, (განსახიერდება, გასაგნდება) მათსავე საქმეებში, მათ მიერ შექმნილ დოვლათში. ყველაფერს ადამიანთა ირგვლივ მათი თვისებების ნიშნები ატყვია. აკეთებენ კარგ და ცუდ საქმეებს, რომელთა საბოლოო შედეგი წინასწარ ზუსტად არაა ცნობილი. ამის გამოა, რომ არავინ იცის ზუსტად, რა მოელის ხვალ, დღევანდელი ბედნიერება ან უბედურება გაგრძელდება თუ არა ხვალ და ზეგ შემთხვევითობათა სამყაროში. ამოუცნობია, ცხოვრების ღრმა საიდუმლოებაა – ადამიანთა სიკარგისა და ცუდობის მიზეზი, პირველსაწყისი. მათი ბუნებიდან და უნარიდან გამომდინარეობს ყველა სიკეთე და სიავე. **ამის გამოა, რომ ადამიანთა თვისებების სრულყოფაა ცხოვრების გაუმჯობესების ამოსავალი პუნქტი.** ადამიანი, არისტოტელეს მიხედვით, პოლიტიკური არსებაა. **ადამიანის თვისებების გაუმჯობესება შესძლებელია.** სწორედ ამის გამო ზრუნავს ილია ადამიანთა განვითარებაზე, გაკეთილშობილებაზე, გააქტიურებაზე, მათ მანკიერებათა ამოძირკვაზე. „იგი ქვეყანაა უფრო ბედნიერი, უფრო

ღონიერი სულითა და ხორციით, რომელსაც თვითმოქმედება გაძლიერებული აქვს და ყოველი თავისი მოძრაობის სათავედ შექმნია“ (ჭავჭავაძე 1952: 487). შრომა, საქმიანობა არის ადამიანის სიცოცხლის მთავარი ნიშანი „საქმე სიცოცხლეა“, – ამბობს ოთარანთ ქერივი (ჭავჭავაძე 1956 ბ: 286). ადამიანი უწინარესად მშრომელი არსებაა, „იარადის მკეთებელი ცხოველია,“ როგორც მას უწოდებს ამერიკელი მეცნიერი ფრანკლინი. შრომის გარეშე ადამიანი წყვეტს არა მარტო არსებობას, არამედ კარგავს ცხოვრების აზრს. იგი როგორც სოციალური არსება შრომაში ჩამოყალიბდა. „შრომამ შექმნა ადამიანი“ (ფრიდრიხ ენგელსი).

მისი ძირითადი სოციალური ფუნქცია შრომაა.

შრომის როლზე საზოგადოების ცხოვრებაში მეცნერებამ ყურადღება გაამახვილა კაპიტალიზმის აღმავლობის პერიოდიდან.

მასზე მსჯელობდნენ ფილოსოფოსები – პოლსი, ლოკი, მანდევილი, ეკონომისტები: პეტი, სმიტი, რიკარდო, მარქსი და სხვ. მათ მიერ შრომა, ბუნებასთან ერთად, მიჩნეულია სოციუმის ყველა სიკეთის წყაროდ. „შრომა არის მამა და ბუნება - დედა სიმდიდრისა“, – ფიქრობდა უ. პეტი – ეკონომიკური თეორიის კლასიკოსი მე-18 ს-ში. ასევე ფიქრობდა ფილოსოფოსი მანდევილი (მე-17 – მე-18 სს): „ყველა საზოგადოების კეთილდღეობა ყოველთვის დამოკიდებული იქნება მიწის ნყოფიერებასა (იგულისხმება – ბუნებასა; გ. მ.) და ხალხის შრომაზე.“

ილიას მსჯელობები ეხმიანება სოციალურ-ფილოსოფიური აზროვნების ამ დებულებებს. იგი შთააგონებს ადამიანებს, (ბევრს ეს სჭირდება): „ქვეყანა ტაძარი არ არის, საცა კაცი უნდა ღოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს!“ ამასთან ილია გამოირჩევა მშრომელი ადამიანებისადმი განსაკუთრებული თანაგრძნობით. მისი შემოქმედება ცხადყოფს, რომ მშრომელ და გამრჯე ადამიანებს ემყარება ცხოვრება, მისი პროგრესი. „ისტორია და წარმატება მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მეგრძოლის კუთვნილია“ (ჭავჭავაძე 1986: 344). ილია მაღალ შეაფასებას აძლევს აქტიურ

ადამიანს, რომელიც მუდამ ფხიზლადაა. „კარგია გაღვიძებული ადამიანი, მაგრამ უფრო კარგია, რომელსაც ძილ-შიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებულსა!“.

ადამიანთა ცხოვრებაში მოქმედების, შრომითი აქტიურობის როლის ჩვენებისათვის ილიამ უბადლო მხატვრული ხერხებით და ოსტატობით შექმნა როგორც **პოზიტიური** (ოთარაანთ ქვრივი, მისი შვილი გიორგი, პეპია, გუთნისდედა, მუშა და სხვა) ასევე **ნეგატიური**, კონტრასტული, მუქთახორა და პარაზიტი ადამიანების ტიპები (ლუარსაბ თათქარიძე და მისი მეუღლე), რომლებისათვის ცხოვრების აზრი კუჭის დონემდეა დაყვანილი. მან ამით უჩვენა საზოგადოების გარკვეული, პრივილეგირებული ნაწილის წარმომადგენელთა დეგრადაცია, წარმავლობა ისტორიის არენიდან, აუცილებლობა, რომ ისინი ახალი ადამიანებით შეიცვალნენ. სიზარმაცე და მუქთახორობა დამახასიათებელია კაცობრიობის ერთი ნაწილისათვის, რაც ყველა დროსა და ხალხში გვხვდებოდა. ეს ყველაფერი ადამიანთა უდიდესი მტერია, კეთილდღეობასა და პროგრესს ამუხრუჭებს, ადამიანთა თვითრეალიზაციას გზას უღობავს. ამას მსოფლიო ლიტერატურაში არაერთმა შემოქმედმა მიაქცია ყურადღება.ლუარსაბ თათქარიძეს პყავს „მშები“

სხვადასხვა ხალხში – განსხვავებული ჯურის მუქთახორები: ობლომოვები (გონნაროვი), პროსტაკოვები (ფონეიზინი) და სხვ. ილია საზოგადოებას ამათგან განთავისუფლებისაკენ მოუწოდებს. ილია ჰუმანიზმის აშკარა გამომხატველია. საზოგადოების იერარქიული კიბის მაღალ საფეხურზე მდგომი მწერალი მშრომელებს მიმართავს როგორც ახლობელებს, თანასწორებს, მათდამი მეგობრული სიტბოთია გამსჭვალული, საუბრობს მათთან ძმობაზე, ერთობაზე. ზოგიერთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ილია გლეხს კი არ აიდეალებს, არამედ ცხოვრების მთავარ აქტიორად მიიჩნევს. ქვეყნის განვითარების, წარმატების ბურჯად, ლოკომოტივად თვლის მშრომელს, გამრჯე, აქტიურად მოქმედ, სიკეთისათვის დამაშვრალ ადამიანს. ამისი დასტურია ილიას „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი, ანუ

ეპიზოდი ყანადის ცხოვრებიდან“, ლექსები, პუბლიცისტური ნაწარმოებები, მეცნიერული შრომები... მართალია, თვით ცხოვრების სირთულისა და წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო მისი პერსონაჟები სრულიად განხვავებულნი – კეთილნი და გაბოროტებულნი (კაკო, გაბრიელი), პატოსანნი და გამრჯენი, თუმცაღა, ზოგჯერ უცნაურნი, ჯიუტნი და ა. შ. (ოთარაანთ ქვრივი, გიორგი) არიან. მაგრამ, რიგ შემთხვევაში, უპირატესობითაც ხასიათდებიან ადამიანთაშორის, თვით მაღალი წრის წარმომადგენელთა წინაშეც. გავიხსენოთ არჩილის აზრი გიორგის შესახებ: „გიორგი მთელი წიგნი იყო ხიდგაღმა დაწერილი. გიორგი წიგნიამეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ წიგნი გადადგეშალა. ეს წიგნი ვერ წაეკითხეთ... მაგის ანბანი კი თურმე არა გვცოდნია...“ (ჭავჭავაძე 1985: 289). ამ სიტყვებით მოძღვრავს ილია თავის კლასს.

ადამიანის არსების, როგორც სოციუმის მთავარ ფასეულობის, თვისებებს შორის საკვანძო ადგილი უჭირავს მის **მოვალეობებს, რომლებიც უფლებებთან შეწყვილებული უნდა იყოს**. ისინი წონასწორულად ქმნის ადამიანის ღირსების მნიშვნელოვან საწიხსებს. სადაც „კაცთა უფლება და მოვალეობა ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველივე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის“ (ჭავჭავაძე 1956: 8).

ადამიანის უპირველესი ვალდებულება ზოგადად არის სიკეთის სამსახურში დოგმა, საერთო საქმისათვის, მოძმისათვის, განსაკუთრებით გაჭირვებულთათვის და უპოვართათვის ზრუნვა. ილიას ფილოსოფია ამ საკითხში რადიკალურად განსხვავდება დასავლური ინდივიდუალიზმისა და მისი მქადაგებლების მრწამსისაგან. იგი ჭეშმარიტად ადამიანური, კაცთმოყვრული, ამბულელები და ღირსეულია, რაც სწორედ ადამიანის არსის თანხვედრილია. ილია ადამიანებს მოძღვრავს:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე,
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო,-
აბა, მე დღეს ვის რა ვარგე? “
(„ღამაკვირდი“, – ჭავჭავაძე 1987 ბ: 121)

ილია ამ საკითხში გამოდის ქართული ჰუმანისტური აზროვნების გამგრძელებლად - მას დიდი წინამორბედები ჰყავდა. „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.“ (რუსთაველი). „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს “ (ნ. ბარათაშვილი).

ილიას ვაჟკაცობის ერთ-ერთ ნიშან-თვისებად **უმწეოთა დხმარება** მიაჩნია:

„ვაჟკაცად იგი მიქია,
ვინც უბედურთა მხსნელია.“
(„ღამაკვირდი“, – იქვე)

აქაც გავიხსენოთ რუსთაველი: „რასაც გაცემ შენია, რაც არა დაკარგულია.“ გაცემის ფილოსოფია მნიშვნელოვანია ადამიანურ მსოფლხედვაში, ადამიანთა ურთიერთობებში, ყოფაში. ეს ადამიანის ღირსების, თვით არსის ელემენტია.

ადამიანის არსების მნიშვნელოვანი კომპონენტია **უმწეალო პირადული ურთიერთობა** სხვა ადამიანებთან. თუ როგორია ეს ურთიერთობა - ეს ბევრად განსაზღვრავს პიროვნების ადამიანურობას, შინაგან კულტურას, სულიერ სიმდიდრეს, მიმზიდველობას. ამას ადამიანურ სიტბოს უწოდებენ, რაც ადამიანისათვის მონიჭებული დიდი მადლია. ილიას ადამიანთა შორის თბილი, გულისხმიერი ურთიერთობა ცხოვრების განსაკუთრებულ პირობად, კეთილდღეობის, სილამაზის წყაროდ წარმოუდგენია, ისე როგორც მთელ ბუნებაშია სიტბო სიცოცხლის წყარო: „ო,ო! სიტბო? ... დიდი რამ არის. დედამიწის ზურგი იმით აყვავდება ხოლმე, წუთისოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა“ (ჭავჭავაძე 1957: 214).

ადამიანთამოვალეობათაგან ილია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს **ქვეყნისათვის, საერთო საქმისათვის თავდადებას, ხალხის სამსახურს, პატრიოტიზმს**. იგი აქაც უპირისპირდება ინდივიდუალიზმის ფილოსოფიას, რომელსაც დიდი ხანია მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი – ი. ბენტამი და მისი მიმდევრები ქადაგებენ. სავსებითცხადია, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ინტერესებს მოწყვეტილი, თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი ადამიანი არ შეიძლება ბედნიერი იყოს. ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, უწინარესად საზოგადოების ნაწილია, ღვიძლი შვილია, მის გარეშე მის არსებობას აზრი არა აქვს. ამიტომ იგი, პირველ ყოვლისა, საზოგადოებას ეკუთვნის. ეს კი **დიდი ადამიანური გაგებაა**, რასაც ყველა ვერ ხედავს. „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა და არც მამისა, ქვეყნის არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 66) – ამბობს ილიას ნაწარმოების გმირი.

ილია სამშობლოსადმი, თავისი ქვეყნისადმი დამოკიდებულებას საკუთარი გრძნობების მაგალითზე გამოხატავს:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება“
(ჭავჭავაძე 1985 ა: 89)

სამშობლოსათვის თავგანწირვა ადამიანის უმაღლესი ღირსების გამოხატვაა, ის უკვდავების ტოლფასია. ეს ყველას არ შეუძლია, რჩეულთა ხვედრია, მსხვერპლია, მაგრამ ანაზღაურდება ხალხისაგან დაფასებით. ისევე ადამიანის არსის, მისი კომპონენტების ესახებაა მსჯელობა:

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია.
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.

(„მეფედიმიტრი თავდადებული“, ჭავჭავაძე 1985 ა: 203)

ეს აზრი ცხოვრების არსის, აზრიანობის მაღალი გაგებააობივ-
ტელური, მდაბლურიგაგების საპირისპიროდ,რაც ადამიანის
სტატუსის კონცეპტის მნიშვნელოვანი დებულებაა.

ერთ-ერთი ასპექტი ამ თვალსაზრისით, რასაც ხაზს უსვამს ილია,
დედის – შვილის გამჩენისა და აღმზრდელის – მოვალეობაა სამ-
შობლოს წინაშე:

„დედავ! ისმინე ქართლის ვედრება:

ისე აღზარდე შენ შვილის სული,

რომ წინ უძღოდეს ჭეშმარიტება,

უკან რჩეს კვალი განათლებული.“

(„ქართველის დედას“, – ჭავჭავაძე 1985 ბ: 89)

ილია აკონკრეტებს, თუ როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს:

„საზრდოდ ხმარობდე ქრისტეს მცნებასა, –

შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,

ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, -

რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს

და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...“

(„ქართველის დედას“, – იქვე, 47)

განსაკუთრებულია აგრეთვე **ქვეყნის, ერის წინამძღოლის მოვალეობანი, მისი ღირსების საკითხი**. ილია საქართველოს ისტორიიდან იღებს დემეტრე მეფის სამშობლოსათვის, თავისი თანამემამულეებისათვის თავგანწირვის ბრწყინვალე მაგალითს და პოემას უძღვნის მას. როგორც ცნობილია, დემეტრე II (1259-1289 წწ.) საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მეფე იყო. მას ბედისაგან მიიმე ხვედრი ერგო. ქვეყანას განაგებდა ურთულეს ეპოქაში, როცა აქ მონღოლები ბატონობდნენ. გავისხენოთ მეფის პოზიცია ისტორიის მიხედვით. ილიას პოემის გმირი ერს მიმართავს: „მე დავედებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა და არა დავიშლი ურდოსთან წასვლას“. მან ასევე უარჰყო ქვეშევრდომების მიერ

მოწყობილი საპრობილიდან გაქცევის შესაძლებლობა, რადგან ეს თავისი ქვეყნისათვის დიდად საზიანო იქნებოდა, და სიკვდილითაც დაისაჯა. ილიას პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ მხატვრული თხრობა დიდი სიზუსტით ემთხვევა მეისტორიეს ცნობებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისტორიული ფაქტები უფრო მეტი ექსპრესიითაა გადმოცემული. შთამაგონებულია პოემის მიხედვით დემეტრეს მსჯელობები, როცა ის მრჩევლებს არწმუნებს, რომ შეიძლება ასჯერ მეტ მტერს მოვერიოთ ჩვენი ვაჟკაცობით, მაგრამ ათასჯერ მეტს ვერ მოვერევით, ამიტომ მე უნდა შევეწირო ქვეყნის გადარჩენასო. იგი მიმართავს თავის ქვეშევრდომებს:

„ნურას გიკვირთ რომ ქვეყნისთვის
მეფე თქვენი თავს არ ჰზოგავს!
ამასა იქმს ყველა, ვინც კი
ჭკუით სჭრის და გულით ზომავს“
(„მეფე დიმიტრი თავდადებული“, –
ჭავჭავაძე 1985 ა: 204)

ილია ხაზს უსვამს წარსულის ქართული პოლიტიკური ელიტის ღირსეული წარმომადგენლების მაღალ ზნეობასა და თავდადებას ხალხისა და ქვეყნისათვის, რის მრავალი მაგალითი არსებობს დემეტრეს შემდგომი პერიოდის საქართველოშიც, კერძოდ, ქეთევან წამებულისა, ცოტნე დადიანისა და სხვათა და სხვათა გმირობის სახით. ეს შთამაგონებული ნიმუშია ყველა დროის ქართველი პოლიტიკოსებისათვის და არა მარტო მათთვის, საზოგადოდ ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკოსებისათვისაც. ეს განსაკუთრებით თვალნათელია იმ კონტრასტის გათვალისწინებით, რომელიც აშკარად იქმნება მერკანტილური და ეგოისტური მიდრეკილებებით სავსე სამყაროში.

ილია ასევე გამოყოფს **ერის ისეთი ელიტარული ნაწილის** როლსა და მოვალეობებს, როგორც პოეტები, მწერლები არიან. ილიას მიხედვით, პოეტი, შემოქმედი განსაკუთრებული მოქალაქეობრივი სტატუსია. ის უბრალო მეხოტბე, მხატვრული სიტყვის ოსტატი კი

არა, ერის სულიერი მესაიდუმლე, წინამძღოლი უნდა იყოს, თავის კვალს უნდა ტოვებდეს ერის ცხოვრებაში. მას აქვს ხალხის გულისაკენ გზის გაკვალვისა და მასზე შემოქმედების მძლავრი იარაღი. მისი შესაძლებლობები ამ მხრივ დიდი და გამორჩეულია. ილია ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის მორალურ კოდექსსა და პორტრეტსაც აყალიბებს.

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა...
ერის წყლული მანდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...“
(„პოეტი“, – ჭავჭავაძე 1985 ა: 75)

ადამიანი მეტაფასეულობათა სპექტრში

უაღრესად საინტერესოა კონკრეტულ ადამიანურ ფასეულობათა მიხედვით ილიას შემოქმედებაში წარმოდგენილი ადამიანი. იერარქიულ კიბეზე, თვით ცხოვრების ლოგიკით, ქრონოლოგიურად და გენეტიკით ამოსავალი მეტაფასეულობა **ზნეობაა**. ზნეობა არის ადამიანური ფასეულობების თავი და თავი. სადაც ზნეობა მაღალ დონეზეა, იქ ყოველნაირი წერიგია ადამიანურ ურთიერთობათა სისტემაში. ზნეობრივი ადამიანი კარგი ადამიანია, ის ბოროტებას არ ჩაიდენს, ის სიკეთისათვის იღვაწებს, არაფერს დაზოგავს ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის. ზნეობა არა მარტო ადამიანის ღირსებაა, არამედ მთელი საზოგადოების განძია, სიმდიდრე, მის კეთილდღეობის უდიდესი საყრდენია. ადამიანისათვის ზნეობა მათორიენტირებელია. ზნეობა სადაცაა, იქ ვერ ხეირობს ბოროტება, რაც ადამიანებისგანმოდის. ეს იუდიდესი მნიშვნელობის საქმეა – კაცობრიობა, ადამიანები თავისუფლდებიან დაბრკოლებებისგან სრულიად მარტივად და მუქთად, თუმცა ეს დიდი პრობლემაა. ილიას მსოფლხედვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ზნეობრივი ადამიანის პრობლემას. „ადამიანს ადამიანობა უნდა ემჩნეოდეს. აქ არის თავი და ბოლო ქება-დიდებისა“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 286) – ამბობს ილიას გმირი ოთარაანთ ქვრივი – ეს უსპეტაკესი ადამიანი... „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“. ადამიანმა უნდა იმოქმედოს სიკეთით და ეს მისი ყველაზე ძლიერი იარაღია.

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა,

ერიდე სისხლის ზღვევასა:
სულგრძელობითა ძღვეა სჯობს
ვაჟკაცობითა ძღვეასა“...
(„დამაკვირდი“, – ჭავჭავაძე 1985 ბ: 121)

ადამიანის მაღალიზნეობა იმით გამოვლინდება, თუ ვის მიმართ აქვს მას სიმბატი, ვისი სიყვარული ამოძრავებს.

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგანხდეს...
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის კაცს ის უყვარდეს, –
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“
(„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის
ცხოვრებიდან“, – ჭავჭავაძე 1985 ბ: 174-175)

ჯერ კიდევ დიდია ამ ქვეყნად უზნეობის, ბროტების მიზეზები და ფაქტები, უკულმართობათა სათავე. „ღმერთო! რამდენი... ცრემლი იღვრება ამ შენგან გაჩენილი დედამიწის ზურგზე. მაგრამ სიავე ადამიანისა აქამდის არ ჩაირეცხა. დიდება შენს მოთმინებასა!“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 82-83).

ეს დიდი ტკივილია კაცობრიობისათვის, რაც მას დასაბამიდან მოსდევს დადღესაცგრძელდება. **ადამიანის არასრულყოფილება უწინარესად მის უზნეობასა და ბოროტებაშია.** აბა, იყოს ყველა ზნეობრივი, კეთილი, ადამიანური და ვნახავთ როგორი დალაგებული იქნებოდა ეს ქვეყანა, რა ურთიერთობა იქნებოდა ადამიანებს შორის. მაგრამ ადამიანთა მოდგმის ბედი ასეთია: დღემდე მას თან სდევს არასრულყოფილება და ბოროტება. პირველად ადამიანები თავიანთსავე თავს მტრობენ და უმზადებენ ხიფათს. „მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს“ (რუსთაველი). ასევე ადამიანები არიან ერთმანეთის დიდი მტრებიც, როგორიც სხვა მათ არა ჰყავთ. „ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყ-

ანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიო. კაცი მოსისხლეა...“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 27) .

ასეთი თვისება გამოჰყოლია თუ შეუძენია ადამიანს. ამიტომ ძნელდება ცხოვრების გაუმჯობესება. „ჩვენ თითონ სულიერთა მეუფენი, ჩვენ თითონ ქმნილებათა გვირგვინნი, ჩვენ თითონ ღვთის სახისანნი ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილსა... ყოველ კაცის ნაფეხურსა ერთი მუჭა კაცისავე სისხლი შეუშვრია...“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 28) ილია, მისივე გმირის ენით გამოსთქვამს წუხილს ადამიანის მანკიერებათა გამო. „ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ შენგან გაჩენილ ადამიანსა მარტო შენი სახე თუ მისცემია, თორემ გული კი არა“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 85). ცხოვრების მთელი ტრაგედია სწორედ ადამიანის ამ თვისებაშია და მთელი მისი ზრუნვისა და ამაგის საგანი ამ ბოროტების ამოკვეთაა, ადამიანის მიერ თავისავე თავის სრულყოფაა. ამისი გარანტი კი დრო და განვითარებაა, იმ ადამიანთა არსებობაა, რომლებიც ადამიანთა უზნეობის დაძლევისათვის იღწვიან.

სწორი, ჭეშმარიტებაზე დამყარებული მოქმედების, ადამიანური ცხოვრების მეორე დიდი ბურჯია **სამართლიანობა**. სამართლიანობაში პოულობს ზნეობა ნავსაყუდელს. სამართლიანობის თანამედროვე თეორეტიკოსი ჯ. როლზი განმარტავს, რომ სამართლიანობა – პატიოსნებაა (Роуз. 1995: 19). პატიოსნების გარდა, ივისაზოგადოების წესრიგის სხვა ფაქტორებსაც ემყარება – კულტურას, ინტელექტს, თუ გნებავთ, შიშს და ა.შ., მაგრამ მის პირველსაფუძვლად მაინც ზნეობა უნდა მივიჩნიოთ.

სამართლიანობის საპირისპირო **უსამართლობაც** ადამიანთა ცხოვრებაში დასაბამიდან დამკვიდრდა. მისი უმწვავესი გამოვლინებანი თან ახლავს კაცობრიობის ისტორიას. მის მიმართ შერიგებისა და შეურიგებლობის, მისი გაცნობიერება-გაუცნობიერებლობის მდგომარეობა ყველა დროში შეიმჩნევა. ამასთან ადამიანთა გარკვეული ნაწილის მიზნებსა და ინტერესებს სწორედ უსამართლობა შეესატყვისება, რაც ცხოვრებაში მისი მყარად ფესვგადგმის ერთ-ერთი პირობაა.

უსამართლობა, როგორც ადმიანთა ურთიერთდამოკიდებულების გაუმართლებელი ფორმა, რაც გამოიხატება მათ ჩაგვრაში, დაკნინებაში, უფლებათა, ღირსების შელახვაში. უსამართლობა მეტწილად შენიღბულია, ქამელეონით ათასფერ სამოსელში იმალება. ზოგჯერ თავს სიკეთედაც წარმოაჩენს. ამიტომაც რთულდება მისი ამოძიკვა. უსამართლობის მხილებით მრავალი პროგრესული მოღვაწე იყო დაკავებული სხვადასხვა ეპოქაში. მის მიმართ პროტესტის მრავალი ფორმაც იყო გამოყენებული ფართო გამოსვლებით დაწყებული, მათ შორის შეიარაღებულითაც და რევოლუციებით დამთავრებული. ეს ჯერ კიდევ უძველეს დროში იღებს სათავეს. გავიხსენოთ ჩინეთში „წითელწამწამიანთა“ და „ყვითელსამკლავრიანთა“, თუ რომში სპარტაკელთა გამოსვლები, შუა საუკუნეების და შემდგომ ევროპაში, რუსეთში აჯანყებები... უსამართლობის წინააღმდეგ აჯანყებები ახსოვს საქართველოს ისტორიას კახეთში, სამეგრელოში, გურიაში... მსოფლიოს ხალხების ცხოვრებაში მრავლადაა ასეთი მაგალითები. უსამართლობასთან ბრძოლა სხვადასხვა ფორმით გრძელდებოდა ახალ ხანში, ახლო წარსულში და გრძელდება დღესაც. უსამართლობა და მასთან კაცობრიობის შეურთებლობა აისახა უტოპისტების და სხვა სოციალურ ფილოსოფიურ იდეებში, მრავალი მწერლის, მოაზროვნის ნაწერებში.

მართალია, ცივილიზაციის გზაზე უსამართლობის ხარისხი თანდათან მცირდებოდა, მაგრამ იგი კვლავ რჩება უდიდეს მანკად კაცობრიობისა დახალხთაცხოვრებაში. ილიას ეპოქის უსამართლობანი ნათლად აისახა მის შემოქმედებაში. სწორედ სამართლიანობის დეფიციტი არის ილიას დიდ წუხილის საგანი და მისი დაძლევისათვის მოქმედება მისი მთავარი საზრუნავი. ის, რაც მუდამ აწუხებდათ კაცობრიობის მოწინავე წარმომადგენლებს და იყო ადამიანთა უდიდესი ნაწილის ტკივილის, უბედურებათა, ტანჯვის მიზეზი, ილიას მგრძნობიარე, კაცთმოყვარე ბუნებისათვის არა მარტო მიუღებელია, არამედ უსაშინლესი განცდის მიზეზი, მო-

ქალქეობრივი პროტესტის, წყრომის საგანია, ამ მდგომარეობის აღკვეთისათვის დაუდგრომელი მოქმედების იმპულსის მიმცემია.

ილია პირუთენელად ასახავს, ამხელს საქართველოს სინამდვილეში უსამართლობის ფორმებს, რაშიც მთავარი ადგილი უკავია **სოციალურს, ადამიანთა მიერ ადამიანთა ჩაგვრას**. ილიას ნააზრევში უსამართლობის საკითხი არა მარტო კონკრეტული, ქართული სინამდვილის არამედ საერთო-საკაცობრიო ასპექტითაც განიხილება.

ილია უწინარესად აღშფოთებულია ადამიანთა დაკნინებით, მათი შრომის ნაყოფის მითვისებით, მშრომელის უმწეობითა და გაბატონებულთა ფუფუნებით, განცხრომით.

„ვინა შრომობდა და ვინა ჰძღვება,
დმერთო, სადა არის აქ სამართალი?!“
(„აჩრდილი“, – ჭავჭავაძე 1985 ა: 150)

ილია ცოცხლად წარმოგიდგენს ემა გლეხის უმწეობასა და მძიმე მდგომარეობას, მისი ცხოვრების გაუსაძლის პირობებს, დამცირებას, აბუჩად აგდებას, მის მიმართ გაბატონებული კლასის ცალკეულ წარმომადგენელთა არაადამიანურ მოპყრობას. გუთნისდედის მაგალითზე ნაჩვენებია, თუ რა მძიმეა მშრომელთა ხვედრი, ისინი ჩაგვრის მსხვერპლნი, გამწარებულნი არიან.

„ერთ ბედქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ..
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარლოდ დავლით დღენი. ..“
(„გუთნისდედა“, – ჭავჭავაძე 1985 ა: 179)

„ყმას, როცა ბატონი მონიდომებს, ქოფაკ ძაღლზედაც გაცვლის“
(ჭავჭავაძე 1985 ბ: 205)

მუშის, საზოგადოების ამ უმდაბლესი ფენის წარმომადგენლის ბედი ასევე აღვლევს ილიას:

„გოლეიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ
მე ჩამივლია.... ჩემო მუშავ, მინახისარ შენ ...“
„შენ სიცოცხლესა დააღამებ ესრეთ შრომაში,
კაცურკაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა.
მერე ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწევბ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა...“
(„მუშა“, – ჭავჭავაძე 1985 ა: 67)

ილიას აღაშფოთებსბატონების ქცევა ყმების მიმართ,მათი ცემა,
დაკინება, შურახცყოფა,უუფლებობა.ესნათლად გამოიხატა „კაკო
ყაჩაღში“, „გლახის ნაამბობში“ და სხვ. ნაწარმოებებში.
პრივილეგირებული კლასის წარმომადგენელი ილიამკაცრად
გმობსბატონ-ყმურ ურთიერთობას დაწარმოგვიდგენს მას
არაადამიანურად, როცა თავისი გმირის პირით ახასიათებს
ბატონს:

„მხეცი რამ იყო ჩვენი ბატონი,
ერთი აჯამი, გუქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამანემი შეჰბრალებოდა...“

(„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის
ცხოვრებიდამ“, – ჭავჭავაძე 1985 ა: 179)

ასევე დაუნდობლობის, შეუბრალებლობის მაგალითია „გლახის
ნაამბობში“ გადმოცემული მებატონე დათიკოსადვირახსნილობის
და ავხორცობის, უზნეობის ისტორია. ილიას მიერ თუნდაც „გლახის
ნაამბობში“ გადმოცემულ უზნეობათა, უსამართლობათა და
უკუღმართობათა ფაქტების მხილება და ბრძოლა მათ წინააღმდეგ
მისი ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის ნათელი გამოვლინებაა.
ილია მშრომელი ყმაგლეხების ინტერესების ხმალამოდებულ დამ-
ცველად გამოვიდა ბატონ-ყმობის გაუქმებისას, როცა ის თე-
ორიულად და პრაქტიკულადაც ასაბუთებდა გლეხების „გათავი-

სუფლებისას“ მათთვის მიწის გადაცემის მოთხოვნას, რის გარეშე ეს მოვლენა აზრს კარგავდა. მან ნათლად გვიჩვენა, რომ ე.წ. „საგლეხო რეფორმა“, რომელიც მე-19 ს. 60-იან წლებში ხორციელდებოდა, საერთოდ, რუსეთის იმპერიაში და, კერძოდ, საქართველოში, იყო გარკვეული სიკეთე, მაგრამ არა ის, რაც საჭირო იყო გლეხობის ნამდვილი გათავისუფლებისათვის.

ილიას მოთხოვნები ამ შემთხვევაში ჰუმანურ პრინციპებს ემყარებოდა. ამისათვის აუცილებელი ისტორიული პირობები არ იყო მომზადებული, მაგრამ ილიას მცდელობები საზოგადოების პროგრესისაკენ იყო მიმართული და ადამიანთა მიერ მის გაცნობიერებას ემსახურებოდა, გარკვეული შედეგის მიღებას ისახავდა მიზნად.

ჭეშმარიტი, უშუალო და ადამიანურია **ილიას დემოკრატიზმი**. იგი ყველაზე დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომ მუშას დიდი გულისტკივილით მიმართავს, როგორც თანაბარს, უახლოეს ადამიანს სიტყვით „ძმარ“: „უცრემლოდ ძმარ, ჩავიშვებენ სამარეში“.

ილიას უდიდესი პატივისცემა ხალხის უმრავლესობის - მშრომელი ადამიანებისადმი მრავალმხრივ გამოვლინდა მის თხზულებებში, მისი გმირების მსჯელობის მეშვეობით. ამის აშკარა მაგალითია „ოთარაანთ ქვრივიდან“ არჩილისა და მისი დის კესოს დიალოგები მშრომელ ადამიანზე – გიორგიზე. არჩილი მიმართავს თავის დას კესოს: „...მე მაგას შევირდად მივებარებოდი, დიას, შევირდად. ჩვენ რანი ვართ მაგასთან!... დეე, გვასწავლოს და გვწვრთნოს...“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 268).

ილია აქ **ქართული ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის იმ ტრადიციების დიდ გამგრძელებლად გვევლინება**, რომლებიც მას გადმოეცა წინამორბედებისაგან, დიდგვაროვანთა წარმომადგენლებისაგან. აქ მაგალითად შეიძლება გავისხენოთ გენიალური მოაზროვნე და პოეტი შოთა რუსთველი: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები...“, ასევე შესანიშნავი პოეტები – ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე:

„აქ აქებენ ძვირსა მზაკვარნი სულნი,
სძრახვენ კეთილმოქმედთ შურით შემკულნი;
ზოგადნი არიან გამდიდრებულნი, -
განა რით, ძმანო?

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხეჭვით.“

(„ვაჰ, სოფელსა ამას“, – ჭავჭავაძე 1978: 117).

გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება მუშისადმი ერთ-ერთ ლექსში ასეთია:

„მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერჩაუნგებული,
კაცი გულით, დანაგრული ბედითა,
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევიდა
საშოვნელად მხოლოდ ლუკმა პურისა...“

(„მუშა ქობულაძე“, – ქართველი

რომანტიკოსები 1978: 50).

უსამართლობის გადალახვა მთელიკაცობრიობის პრობლემა, უმთავრესი გამოწვევათაგანია. ეს ჰუმანიზმის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალია. ფაქტობრივად მთელი ისტორია წარმოგვიდგება სამართლიანობისა და ზნეობრიობისთვის ბრძოლის არენად.

სამართლიანობა დაუსამართლობამჭიდრო კავშირშია **თავისუფლებასთან და არათავისუფლებათან**. ეს კავშირი რელიეფურად არის წარმოდგენილი ილიას შემოქმედებასა და საქმიანობაში.

თავისუფლება, დამოუკიდებლობა მრავალასპექტიანია. ის ეხება პიროვნებას, მის უფლებებს, ასევე ხალხებს, ქვეყნებს, მათ მგომარეობას, ძალადობასა და არაძალადობას, მორჩილებასა და თვითმყოფადობას. სხვის დამოკიდებულებაში ყოფნა, არათავისუფლება ამახინჯებს ცხოვრების წესს, სიკეთესა და მშვენიერებას, სიტკბობას, ხალისს უკარგავს ინდივიდთა თუ ხალხის ცხოვრებას.

ილია, როგორც ეპოქის ბრძენი მოაზროვნე, ერის აქტიური შვილი, საქართველოს მოეველინა **ეროვნული თავისუფლების**

იდეოლოგად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადად. ილიას დროის საქართველო, ისევე როგორც მთელი მსოფლიო, უსამართლობის სხვადასხვა გამოვლინებებით იყო დაპყრობილი. ადამიანთა დიდი ნაწილის სოციალურ ჩაგვრას ერთვოდა ეროვნული ჩაგვრა, ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვა. ილია მისთვის ჩვეული სიბრძნით აღვივებდა ეროვნული თვითმყოფადობის გრძობას, ეროვნულ ცნობიერებას, ებრძოდა ეროვნული ჩაგვრის, დაკნინების ფაქტებს, იცავდა ენას, სარწმუნოებას. „ადრიდა ავად თუ კარვად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს... მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟობდის, ქალაი ქალაბდის... აწინა ... ერი დავარდნილ, გალახულს არნ, ვრდომილ-კრთომილ, წახდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთწყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის, წარხნდა, მოსიხრნა ქვეყანაი. რაია აწი ჩვენი დარჩენა?“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 24-25) – ათქმევინა მან „მგზავრის წერილებში“ ჯერ კიდევ ახალგაზრდამ თავის გმირს, ლელთ ღუნას, რომელიც, ავტორთან ერთად, მძიმედ განიცდის თავისი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას. პასუხი იყო: „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნექტართა ხარ ნახვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ – სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეცი ამისი პასუხი!“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 26). ამით ილიამ ხაღხს შთააგონა განთავისუფლების იდეა. მის მაგალითზე ნათელია, რომ ადამიანებისათვის ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა ისეთივე არათავისუფლებაა, როგორც პიროვნული დამოუკიდებულების, პოლტიკური უფლებების შეზღუდვა, წინეს ქვეშ ცხოვრება, ჩაგვრა. ილია იყო ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იმ ბრძოლების წინამორბედი, რომლებიც შემდგომ, მეოცე საუკუნეში, გაიმართა და რომელთაც ჯერ საუკუნის დასაწყისში დროებით დამოუკიდებლობამდე, ხოლო 90-იან წლებში კი დამოუკიდებლობის საბოლოო აღდგენამდე მიიყვანა საქართველო.

ილია ოპტიმიზტი. იგი ამ ოპტიმიზმს, უკეთეს მომავალს ადამიანთა აქტიურ მოქმედებას უკავშირებს, რაზეც იქნება დამოკიდებული ქვეყნის ბედი და ხალხის ცხოვრება.

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი ...
ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენით ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს. . .“
(„ქართველის დედას“, – ჭავჭავაძე, – 1985 ბ: 44)

ილიას სწამს საქართველოს დიდი მომავალი.

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?..
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ, ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია...“
„ჩემო კარგო ქვეყანავ!“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 115)

ილიას მგზნებარე ჰუმანიზმი და დემოკრატობა ასევე ნათლად გამოვლინდა საზოგადოების სისტემის მის კონცეპტში. იგი იკვლევდა ცხოვრების წესის ისტორიულ ტრადიციებს, გამოცდილებას, უცხოეთის პრაქტიკას და აყალიბებდა თავის შეხედულებებს, ქადაგებდა ადამიანურ ღირსებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის აუცილებლობას. იგი მომხრე იყო ისეთი საზოგადოებისა, სადაც ადამიანების მიერ ადამიანების ჩაგვრა, დაკნინება არ იქნებოდა, გამეფდებოდა თავისუფლება, ძმობა, ერთობა. ილიამ ახალ, მაღალ შეგნებამდე აიყვანა მისი უფროსი თაობის წარმომადგენლის გრიგოლ ორბელიანის დემოკრატიული მრწამსი:

„ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობას“.
(„სადღერძელო“)

მთელი ისტორიის სიმახინჯე და ცდომილება ის იყო, რომ **საზოგადოებაში ადამიანთა შორის სიკეთენი, სტატუსი დამსახურებისა და ღირსების მიხედვით არასდროს ყოფილა განაწილებული.** ისტორიის მსვლელობა ამ ხარვეზის გამოსწორებაში მდგომარეობს. ეს პრობლემა ადვილად არ წყდება. იგიაწუხებსრაადამიანთა დიდ ნაწილს, ზოგი ირჩევს ბრძოლის რევეოლუციურ, ძალადობრივ გზას, ზოგი თანდათანობით, გრადუალისტურ გარდაქმნებს. ნიშანდობლივია, რომ ილია დგას სამართლიანობის დამკვიდრების მხარეზე. იგი მიესალმებოდა მშრომელი ადამიანების გათავისუფლებას სოციალური ჩაგვრისაგან. მაშინ, როცა ევროპაში გარიბალდის რაზმი უტევდა მჩაგვრელთა სამყაროს, ილია წერდა:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილთა ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიძრავს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში.“
(„მესმის, მესმის სანატრელი“, –
ი. ჭავჭავაძე 1985 ა: 76)

თავის სტიქიაში მყოფი კაპიტალიზმი იმ დროს, როცა ილია ფართო საზოგადოებრივ და სამწერლო მოღვაწეობას იწყებდა, გააფთრებით ცდილობდა თვითდამკვიდრებას მსოფლიოში. ეს პროცესი არ იყო ია-ვარდებით მოფენილი. იგი ადამიანთა დიდი უბედურებების, სატანჯველის, დაპირისპირებების, მტრობის, ურთიერთდაუნდობლობის, სისაძაგლეთა თანხლებით მიმდინარეობდა, რის გაგება ბევრს არ სურს ან არ შეუძლია ახლაც...

კაპიტალიზმის თანხლებ უზნეობათა და უსამართლობათა კასკადი ისტორიაში კარგადაა აღბეჭდილი, მათი დაფარვა შეუძლებელია. ილია როგორც უაღრესად პროგრესული მოაზოვნე, ჰუმან-

ისტორი, არ შეიძლება ამ მოვლენათა პირისპირ განუმეხობიყო. იგი აღწერილობდა ცხოვრებაში ცვლილების აუცილებლობას და ფიქრობდა საზოგადოების ჰუმანური გზით განვითარების საშუალებებზე. საქართველოში კაპიტალიზმის დამკვიდრებაში ის სიკეთესაც ხედავდა და სიავესაც. ის, რაც დღესაც გაუგებარია ცაპიტალიზმის ბუნების შესახებ ბევრისათვის, საესებით ცხადი იყო ილიასთვის. მას ღრმად ესმოდა **უმთავრესი გამოწვევა – სისტემის მანკიერებათა დაძლევა, გარდაქმნათა, მოდერნიზაციის გარდაუვალობა.**

კაპიტალიზმი თავისთავად არ ნიშნავს ქვეყნების აყვავებას. იგი ბევრ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი მათგანია განვითარებული. ქვეყნების აყვავებისათვის საჭიროა ბევრი რამ. მათ შორის მთელი რიგი არაეკონომიკური წინამძღვრებისა – მადალი უღტურულიდაზნობრივიდონე.პროგრესულიაზროვნება.

კაპიტალიზმის მანკიერებათა დამალვა არ ეგების. სწორედ მათი გამოსწორების გზით მიდის ცივილიზაცია და პროგრესი. ამაზე ღრმააზროვნად მიგვანიშნებს ილია. იგი სწვდებოდა იმ ჭეშმარიტებას, რომ ცხოვრების გაუმჯობესების, ადამიანური ცხოვრების წესის დამკვიდრების გზაა რეალობის ცვლილებები და გარდაქმნები პროგრესული მიმართულებით. ამისათვის უწინარესად ობიექტურად, ჭეშმარიტების დაუფარავად უნდა მოხდეს ამ აუცილებლობის შემეცნება და გაგება, შემდგომ მოქმედება ამ მიზნით. სწორედ ასეთი იყო ილიას პოზიცია. იგი ღრმად სწვდებოდა მე-19 საუკუნის შუა წლების კაპიტალიზმის ბუნებას, რაც ასე თუ ისე ჰგავდა ევროპულ ადრინდელ ველურ კაპიტალიზმს, რომელიც კარგად აქვთ აღწერილი ბევრ მეცნიერსა და აგრეთვე მხატვრული სიტყვის ოტატებს – ონორე ბალზაკს, ემილ ზოლას, ჩარლზ დიკენსს, ჯონ გოლზუორთის და სხვ.

ილიამ თავისი გამჭრიახობით წამოსწია წინ მთავარი – ძირეული გარდაქმნების იმპერატივი.

„ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლვას,

ველარ განუძღვლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით ადრულსა ბრძოლას, –
და დაინსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.“

(„აჩრდილი“, ჭავჭავაძე 1985 ა: 152)

ილიას ღრმად ესმის ისტორიის ლოგიკა. ეს ამოცანა ნელ-ნელა და რთულად წყდება. მაგრამ ილიას იმედი და რწმენა საფუძვლიანია. ისტორია ამ გზით მიემართება. როგორც ვოლტერის ნაწარმოების „კანდიდის“ გმირი, ფილოსოფიურად მოაზროვნე პანგლოსი ხშირად იმეორებს, „ამქვეყნად ყოველივე უკეთესისაკენ მიემართება“ (ვოლტერი). მართალია, ეს ყოველთვის ასე არაა, ბევრჯერ ადგილი აქვს უარესობისაკენ სვლასაც, მაგრამ საერთო ტენდენცია კაცობრიობისა და ინდივიდთა ცხოვრებაში დღემდე პროგრესის გზაა. ეს ეხებაარა ერთ პერიოდს ისტორიისა და არა ერთ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, არამედ საზოგადოდ სხვადასხვა ეპოქას, ეპოქათა ცვლას, წინსვლას ყველა ქვეყანაში. ამ პროცესში ცენტრალური ადგილი **შრომის გათავისუფლებას** უჭირავს. ილიას სწამდა, რომ შრომა უნდა გათავისუფლდეს, უნდა დაიფოს დაფასებული და ღირსეულად ანაზღაურდეს.

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-გვემულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრეველად გამზადებულა.
შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი
ძღვევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის,“

(„აჩრდილი“, – იქვე)

ეს იქნება უდიდესი შემოტრიალება კაცობრიობის ისტორიაში. შრომა და მშრომელი დაიკავენ ცენტრალურ ადგილს საზოგადოების ცხოვრებაში, რასაც ისინი იმსახურებენ. „შრომის სუფევა“ იქნება ნამდვილი ადამიანური ცხოვრების დამკვიდრების ნიშანი. ცხადია, უფრო ფართოდ და ღრმად უნდა გვესმოდეს შრომის გათავისუფლება, ვიდრე ეს კომუნისტურ იდეებშია გაგებული. აქ არ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ფიზიკური შრომა (მუშისა და გლეხისა, როგორც ეს წარმოედგინა და წარმოედგინა ბევრს ვიწრო მიდგომით), არამედ ნებისმიერი მუშაკის შრომა, ვინც მატერიალური და არამატერიალური დოვლათის შექმნაში მონაწილეობს, იქნება ეს მეცნიერი, მენეჯერი, მეწარმე თუ სხვ. (სრულიად მართებულია ყველა ესენი საერთოდ მშრომელებს მივაკუთვნოთ).

„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა,
თანაწორადა ნიჭთა მფენელი,
ის მაღლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება.“
(„ანრდილი“, – ჭავჭავაძე: 1985 ა: 152)

ეს იქნება ადამიანურ ღირსებათა მოპოვება, როცა არავინ იქნება დაზარალებული, „ძირს დაცემული“, არავინ იქნება მონა და დამმონებელი, სწორედ ისე, როგორც ეს შეესაბამება ადამიანური ცხოვრების წესს, რასაც ილია უდიდეს ყურადღებას აქცევს.

„მაშინ, მაშვრალო, შენ განკაცდები,

წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასცემ, თვით ამადღლები,
არც ვის ემონვი, არცა იმონებ.“
(ანრდილი“, – ჭავჭავაძე 1985 ა: 153)

ილია მოელის ძირეულ ცვლილებებს კაცობრიობის ცხოვრებაში, საერთოდ, როცა არავინ დაბლა არ დაიწევს (ეს ჰუმანისტის მეტად მნიშვნელოვანი აზრია), მაგრამ მშრომელი ამადღლება, განკაცდება, შრომის ფასი მაღლა აიწევს.

ეს პროცესიურთულესია, საზოგადოების ცხოვრების, ურთიერთობათა კარდინალური მოდერნიზაციაა, ისტორიული შემობრუნებაა, დაკავშირებულია საერთო ტექნოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების დონის ამადღებასთან და ის დიდხანს, დღესაც გრძელდება დიდი რყევებითა და წინააღმდეგობებით. იგი თანდათან მიმდინარეობს. ჩვენს დროში იგი განსაკუთრებული ევოლუციური სოციალურ-ეკონომიკური და ისტიტუციური ძვრებით აღინიშნება, მოასწავებს მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანთა შორის უზარმაზარი სოციალური უთანასწორობის, განსხვავებისა და დაპირისპირების თანდათან მოსპობას.

ილიამ დაინახა ტენდენცია. ამდენად იგი საუკუნეთა მიღმა მჭერეტელის როლში გამოდის. ილიას პროგნოზი შრომის სუფევის შესახებ სრულიად სარწმუნოა. შრომის, როგორც ცხოვრების მთავარი დეტერმინანტის როლის, წინ წამოწევა ისტორიის ლოგიკიდან გამომდინარეობს. ეს მომავალი განვითარების მთავარი მომენტიცაა. ისტორიული პროცესის ვექტორი აქეთკენაა მიმართული, რადგან სწორედ შრომაა ყოველი ფასეულობის შექმნის ამოსავალი პუნქტი, მშრომელი –მამოძრავებელი აქტორი. ასეთი მომავლიუალტერნატივია. ცივილიზაცია ვერ შეურიგდება ცხოვრებაში სხვა ძალის, მ. შ. კაპიტალის, უხეში პოლიტიკის და სხვ. ბატონობას. რა თქმა უნდა, ილია არ ქადაგებს რაღაც ანარქისტულ უაზრო ეგალიტარიზმს (ადამიანთა უსაფუძვლო

გათანაბრებას), რაც უტოპიაა, არამედ „შრომის სუფევას“ „ჭეშმა-რიტების მის ძლიერებით“, ე. ი. სამართლიანობას მატერიალურ და სოციალურ სიკეთეთა განაწილებაში, სუბიექტების დამსახურების გათვალისწინებით, ადამიანთა თავისუფლებას, ჰუმანიზმის ზემს.

ზოგიერთ უსუსური აზროვნების ადამიანს ეს მსჯელობა რევოლუციის, ადამიანთა ქლექტის პროპაგანდად მოეჩვენება. მაგრამ ილიამ იცოდა, რომ უმწიფარი და ძალადობრივი ცვლილებები ხალხს სიკეთეს არ მოუტანს.

ილიადრმადაა ჩახედული **სოციალური თავისუფლების** აზრში, მას კარგად ესმის, რომ **თავისუფლება და დემოკრატია** ლიტონი სიტყვებია დამოუკიდებელი არსებობისა და კეთილდღეობის სათანადო მატერიალური პირობებით უზრუნველყოფის გარეშე. ვთქვათ, სამუშაოს მაძიებლის რომელ თავისუფლებაზე და უფლებებზეა საუბარი, როცა ულუკმაპუროდ დარჩენილი იძულებულია მიძიე, ხშირად დამამცირებელ პირობებს დასთანხმდეს და მიეჭირავოს სხვას, უყოყმანოდ ასრულოს მისი განკარგულებები. **პიროვნება მაშინაა თავისუფალი, როცა ის დამოუკიდებელია ეკონომიკურად, სხვის კისერზე არაა ჩამოკიდებული, ანუ ფლობს საკუთრებას და აქვს გარანტირებული შემოსავალი.** ეს ამჟამადაც არ ესმის ბევრს და თავისუფლების დეკლარირებასა (თუნდაც კანონებით აღიარებას) და რეალურ თავისუფლებას ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებს.

აღიარება ერთია და რეალობა – მეორე. როცა გვჩრიან აზრს, რომ ისტორიამ თავისუფლებისა და დემოკრატის პრობლემა უკვე გადაწყვიტა საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებით, სად აზრს უნდა მოეუხმოდ და გაგაცნობიეროდ ჭეშმარიტი და ფსევდო-პროცესები, ის, რომ ამ ამოცანის სრულად გადაწყვეტამდე ჯერ დიდი მანძილი დარჩა გასავლელი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოვლენები სრული სახით კი არ არსებობენ ყოველთვის, არამედ რაღაც ხარისხით.

ნაწილობრივ თავისუფლებას ილია არასაკმარისად მიიჩნევს, რასაც იგი ადასტურებს ბატონყმობის გაუქმებისას გლეხების უმი-

წოდ გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით. „ერთს ჩამოაც-
ილეს ის, რაც სამართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს
ის, რაც მას წართმეული ჰქონდა“ (ჭავჭავაძე 1956 ა: 9) და მაინც:
„ეგ შუა გზაა, უკეთესი მასზედ, რაც არის და უარესი მასზედ,
რაც სანატრელია. მაგაზედ განერება შეუძლებელია. დღეს თუ
ხვალ საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმ-
ნას“ (ჭავჭავაძე 1956 ა: 25).

ბატონყმობის გადაგდებისას ილია არ დარჩა კმაყოფილი საკითხის
გადაწყვეტით...„ბატონყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომ-
ელსაც ქვეყნის საკეთილდღეოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.განთა-
ვისუფლებულ გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის გან-
თავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი,
ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა სასიკ-
ეთოდ, ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა. რად-
განაც გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და
გლეხს სახმარად დაუტოვეს, მაშასადამე, აუცილებელი საჭიროება
მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და
ნაბატონარის შორის. აი, ჩვენის ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა
ის, რამაც ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა
იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვქონდა“ (ჭავჭავაძე 1956 ა: 9).

ამ კონკრეტულ საკითხზე მსჯელობისას ილია ეხება
უმნიშვნელოვანეს პრობლემას – **თავისუფლების რეალობას, მატე-
რიალური და სამართლებრივი გარანტიით უზრუნველყოფას**, რაც
ზოგიერთისათვის დღესაც გაუგებარია. „თავისუფლება“ შეიძლება
ნიშნავდეს შიმშილიან „თავისუფლებასაც“. ილია წინააღმდეგია
პალიტიკისა, საკითხის სანახევროდ გადაწყვეტისა. „უნდა გაწ-
ყდეს ყველა ძაფი, რომელიც ნაბატონარსა და ნაყმევს შორის
არის და გლეხ-თა საკითხის ყოველგვარი გადაწყვეტა, – სხვა
საწყისებზე დაფუძნებული, არ იქნება საბოლოო გადაწყვეტა; ეს

იქნება მხოლოდ გაგრძელება, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით, რომლის მოსპობა დროთა განმავლობაში ისევ აუცილებელი გახდება, როგორც აუცილებელი იყო ძველი ბატონ-ყმობის მოსპობა“.

საზოგადოების ცხოვრების გარდაქმნა ილიას იდეების

მიხედვით

ილია ადამიანთა კეთილდღეობის, ბედნიერების საქმეში დიდ ადგილს უთმობს ზნეობის, სამართლიანობის, ჭეშმარიტების, მშვენიერების, საერთოდ სიკეთის რეალიზაციაში **საზოგადოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს – საკუთრების ფორმებს, პოლიტიკურ სისტემას, მმართველობას, საზოგადოების ცხოვრების რეგულირების, წესრიგის არსებობის პირობებსა და საშუალებებს.** იგი, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს **ეკონომიკურ ურთიერთობებზე**, მათ გამოვლინებებზე – საკუთრებით ურთიერთობაზე, დოვლათის, ძალაუფლების განაწილების წესზე, ადამიანთა საზოგადოებრივი მდგომარეობაზე, სტატუსზე, ყოველივე ამის წინაპირობებზე. იგი სწავლობდა, აანალიზებდა და აფასებდა ისტორიულ მოვლენებს, ფაქტებს, ტენდენციებს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი **საკუთრების ფორმათა** ფუძემდებლური როლი საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური სისტემების ფორმირებაში, საზოგადოების წყობის ჩამოყალიბებაში. მისთვის „უკეთესი წყობა ის არის, საცა თითოეულს... თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, საცა თითოეული ისეა მოთავსებული, რომ სრული უფლება მიღწეული აქვს“ (ჭავჭავაძე 1956 ა: 166).

ილია ითვალისწინებს **საკუთრებით ფორმათა** ტრადიციებს საქართველოში და სავსებით მართებულად მიიჩნევს **მათ პლურალიზმს** ხალხის საზოგადოებრივ ინტერესთა შესატყვისად. მას,

სახელდობრ, მიაჩნია, რომ ქვეყანაში უნდა არსებობდეს კერძო და საზოგადოებრივი (ჯგუფური და საერთო, მისი ტერმინოლოგიით სათემო) საკუთრება. ეს უკანასკნელი უნდა იყოს ტყეებზე, საძოვრებზე, სხვა ბუნებრივ სიმდიდრეებზე. კერძო საკუთრება უნდა იყოს კანონიერად შექმნილი.

ილიას ნაწერებიდან კარგად ჩანს, რომ მას ნათლად ესმის საკუთრების პლურალიზმის – კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების ბუნებრივი აუცილებლობა, რაც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახით შეიძლება არსებობდეს. **მონოსაკუთრების პირობებში მოწყობილი საზოგადოება შეუძლებელია.** მთავარია რომელი საკუთრება და რა სახით დომინირებს. ამასთან კერძო და საზოგადოებრივი საკუთრება უცვლელი როდია. ისინი სხვადასხვა კონკრეტულ ეპოქებსა და პირობებში ძირფესვიანადაც განსხვავებულია.

საქართველოში საკუთრება ისტორიულად სათემო და კერძო საკუთრების სახით ეპოქების შესაბამისად იყო წარმოდგენილი. დროის შესაბამისად, ილია მოითხოვდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის – გლეხობისათვის მიწაზე საკუთრების მისაღები ფორმების დამკვიდრებას, რასაც უნდა უზრუნველყო გლეხის დამოუკიდებელი არსებობა. მაგალითად, მას მისაღებად მიაჩნდა ე.წ. ხიზნური საკუთრების არსებობა ბატონყმობისაგან გათავისუფლებული გლეხობისთვის, რაც გარკვეულად საიჯარო ურთიერთობათა დამკვიდრებას ნიშნავდა. იგი კანონის ძალით უნდა ყოფილიყო განმტკიცებული. ილია აღნიშნავდა: „ემების გათავისუფლების შემდეგ კანონმდებლობის ჯერი სწორედ ხიზნების საქმეზე უნდა მიმდგარიყო. ხიზნობაც ერთგვარი მფლობელობაა მიწისა, რომელსაც მოსდევს დამოკიდებულება თავისუფალი გლეხისა მიწის მეპატრონესთან. რასაკვირველია, ქვეყნის სიკეთათვის საჭიროა ეგ დამოკიდებულება შეეფერებოდეს ეხლანდელს მოთხოვნილებას და მაინცდამაინც განსაზღვრული იყოს და კანონის მფარველობის ქვეშ მდგარი“ (ჭავჭავაძე 1956 ა: 115-116).

მაშასადამე, საუბარია სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობაზე, რომელიც პროგრესული იყო ადრე არსებულთან შედარებით, საერთოდ, და თვით გლეხობის მდგომარეობის თვალსაზრისით, კერძოდ. ილია გვიხსნის ამ ურთიერთობის ობიექტურ საფუძველს: „ერთის მხრით, უმამულობა მიწათმოქმედისა და, მეორეს მხრით, უხელობა მიწის მეპატრონისა იყო დასაბამი თითონ ბატონ-ყმობისა და იმგვარი მიწათმფლობელობისა, რომელსაც ფერმერობას, ხიზნობას და სხვა ამგვარს, მიწის ქირით დაჭერას ეძახიან“ (ჭავჭავაძე 1956 ა: 121).

ამასთან ერთად, ილია აუცილებლად მიიხნევედა, **კერძოსთან ერთად, საზოგადოებრივი საკუთრების** არსებობას. „საკუთრებას ორი ნაწილი შეადგენს: ერთი – პირადი, მეორე – საზოგადო, რადგანაც იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისათვის, რომ ნაამაგარი მისის შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისათვისაც, რომ შესაძლოდ და დღევანდელად ქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა. ერთიცა და მეორე ნაწილიც ცოტად თუ ბევრად თვის საბუთსა ჰპოულობს იმაში, რომ თვით ადამიანიც ბუნებითად ორ მხარეს წარმოადგენს. ერთის მხრით, იგი ცალკე სულიერია, რომელსაც ცალკე, პირადი საგანი აქვს ცხოვრებისა და სხვაზედ დამოუკიდებლად მიეზიდება ამ საგნისაკენ, და მეორეს მხრით, ზოგადი სულიერია, რომელიც მრავალგვარად გადაბმულია, დამოკიდებულია სხვა თავის მსგავს სულიერებზედ იმ აუცილებელი საჭიროების გამო, რომ მარტოდ ცხოვრება ბუნებითად არ უწერია და უნდა უსათუოდ სცხოვრობდეს თავის მსგავსთა შორის“ (ჭავჭავაძე 1956 ა: 141). როგორც ვხედავთ, ილია სავსებით მართებულად საკუთრების მრავალფეროვნების ორ მყარ და უტყუარ საფუძველს ხედავდა (რაც დღესაც ვერ ხვდება ზოგიერთი).

მეურნეობის მოწყობის პროგრესული გზების ძიება ილიას დიდი ინტერესის საგანი იყო. მან შეისწავლა და გვიჩვენა წარსულში არსებული ისეთი პროგრესული, კოლექტიური, ადამიანების ჯგუფების ძალთა გაერთიანების გზით მეურნეობრიობის სასარგებლო

მხარეები, როგორც იყო ჯერ კიდევ ძველ დროში არსებული მეურნეობრიობის წესი – ხოდაბუნური სისტემა.

საკუთრების პლურალიზმის (ფორმათა ნაირსახეობის) მოქნილი მთლიანობითი სისტემის არსებობის შესახებ ილიას შეხედულება დღესაც საგულისხმოა. ბევრსკონსერვატიული დაშეზღუდული აზროვნების გამო ვერ წარმოუდგენია საკუთრების ფორმათა ევოლუცია, კერძო, საზოგადოებრივი და კოლექტიური საკუთრების თანაფარდობის კონკრეტული ფორმები დროის შესაბამისად. ილია მიუთითებდა ამ ფორმების თანაფარდობის მნიშვნელობაზეც. „რომელი ერთი გინდა ავიღოთ მთელს ქვეყანაზედ, ჰნახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიკური ცხოვრება იმის ბრძოლაში დაღუვლა და იღვევს დღესაც, ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ, და ან მეორე“ (ჭავჭავაძე 1956 ა: 141). დღეს კი ზოგს შეუძლია წამოროშოს ისეთი აბსურდული ლოზუნგი, როგორცაა „ყველაფერი უნდა გაიყიდოს!“, მაშასადამე, სახელმწიფო მეფე ღირვით არაფრის გარეშე დატოვოს. აბა, რის მაქნისი იქნება ასეთი სახელმწიფო, როგორ შეასრულებს ის თავის ფუნქციებს, როგორ შექმნის ასე აუცილებელ საზოგადოებრივ დოვლათს – უზრუნველყოფს წესრიგს ქვეყანაში, უსაფრთხოებას, როგორ შეუწყობს ხელს განათლების, კულტურის, მეცნიერების განვითარებას და სხვ? ერთი ისიც ვნახოთ, როგორია საკუთრების ფორმები მოწინავე, ე.წ. ცივილიზებულ ქვეყნებში. იქ საზოგადოებრივი (სახელმწიფო, კოლექტიური) და კერძო საკუთრება თანაარსებობს და ურთიერთს ავსებს სხვადასხვა პროპორციით. მაგალითად, ინგლისში სახელმწიფო საკუთრების წილი შეადგენს 40 %-ს, იაპონიაში – 35 %-ს, ჩინეთში კი, რომელიც ბოლო ხანებში დიდი წარმატებით ვითარდება, – 66 %-ს, 1 მაგალითია სახელმწიფო საკუთრების წილი საფრანგეთში, იტალიაში, შვედეთში და ა.შ. დღეისათვის ცივილიზებულ ქვეყნებში თვალში საცემია საკუთრების

1 ამ თანაფარდობას თვით ბუნების ფუნდამენტურ კანონსაც, ე. წ. „ოქროს პროპორციასაც“ კი უკავშირებენ, – ი. ფრანგიშვილი. ოქროს პროპორცია ბუნებაში, საზოგადოებასა და ეკონომიკაში. ჟურნ. „კომენტარი“, 2004, № 3. გვ. 33.

კოლექტიური ფორმების გაფართოების ტენდენცია. სახელმწიფოს ხელში ექცევა ეროვნული შემოსავლის დიდი ნაწილი. კერძოდ, ქვეყნის მთლიან შინაპროდუქტის მიმართ სახელმწიფო დანახარჯები 1998 წელს შეადგენდა ა შ შ –ში 33,1 %-ს, ინგლისში – 39,7 %-ს, გერმანიაში – 47,4 %-ს, საფრანგეთში- 55,2 5-ს შეეციაში – 60, 8%-ს, იაპონიაში – 35,5 %-ს (Economic 1998: 131). სწორედ ასეთ პირობებში წყდება დღეისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების პრობლემები. ილია მხარს უჭერდა რა საკუთრების მრავალფეროვნებას, სინანულს გამოთქვამდა კერძოსაკუთრების მიერ საერთო (სათემო) საკუთრების შევიწროების გამო. „ეს კერძოდ დაჩემება მამულებისა დროთა განმავლობაში თანდათან ძლიერდებოდა და ამ გაძლერებამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ერს ყველგან ერთი და იგივე დღე დააყენა: უმრავლესს ჩამოართვა თითქმის მიწები და უმცირესს დაულოცა“ (ჭავჭავაძე 1956 ა: 122).

ჭეშმარიტება ხომ საკუთრების ფორმების გონივრულ თანაფარდობაშია. საკუთრების ეს ფორმები მარადიულია, რაღაც კონკრეტული სახით თითქმის ყოველთვის არსებობდა, რადგან ეს შეესაბამება საზოგადოების სტრუქტურას, მიზნებსა და ამოცანებს. ამასთან საკუთრების ყველა ფორმა იცვლება, ვითარდება ახალი პირობების შესაბამისად. ზოგიერთი თანამედროვე ავტორის მცდელობები დააკნინოს საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრება, მისი როლი და ფუნქციები, ჩათვალოს იგი არაეფექტიანად, ხოლო კერძო საკუთრება ყოველგვარი პრობლემის გადაწყვეტისათვის გამოაცხადოს პანაცეად, საზოგადოების კეთილდღეობის უებარ ფაქტორად, გაუმართლებელია, დაცლებულია რეალობას, როგორც მთის მწვერვალი ბარს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საკუთრების ფორმები იკითხება არაათავისთავად არაეფექტიანი, არამედ მათი გამოყენების მექანიზმი და წესები. ეს ეხება სახელმწიფო საკუთრებასაც და კერძოსაც.

ილია არაა კერძო საკუთრების აბსოლუტიზაციის მომხრე. ის კარგად ხედავს, რომ კაპიტალისტური კერძო საკუთრება ხშირად არასამართლიანი, არაზნეობრივი და ძალადობრივი გზებითაა მოპოვებული. საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული კაპიტალისტური წყობის სახით, თავისთავად როდია საყოველთაო სიკეთის წყარო. იგი არც ისე პატიოსანი გზებითა დამოქმედებით შემოსულა. თვითკაპიტალი შეიძლება იყოს წესიერი საშუალებებით მოპოვებული დაარაწესიერითაც, უზნეოდაც, სხვისი ძარცვითა და ექსპლუატაციით. „ქურ-ღობაცა ბურჟუაზია და კაპიტალიზმის გაუმაძღარი სტომაქი ქართველებს სახსენებელს გაუწყვეტს, თუ ჩვენი მხრიდან ჩვენი ცხოვრების უწერელი კანონები არ მოვიმარჯვეთ და მხოლოდ სხვათა დუღუქზე დავიწყეთ ცეკვა“ – წერდა დიდი ილია.

ილია ღრმად სწვდება კაპიტალიზმის ბუნებას, რომ იგი ორადია – პოზიტიური და ნეგატიური მხარეებით ხასიათდება. მისთვის საესებით ცხადია კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოების განვითარების ისტორიული საფეხურის, აუცილებლობა და როლი. ამიტომ ის კაპიტალიზმზე სწორედ ამ კონტექსტში მსჯელობს. თანაც კაპიტალიზმი სხვადასხვა თვისებრივით ხასიათდებოდა სხვადასხვა ეპოქაში. თავდაპირველად მისი ჩამოყალიბება ევროპასა თუ ამერიკის კონტინენტზე ღრმა წინააღმდეგობრივი, მიძიმე პროცესებით, ველურობის გამოვლინებებით აღინიშნა, როგორც ახლდა კაპიტალის პირვანდელ დაგროვებას. კაპიტალიზმმა შეიძლება ერის მცირე ნაწილს მოუტანოს სიმდიდრე და ეკონომიკური ძალაუფლება, ხოლო უმრავლესობა სიღარიბესა და ჩაგვრის პირობებში აცხოვროს. კაპიტალი შეიძლება იყოს ნამუსიანი და უნამუსო, მხოლოდ მეპატრობისათვის სარგებლობის მომტანი ან მთელი საზოგადოებისათვის სარგებლობის მომტანი. მაშინდელ საქართველოში ბიზნესისმოქმედ წარმომადგენლებს ილია ასე ახასიათებს: „მთელს მოქმედებას ფულიანი კაცებისას ჩვენში რომ თვალი დავაკვიროთ, დავინახავთ, რომ იგინი მარტო ერთი ჯიბიდან მეორეში ფულის გადატანისათვის იღწვიან და მათგან

სხვა არაფერი გამორჩენა არ იცის ქვეყანამ. აბა, ერთი მიხედ-
 მოიხედეთ ჩვენს გარშემო და გვიჩვენეთ. რომ ერთს ვინმეს
 მათგანს თითი გაენძროს ქვეყნის სიმდიდრის წასამატებლად ამ
 ყოვლად და მრავალგვარად მდიდარს ქვეყანაში, სადაც ათასგვარი
 ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მაგვარი დიდ ხელს მისცემს
 მრეწველსაც და ქვეყანასაც გაამდიდრებს“ (ჭავჭავაძე 1956 ბ: 266).

ეს სიტყვები ხომ ნათლად მოგვაგონებს ზოგიერთი ჩვენი თანა-
 მედროვე იმ თანამემამულის ქცევას, რომელიც ქვეყნის სიმდიდრის
 ძარცვითა და გაყიდვით, ჯიბის გასქელებით იყვნენ დაკავებულნი
 საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში და ეკონომიკის
 აღორძინებაში აგურის დადება აზრადაც არ მოსვლიათ. აქედან
 დასკვნა: კაპიტალი ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვით არ შეწ-
 უხდება, თუ ის თავის ნებაზე იქნება მიშვებული და საზოგადოე-
 ბის კონტროლქვეშ არ მოექცევა. ამიტომ სხვა საზოგადოებრივმა
 ძალებმა უნდა უზრუნველყონ საბაზრო-კომერციულ, კაპიტალ-
 ისტურ ურთიერთობათა ჩაყენება მთელი საზოგადოებისსამსა-
 ხურში. „კაპიტალი როცა ნამუსიანია, კარგია, მაგრამ უნამუსო
 კაპიტალი, ჩარჩული ფული ბუნებითაც მხდელია. იმიტომ, რომ
 ქურდობაცაა—იქ იმის, საცა არ უთესია“ (ჭავჭავაძე 1956 ბ:13).

ამის გვერდის ავლა, რაც ამჟამადაც აშკარაა, მახინჯ სინამ-
 დვილზე თვალის დახუჭვაა. კაპიტალისა და კაპიტალიზმის ეს
 ორმაგი ბუნება ახალაც უცნობია ზოგიერთი ჩვენი თანამედ-
 როვისათვის, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან
 საქართველოში გარკვეული წრეების (ვისაც ეს აწყობდა)
 ხელშეწყობით „ველური კაპიტალიზმის“ შემოჭრის ბინძურ
 მეთოდებსა და ხალხისათვის სავალალო შედეგებს ვერ ამჩნევს.
 სწორედ ამიტომ ხალხის უდიდესი ნაწილი სიღატაკეში აღმოჩნდა.
 თავისუფალი ბაზრის მომხრეების უსუსურობა ნათლად
 დადასტურდა მახინჯი სისტემის ჩამოყალიბებით, რაც მთელი
 საზოგადოების ინტერესებისაგან შორს იყო. ამაზე
 მიუთითებდაცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯ. გელბრეიტი:
 ვინც ამბობს სმიტის დროინდელი თავსუფალი ბაზრისაკენ

მობრუნებაზე, ისინი იმდენად არასწორნი არიან, რომ მათი თვალსაზრისი შეიძლება ფსიქიკურ გადახრად მივიჩნიოთ.

აქ კარგად იკვეთება სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სწორად ჩამოყალიბებისა და ამაში საზოგადოებრივი ზემოქმედების მნიშვნელობა. განსხვავებით დასავლეთის ლიბერალი და ნეოლიბერალი თუ ლიბერტიანული თეორეტიკოსებისაგან, დაწვეული ა. სმიტიდან თუ ჟ. ბ. სეიდან და დამთავრებული მ. ფრიდმენით, ლ. ფ. მიხესის ფ. ჰაიეკით და სხვ., რომელთაც ბევრი ჩვენი თანამედროვე ფეხდაფეხ მისდევს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის, ანუ თვითდინების, დერეგულირების საკითხებში, ილია მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა საერთო საზოგადოებრივი ნების გამოხატვასა და რეალიზაციას გონივრული პოლიტიკის მეშვეობით. ეს ნათლად ჩანს მის ნაშრომებში, რომლებშიც მსჯელობს პოსტფეოდალური (პოსტბატონ-ყმური) პერიოდის საქართველოს ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში საზოგადოების, სახელმწიფოს როლის შესახებ. მით უფრო, თანამედროვე საბაზრო სისტემა არ შეიძლება ძველის ანალოგი იყოს ან ძველი გზით შეიქმნას. დღეისათვის საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების დამახასიათებელი ნიშანი გახდა საზოგადოების კონტროლით განვითარება, რაც სულ უფრო მეტ ხარისხს იძენს და არასტაბილურობის, ქაოსური პროცესებისა და ანარქიულობისაგან დაცვის უალტერნატივო პირობას წარმოადგენს. ზოგიერთს კი უნარი არ შესწევს ეს დაინახოს და საზოგადოების მხრივ კონტროლირებად ბაზარს მიუღებლად მიიჩნევს. ასეთები ძველ დროში განაგრძობენ ცხოვრებას.

ილიას მიდგომა **საზოგადოებრივი წყობის** ჩამოყალიბების საკითხში სისტემურია, ეპოქის რეალობებს ითვალისწინებს. იგი აღიარებს ისტორიულ კანონზომიერებას, ობიექტურ პირობებს, პროცესების ლოგიკას, მაგრამ ანგარიშგასაწევად და მნიშვნელოვან ძალად თვლის სუბიექტების მიმზანმიმართულ მოქმედებას და ზემოქმედებას ისტორიაზე.

„ცხოვრება თვითრჯულია. იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცთაგან მოგონილ რიკრიკზედ... თუმც იგი ბერდება იმ სიბერის გამოცდილებით, ისევე თავისთავად ახლდება და ჰყვავის“ (ჭავჭავაძე 1952: 536-537). „თვითონ ცხოვრება აღმოშობს თავისავე წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, – მხოლოდ ამ კანონს გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება შეაყენოს“ (ჭავჭავაძე 1952: 57-66). ამას კიუნდააკეთებდნენადამიანები, საზოგადოებრივი ძალები, საერთოდ. ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ ქვეყანაში არსებობდა ცხოვრების წესის მანკიერებანი, რომლებიც ადამიანთა ზნეობრივი ხარვეზებითა და ინტელექტუალური განვითარების არასაკმარისი დონით იყო განპირობებული... ილიამ მეცნიერული სიღრმითა და გამჭრიახობით, პუბლიცისტური სიმახვილით შეაფასა საქართველოში ახლად ფესვადგმული კაპიტალიზმის წარმოქმნა და მოვლენები, რომლებიც ასევე აისახა რაფიელ ერისთავის, გრიგოლ წერეთლის, დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანის, ეგნატე ნინოშვილისა და სხვ. ნაწარმოებებში. ბურჟუაზიული ცხოვრების წესის წარმოშობა და დამკვიდრება, მართალია, პროგრესული იყო იმ დროისათვის, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ველური მეთოდებით ხასიათდებოდა და მოსახლეობის დიდი ნაწილის სილატაკისა და დაუნდობელი ძარცვის პირობებში მიმდინარეობდა (როგორც ეს იყო ყველგან).

ილიამ თავისი შემოქმედებით წარმოაჩინა კაპიტალიზმის როგორც პირველი, ისე მეორე მხარე. ეპოქათა გადასახედიდან ადამიანთა მანკიერებანი კლების ტენდენციით ხასიათდება პროგრესულთან თანაფარდობაში, რაც აისახება საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ცხოვრების წესში. ილია ხედავს, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს ბუნებრივად, სპონტანურად. მაგრამ აუცილებელია თვით ადამიანებმა, საზოგადოებამ მასზე მოხდინოს ზეგავლენა, ხელი შეუწყოს მანკიერებათა შემცირებას, ჯანსაღი და პროგრესული ტენდენციების გაღვივებასა და გაძლიერებას. მასში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მანკიერებათა მხილება, სწორი აზროვნებისა და მოქმედების გზების ჩვენება. ილიას საქმიანობა

საზოგადოების გაჯანსაღებისთვის, მანკიერებათა დაძლევისათვის დიდ წინააღმდეგობებსაც აწყდებოდა, სიცოცხლის რისკთანაც კი იყო დაკავშირებული, გმირობის ტოლფასია. იგი მის თანამედროვეებში წარმოჩნდა როგორც ეროვნული ლიდერი, დემოკრატიული, ჰუმანური საზოგადოების ჩამოყალიბების იდეოლოგი და წინამძღოლი.

ობექტური კანონზომიერება მაგისტრალური გზაა, მაგრამ მრავალი კონკრეტული ცალკე გზა შეიძლება არსებობდეს. ამ გზების პოვნა და ამ გზებით სვლა სუბიექტების საქმეა. მათზე ბევრად დაამოკიდებული, თუ როგორი იქნება ცხოვრება ყველასათვის და არა მარტოზოგიერთებისათვის. ამშემთხვევაშივლინდება ლიდერის, პოლიტიკოსთა, საზოგადოებრივი ნებისა და გონების როლი. ისტორიის კანონები ბუნების კანონებისაგან განსხვავდება. აქ ადამიანების მოქმედებაა მნიშვნელოვანი, მაშინ, როცა ბუნების მოქმედებაში ადამიანები ჩარევა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ერის, ქვეყნის წინამძღოლს, მის უნარს, ნებას, თვისებებს, მენტალიტეტს, ცნობიერებას, მსოფლმხედველობას.

როგორც სხვადასხვა ერის ისტორიაში ბევრმა კორიფემ, ილიამ მძლავრი ბიძგი მისცა საქართველოში დემოკრატიული აზროვნებისა და საზოგადოების ჰუმანური გზით განვითარების იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, თუმცა იგი ძნელად და წინააღმდეგობებით მიმდინარეობდა.

ცხოვრების წესი რთული ფენომენია. იგი მოიცავს კერძო ადამიანურ და საერთო-საზოგადოებრივ მხარეებს, მათს ერთიანობაში ვლინდება. იგი მრავალწახნაგოვანია, აერთიანებს ეკონომიკურ წყობას, ურთიერთობებს, პოლიტიკურ სისტემას, კულტურას, ქცევას და შესაბამის ნორმებს.

ილიას ყურადღების ცენტრშია **ადამიანთა არაჰუმანური ურთიერთობები, საზოგადოების გათიშულობა, მასში დაპირისპირება, როგორც საერთო კეთილდღეობის დაბრკოლებები**, რასაც ბევრი გვერდს უვლის, თითქოს ეს ნორმალური, უმტკივნეულო მოვლენა

იყოს. უკუღმართმა და მახინჯმა ისტორიამ ჩატეხა ადამიანთა შორის ხიდი, დააყენა ისინი სხვადასხვა, ურთიერთსაპირისპირო მხარეზე. ილია მძაფრად, მუქ ფერებში ასახავს ამ მოვლენას თავისი გმირის არჩილის სიტყვებით: „ჩვენ შუა ხილია ჩატეხილი: ისინი იქითა ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორ-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვერ მიგვიწვდენია... ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ-მეთქი... იმათ ჭირსა და ლხინსა ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვერ მიჰკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 284). ამასვე გამოხატავს გლეხი გიორგის სიტყვები მაღალი კლასის წარმომადგენლის, შეყვარებული კესოს მიმართ: „განა არ ვიცოდი, – მე ვინ და შენ ვინ!... სად მივწვდებოდი ცაში ვარსკვლავს!“ მეორე მხრივ, ილია აღფრფოვანებას გამოხატავს მშრომელი გლეხის თვისებების გამო. „ვეღარ გამოეცნოთ, – გლეხკაცობაში საიღამ და როგორ უნდა დაწულიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 254).

ილია შინაგანად ვერ ურიგდება **საზოგადოების გათიშულობას**, რაც მის ეპოქაში აშკარად **წოდებრივი** ფორმით არსებობდა.. ილია წუთისოფელს „უთავბოლოსა და უსწორმასწოროს“ უწოდებს. იგი აღნიშნავს: „ერთიც ეს არის საჭირობოროტო და წყველა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 396).

წოდებრივი ურთიერთობები დიდი პრობლემაა. ეს ილიას ეპოქაში მწვავედ იდგა. დიდი მთაზროვნე ცხადად ხედავდა, რომ ამ პრობლემის პროგრესული წესით გადაჭრის გარეშე ქვეყანა ცივილიზაციის გზას ვერ დაადგებოდა. წოდებრივი დიფერენციაცია, პრივილეგიები შლიდა საზოგადოებას, მასში დაპირისპირების, ე.ი ერის ერთიანობის რღვევის მიზეზი იყო. ილიას კარგად ესმოდა, რომ წოდებრივი პრივილეგიები ისტორიის უკუღმართობებს მიეკუთვნება, მასში აქვს ფესვები და ცივილიზაციის კვალობაზე უნდა წაიშალოს. ეს ტრადიციული ნაღმი, რაც იღო ცხოვრების საფუძველში, უნდა გამქრალიყო. ადამიანთა

ადგილი, სტატუსი დაფუძნებულია იყოს ადამიანთა პირად ღირსებებზე და არა მემკვიდრეობით წოდებრივ სტატუსზე. ილია აქ ნათლად გამოჩნდა როგორც ჭეშმარიტი დემოკრატი. იგი აღნიშნავდა: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარობის განურჩევლად და გამოკლებლად მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვლიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ. ცალ-ცალკე ხენა და მკა, ცალ-ცალკე ღხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისკენ, მარტო თავისი თავის ცხოვრებისა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საერთო ცხოვრებისა და საცა ეს ურთიერთობა არ არის, იქ არც კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 35).

ილია, ჩვენი აზრით, ისე უნდა გავიგოთ, რომ საკითხი ეხება არა წოდებრივ თანასწორობას, არამედ წოდებრივი პრივილეგიების მოსპობასა და ადამიანთა სტატუსის განსაზღვრას დამსხურების, პირადი ნიშან-თვისებების მიხედვით. აზრი, თითქოს ილია „ელტეოდა კლასებს შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამართლებას, მიგვაჩნია ილიას შეხედულების ფალსიფიკაციად. მან კარგად იცოდა, რომ ასეთი რამ შეუძლებელია. „უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია ... ბატონ-ყმობას შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“ (ჭავჭავაძე 1985 ბ: 35). ფუჭია ზოგიერთის უაზრო მტკიცება, თითქოს საქართველოში ტიპური (კლასიკური) ბატონ-ყმობა არ არსებობდა, არამედ იყო პატრონ-ყმური, მამაშვილური დამოკიდებულება, მზრუნველობა ერთმანეთზე პატრონსა და ყმას შორის. ეს ცხოვრების ფაქტებით არ დასტურდება და მას არც ილიას შეხედულებები, მხატვრული შემოქმედება არ ეთანხმება.

ილიას ნაწარმოებები და ნაშრომები ნათელს ჰფენს ამ საკითხს. **ხალხის ერთიანობის** სხვა გზა არ არსებობს, გარდა მემკვიდრეობითი წოდებრივი პრივილეგიების მოსპობისა. ილია ოცნებობს ისეთ საზოგადოებაზე, სადაც არ იქნება ადამიანთა

დაუნდობელი დაპირისპება, დაქსასულობა. ამისათვის მთავარია სამართლიანობის, თავისუფლების დამკვიდრება, ადამიანთა ჩაგვრის გამორიცხვა, ადამიანთა საზოგადოებრივი მდგომარეობის საფუძვლად პირადი ღირსებების გამოცხადება როგორც სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნების პირობა. „ნუთუ ყოველ საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? ნუთუ ყველა ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმოფხვრას ჩვენთა წინაპართა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს შევსებულს დენას შეერთებული ძალისას?“ (წერეთელი 1961: 57).

განა დღესაც არაა ეს აზრი აქტუალურიდა საჭირ-ბოროტო? განა დღესაც არ არსებობს საზოგადოების დაქსაქსვის, მასში განხეთქილების მიზეზები? რა მნიშვნელობა აქვს, ეს ისტორიული, მემკვიდრეობით მიღებული გვაროვნულ-წოდებრივი უთანასწორობაა თუ ახალი, ქონებრივი, ინსტიტუციური და სხვ., მაგრამ არანაკლებ საზიანო და მწვავე ადამიანებსათვის, ფართო გაგებით, მთელი საზოგადოებისათვის.

ილია თავის მეცნიერულ შემოქმედებაში დიდ ადგილს **ქვეყნის მმართველობის სისტემას** უთმობს. მან მკაფიოდ და ღრმააზროვნად ჩამოაყალიბა მართვის ფორმების ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი იხილავს **ცენტრალიზებულ, ტოტალიტარულ და დეცენტრალიზებულ, დემოკრატიულ სისტემებს**. უპირატრსობას აძლევს რა უკანასკნელს, აღნიშნავს: „მეორეგვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მთელის სახელმწიფოს საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე რომ ყოველს ნაწილს თავისი ადგი-ლობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილი... ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალხის უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი თვითმმართველ-

ობისეთი თვისებისაა, რომ, საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში ჩვეულებრივს ნაყოფს გამოიტანს... (ჭავჭავაძე 1956 ა: 36). „რაც სახელმწიფოს საერთო ვითარებას არ შეაგენს, იგი თვითმმართველობის უცილო კუთვნილებაა“ (ჭავჭავაძე 1956 ა: 36).

საგულისხმოა, რომ ილია ქვეყნის პოლიტიკური მოწყობისფორმების გარკვეულ მაგალითებს პოულობდა საქართველოს წარსულის სინამდვილეში. კარგი მაგალითი იყო სათემო თვითმმართველობა, ხალხის მონაწილეობა თავისი ბედის გადაწყვეტაში, რაც მიგვანიშნებს დემოკრატიის ისტორიულ ფესვებზე საქართველოში. საერთო საკითხების გადაწყვეტის, მასში ხალხის მონაწილეობის შესახებ ადრინდელ საქართველოში საუბრობს ილიას გმირი ლელთ ღუნია: „როდეს ასტყდის ერთობანი დიდ-ღევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას აქაიდ გამართვინ, აირჩევინ ბჭედა ბრძენ-ბერ-კაცნი, პეიტრობით სახელდებულნი, დასხმინ მათ იმ სენაკი საბჭობად. რაიც მერედ სამების სახელით, ხთისგან მათხავნილ მადლით იგნ ბჭენი ჰსთქმიან, გადაჰსჭრიდიან, არავინ შეშლიან, არავინ გაველიან“ (ჭავჭავაძე, 1985 ბ: 23). აქ ნათლად ჩანს შეგონება, რომ საერთო საქმეების გადაწყვეტა საერთო სიბრძნის, განსჯის შედეგადაა მიზანშეწონილი და სასარგებლო, პროდუქტიული. ეს შეგონება დღესაც საგულისხმოა იმათთვის, ვინც ვოლუნტარისტულ ტენდენციას ამჟღავნებს.

ილიას მიაჩნდა, რომ ახალ პერიოდში ისტორიული გამოცდილების ცოდნა სასარგებლოა მომავალი, ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოწყობის, დროის შესაბამისი მოდელების ჩამოყალიბებისთვის. ამაში შემოქმედებითმა მეცნიერულმა აზრმა თავისი წვლილი შეიძლება შეიტანოს. წარსულის მოდელის ცოდნა ზოგიერთი მყარი, მარადიული ელემენტის ახალი დროს შესაბამისად გამოყენებისათვისაა საჭირო და არა პირდაპირი გამოდელებისათვის.

მაშასადამე, საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის ფუნდამენტური თეორიული საფუძვლები ნათლადაა განსაზღვრული, მაგრამ

მათი პრაქტიკული რეალიზაციაა ურთულესი საქმე. იგი სრულად არაა დღემდე განხორციელებული. სასარგებლო იქნებოდა ჩვენი პოლიტიკური სისტემა ილიას იდეებს ითვალისწინებდეს.

დიდი ილიას იდეები დროის გამოწვევების, კონკრეტული პირობების შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული, რეალიზებული და არადოგმატურად გაგებული. ჩვენ ილიას პოზიციას ამ კუთხით ვხედავთ. მიგვაჩნია, რომ გადაჭარბებული და არასწორია ვიფიქროთ, რომ თითქოს ილია გეთავაზობდა ცხოვრების ქართული ისტორიული მოდელების გადმოტანას ახალ ეპოქაში, როგორც ამას გვკარნახობს ზოგიერთი, სინამდვილის ხასიათსა და კანონებში ღრმად ჩაუხედავი ავტორი. ძველი ქართული ეკონომიკური წყობის ფორმების თანამედროვე ცხოვრებაში გადმონერგვა ან ანალოგის ხელონურად შექმნა შეუძლებელია. ეს ძველ ფორმებზე უაზრო ჩაჭიდება იქნებოდა. საზოგადოების განვითარებას თავისი კანონები აქვს. ისტორია არ მეორდება. ახალი ეტაპი განსხვავებული შინაარსისაა და შესატყვის ფორმებს წარმოშობს. თანამედროვე საზოგადოება ინდუსტრიულ ეტაპს გადის და პოსტინდუსტრიული საკენსაკენ მიემართება, რაც გარდაუვალი ბუნებრივი გზაა. ეს ეხება საქართველოსაც.

ამ ხანას ღრმა ეკონომიკური და საერთო-საზოგადოებრივი ცვლილებები ახასიათებს, მ.შ. საკუთრებით და სხვა ურთიერთობათა მხრივ. პოლიტიკური სისტემა, თვითმმართველობა ახალ ყაიდაზე უნდა მოეწიოს. ძველი ფორმების გაცოცხლება, „ძველ ცხენზე გადაჯდომა“ ეწინააღმდეგება ისტორიის კანონებს. დრო მოითხოვს თავის შესაბამის მყარ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, საზოგადოებისა და ეკონომიკის მოწყობის შესატყვის პროგრესულ ფორმებს. ცხოვრება თვით იპოვის და შექმნის სათანადო სისტემებსდა მისთვის რაიმე კონკრეტული მოდელების ხელონურად თავს მოხვევა გაუმართლებელია. ვფიქრობთ, სწორედ ეს შეესაბამება ილიას მსოფლხედვას. **ისტორიის მთავარი გაკეთილი ისაა, რომ არსებობდეს ადამიანთა თავისუფლებისა და დემოკრატიის მყარი ეკონომიკური საფუძველი, ადამიანები არ**

იყვნენ გაუცხოებულნი საკუთრებისაგან და ბუნებრივი უფლებებისაგან, პოლიტიკურ სისტემაში ცენტრისა და რეგიონების ურთიერთობა იყოს ჰარმონიზებული, უფლებამოსილებანი ობიექტურად და მთელი ხალხის სასარგებლოდ განაწილებული. ყოველივე ამას საფუძველს უნდა უმაგრებდეს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების შეხამების ახალი ეპოქის საღარი უცილობელი წანამძღვრები.

საგულისხმოა, რომ ილია ცხადად ხედავდა თავისი ეპოქის მნიშვნელოვან მოვლენებსაც, **ნათელ მხარეს, პროგრესული აზროვნების წინსვლას**, რაც მის აღფრთოვანებას იწვევს და ჰუმანიზმს აშკარად აჩენს. იგი ამას უკავშირებს ისტორიულ პროცესს, ადამიანთა ცნობიერების ჭეშმარიტებისაკენ წინ გადადგმულ ნაბიჯს, რაც საფუძველად უნდა დაედოს ცხოვრების გარდაქმნის მთავარ საკითხს – ადამიანთა ჩაგრული ფენის მდგომარეობის შეცვლას, სამართლიანობის დაფუძნებას ცხოვრებაში. ამასთან ილია ხედადა, რომ ეს ჯერ კიდევ თეორია იყო და მის რეალიზაციას ბევრი დრო დასჭირდებოდა (რაც სრულად ჩვენს დროშიც ჯერ კიდევ არ დამდგარა). ავინ მოსთვლის ყოველ იმ სიკეთეს, რომელიც მე-19 საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნის, სხვათა შორის ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რაწოდებათა კიბის საფეხურზედ გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, – ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააფართოვა და დაუდვა რა მეცნიერული საბუთი ღარიბთა დაუძღურთა სამწყო მოძღვრებად გადააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოვლის კლასბრივი ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოვლის კლასობრივი სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა

გამრჯელი და მშრომელი კლასების წარსამატებლად“ (ჭავჭავაძე 1955: 54). ილიას სწამს პროგრესის გზის უპირატესობის, გამარჯვების, სიკეთისა, პოზიტიურის იმპერატივისა სიავესთან შედარებით, მათი წინააღმდეგობის დიალექტიკა და სიკეთის ზეიმი.

ილიას ეკონომიკური და ინსტიტუციური კონცეფცია

ილიას მხატვრულ, პუბლიცისტურ და მეცნიერულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ქვეყნის, კერძოდ, **საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემებს, წყაროებს, მიმართულებებს**, რაც მისი ცივილიზებული ჰუმანური საზოგადოების, როგორც მას უნდოდა ეხილა თავისი ხალხი, ერთიანი კონცეპტის შემადგენელი ნაწილია. ილიას მეცნიერული ნაშრომები ეხება ეკონომიკის მოწყობისა და განვითარების სხვადასხვა მხარეს. არ დარჩენილა თითქმის ეკონომიკური და საერთო საზოგადოებრივი მოწყობის, ურთიერთობათა, სოციალური ცხოვრების არც ერთი მხარე და საკითხი, რომელთაც ილია არ შეხებოდა და რომლებზეც თავისი გამჭრიახი და ბრძნული შეხედულება არ მიეწოდებინა თავისი თანამედროვეებისთვის.

ილიას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მისი **ქვეყნის სიღარიბე** ხალხისგან დამოუკიდებელი მიზეზებით აიხსნება. „ჩვენი ქვეყნის უკან ჩამორჩენა, ჩვენთა მკვიდრთა სიღარიბე ტყუილად ბრალად ედება იმას, ვითომც ჩვენებური ხალხი, არ იყოს მხნე, გამრჯელი, შრომა და ჯაფა ეზარებოდეს. ეს ტყუილია“. (ჭავჭავაძე 1956 ბ: 26).

დიდი ილიას მოძღვრება ქვეყნის, მისი ხალხის ცხოვრებაში **ეკონომიკის როლის, მისი განვითარების მნიშვნელობის შესახებ** ჩვენს დროშიც ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. საკმარისი არაა

დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ილიას სურათი ეკიდოს, მისი მითითებები, იდეები სამოქმედო პროგრამად უნდაგაეხადოთ, რადგან ესქვეყანას სიკეთეს მოუტანს. პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ ვერ ურიგდებოდა ილია ქვეყნის ეკონომიკის ჩამორჩენილობას, ხალხის, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ეკონომიკურ სიდუხჭირეს, მახინჯ ეკონომიკურ ურთიერთობებს, იმას, რომ ცალკეული სუბიექტების ძალისხმევა მიმართული იყო საკუთარი გამდიდრებისაკენ და ქვეყნის ინტერესები დაევიწყებული იყო. ილია გვასწავლის, რომ **ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობას, მის მიმართულებას არა მარტო პირადი ეკონომიკური ინტერესი უნდა განსაზღვრავდეს, არამედ ქვეყნის ინტერესებიც, პატრიოტიზმის გრძნობა, მოვალეობა ქვეყნის წინაშე, რადგან არა მსლლოდ ინდივიდუალური ეკონომიკური უზრუნველყოფით შეიძლება ადამიანმა ბედნიერად იცხოვროს.** ჭეშმარიტი პირადი ბედნიერება საერთო-საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ქვეყნის ბედნიერების გარეშე არ არსებობს.

როგორც ცნობილია, საქართველომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ტრანსფორმაციული გარდაქმნებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების სირთულეთა გამო დაკარგა მეოცე საუკუნეში მიღწეული **ეკონომიკურად საშუალოდ განვითარებული ქვეყნის დონე.** ქვეყნის მთლიანი შინა პროდუქტი (ეროვნული შემოსავალი) თითქმის ოთხჯერ დაქვეითდა. მისი მრავალდარგოვანი მრეწველობა, რომელიც რიგი თანამედროვე მაღალტექნოლოგიური და ტრადიციული დარგებისაგან შედგებოდა, დაინგრა, მისი პროდუქცია კატასტროფულად შემცირდა. საკმაოდ განვითარებული, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, მისი მსხვილი კოლექტიური და სახელმწიფო საწარმოები დაიშალა და პირადი (კერძო, გლეხური) წვრილი მეურნეობის ამარა დარჩა. სოფლის პროდუქცია განახევრდა. მშენებლობა თითქმის შეწყდა, კაპიტალური დაბანდებები 20-ჯერ და მეტად შემცირდა. ასევე დაქვეითდა სხვა დარგები. გასული საუკუნის 90-იანი წლების

მეორე ნახევრიდან დაწყებული აღმავლობის შედეგად დაქვეითებული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილის აღდგენა ნელა ხდება. ქვეყანაში ხორციელდება ინვესტიციები, მათ შორის ძირითადად უცხოური კერძო და საერთაშორისო რესურსებით. საქართველოს მასშტაბების მიხედვით, შექმნილია საკმაოდ დიდი მოცულობის, ათობით მილიარდი ლარის სიმდიდრე, მათ შორის ძირითადი ფონდები – შენობები, ნაგებობები, საწარმოთა და ორგანიზაციათა ძირითადი კაპიტალი. მნიშვნელოვნად განახლდა ინფრასტრუქტურა. შემოდის ახალი ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუ, მენეჯმენტის სიახლეები, ახალი პროდუქცია, მიმდინარეობს რეფორმები სხვადასხვა სფეროში. საერთოდ უმჯობესდება ადამიანთა ცხოვრების პირობები, იზრდება მოსახლეობის შემოსავლები, ცხოვრების დონის საშუალო მაჩვენებლები.

სოციალურ-პოლიტიკური განვითარების, საზოგადოებრივ სიკეთეთა – წესრიგის (კორუფციის დაძლევის, კრიმინალური მდგომარეობის გაუმჯობესების დასახე), ადამიანის უფლებათა, დემოკრატიული ფასეულობების, სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, საერთაშორისო იმიჯის, უსაფრთხოების ამაღლების, მეწარმეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის თვალსაზრისით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და ა.შ.

მაგრამ ყოველივე ეს სრულიად არაა საკმარისი ქვეყანაში ნორმალური ეკონომიკური პირობების არსებობისთვის, საყოველთაო კეთილდღეობის დამაკმაყოფილებელი დონისათვის, როგორცაც ისურვებდა დიდი ილია და რომლის შესაძლებლობები საქართველოს გააჩნია.

ჯერ კიდევ არაა მიღწეული ეკონომიკის საერთო ადრე (დაქვეითებამდე) არსებული დონე (მთლიანი შინა პროდუქტის მოცულობა), მაღალია უმუშევრობა და დაბალი დასაქმების ხარისხი, მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს სიღარიბეში, მათ შორის ბევრი სრულ სიღატაკშიც, ცხოვრების გაუმჯობესებას ხელს უშლის ინფლაცია, შემოსავლების მეტისმეტად არათანაბარი, უსამართლო განაწილება, ეკონომიკის დარგებისა და

რეგიონების არაპროპორციული განვითარება, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ხარვეზები, შეცდომები და ა. შ.

ილიას შეხედულებები **ეკონომიკური ცხოვრების, სოციალური მოწყობისა და განვითარების საკითხებზე საერთო ორიენტირებისათვის დღესაც**, როცა ეკონომიკა და სოციალური სისტემა რთულ მდგომარეობაშია, **ფასდაუდებელია**. ამჟამად ჩვენში არსებულმდგომარეობასპირდაპირესადაგება ილიას შეგონება: „ეკონომიკურს მხარეს ჩვენი ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის... ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდავეძიოთ ღონე ჩვენი გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ“ (ჭავჭავაძე 1956 ბ: 9).

ილიამ ნაშრომების მრავალი სერია მიუძღვნა **სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის საბანკო-საკრედიტო ურთიერთობათა და სხვა** ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოების ცხოვრებისთვის, მისი პროგრესისათვის.

ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თავისუფლება და თუნდაც სულიერი ფასეულობები, ჰუმანური ურთიერთობები არაა საკმარისი ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, თუ მას ზურგს არ **უმაგრებს მატერიალური წარმოებისა და მომსახურების განვითარების მაღალი ღონე, ძლიერი ეკონომიკა**. ეს ფაქტორები მხოლოდ ერთიანობაში ქმნის ცხოვრების მაღალ ხარისხს. ამასთან საამისოდ აუცილებელია სათანადო წინაპირობები. ილია გასაოცარი სიღრმით, ანალიტიკოსის ერუდიციითა და ინტუიტციით წვდება ამ წინაპირობებს. იგი შეეხო ეკონომიკის ძირითადი დარგების – სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა და სხვ. საკვანძო საკითხებს, რომლებშიც იწინა გასაოცარ ერუდიციას, კონკრეტულის ღრმა წვდომას, ქვეყანას სთავაზობს მეცნიერულად არგუმენტირებულ, მიმართულებათა გამსაზღვრველ რეკომენდაციებს.

მის ნაწერებსა დასაქმიანობაში შეგვიძლია დავინახოთ განვითარების განმსაზღვრელი პირობის – მეცნიერებსა და ცოდნის, როგორც **საზოგადოების სოციალური ენერჯის** ზრდის მთავარი წყაროს, უტყუარი შეფასება. ილიას აწუხებს ქვეყნის ტექნოლოგიური ჩამორჩენა ევროპის ქვეყნებისაგან, აშშ-საგან, რაც ეკონომიკური ჩამორჩენის მთავარი მიზეზია. ახალი მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციების, ე.წ. ინფორმაციული ეპოქის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ილია მოძღვრავდა თავის ხალხს: „ცოდნასა და მეცნიერებას, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან... ყოველივე მათს მოქმედებას, ყოველს მათს მოძრაობას თავისი ნაყოფი აქვს, თავისი აზრი და მნიშვნელობა იმიტომ, რომ მათი ძირი ცხოვრებაშია. ცხოვრება კი ძნელად თუ რასმე ქმნის უაზროდ.“ „მეცნიერებას ჩვენ ვუყურებთ როგორც ცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებას... მეცნიერებისაგან ჩვენ მოვითხოვთ არსობის პურს მშვიერთათვის.“ ილია ხაზს უსვამს: „ყველგან ამ გზით დაუსხნიათ თავი... გაჭირვებული მდგომარეობიდან, როგორშიც ჩვენ ვართ ჩავარდნილი“ (ჭავჭავაძე 1956 ბ: 29). იგი გონებამახვილურად და ხატოვნად მიუთითებდა: მეცნიერება გაჩნდა იმისათვის, რომ ორი მარცვალი მოვიყვანოთ იქ, სადაც წინათ ერთი მარცვალი მოდიოდა. იგი ოცნებობდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე ქვეყნის მეურნეობის დარგებისათვის, რის გარეშე განვითარებული, მაღალმწარმოებლური ეკონომიკა შეუძლებელია, ქვეყანა განწირულია ჩამორჩენისათვის.

ილიასეული რჩევები უაღესად აქტუალურია დღეს, როცა საზოგადოების ცხოვრების პროგრესის გადამწყვეტი პირობა ხდება მეცნიერება და ცოდნა (განათლება). მით უფრო, რომ უკანასკნელი პერიოდის მოვლენათა შედეგად საქართველოში მეცნიერებისადმი ყურადღება შენედა. განახევრებული და უფრო ნაკლებია მეცნიერებაში დასაქმებულთა რიცხოვნება, მკვეთრად შემცირებულია სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა, მეცნიერების დაფინანსება ათჯერ და მეტად ნაკლებია გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო პერიოდთან შედარებით. უფრო მეტად

შეიკვეცა საპროექტო-ტექნოლოგიური – ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიების შექმნისაკენ მიმართული საქმიანობა. ეს მაშინ, როცა საქართველოს თავისი ინტელექტუალურიპოტენციალით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან თანამშრომლობის პირობებში შეუძლია აქტიურად ჩაერთოს საკაცობრიო მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროცესში, იყოს არა მარტო ნოვაციათა მომხმარებელი, არამედ მიმწოდებელი ცალკეულ დარგებში. ამ მხრივ დღეისათვის არსებული მდგომარეობა სწრაფად უნდა გამოსწორდეს, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარება უნდა გახადონ საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად, აქეთკენ წარმართონ სათანადო ადამიანური და სხვა რესურსები. უნდა გაეთვალისწინოთ, რომ მოწინავე ქვეყნები ხარჯავენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის მთლიანი შინა პროდუქტის 2-3 %-ს და ზოგიერთი თითქმის 4-5 %-მდე საქართველო ხარჯავს 0, 1 % -ზე ცოტა მეტს. ეს სიტუაცია უნდა შეიცვალოს. სხვანაირად საქართველო ვერ დაიკავებს მოწინავე ადგილს თანამედროვე მსოფლიოში, რაც იქნება მისი შესაძლებლობების დაკარგვა, ვერ შესრულდება დიდი ილიას რეკომენდაციები და ოცნება.

ილია დიდ ყურადღებას უთმობდა **უახლესი და ტრადიციული ეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენებას** წარმოების პროცესში დანერგვას, როგორც სასურველი ეკონომიკური შედეგის მიღების, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას. მან საოცარი სიღრმით, პროფესიონალიზმით, დეტალების სპეციალური ცოდნით აღწერა სასოფლო – სამეურნეო დარგების წარმოების ზოგიერთი აგროტექნიკური წესი, ღვინოების წარმოების ევროპული და ტრადიციული ქართული ტექნოლოგიები, ჩამოაყალიბა მეტად საინტერესო და დასაბუთებული რეკომენდაციები პრაქტიკული გამოყენებისათვის. იგი ფიქრობდა, რომ ეროვნული გამოცდილების გამოყენებასთან ერთად, აუცილებელია უცხოური გამოცდილების გაზიარება იქ, სადაც ეს სასარგებლოა. ამასთან არ უნდა დაგეგნინოთ საკუთარი შესაძლებლობები.

ილია ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციობის, დარგების განვითარების, სპაციალიზაციის საკითხებს თავისი ეპოქის ეკონომიკური მეცნიერების დონეზე განიხილავს. მან ფაქტობრივად ჩამოაყალიბა ე.წ. **შეფარდებითი უპირატესობის თეორიის** ძირითადი დებულება, რომ ქვეყნის რესურსები უნდა გამოიყენოთ იმ პროდუქციის წარმოებისათვის, რომელიც მეტ შემოსავალს იძლევა და არ გავაცდინოთ იმისი წარმოებისათვის, რაც უფრო იაფად შეიძლება სხვისაგან ვიყიდოთ მაღალშემოსავლიანი პროდუქციის წარმოებიდან მიღებული სახსრებით. ილია აღნიშნავდა: „დღეს რა გვიშლის, მაგალითებ, ჩვენს მიწათმოქმედებას ის ნაყოფი გამოვადებინოთ, რაც რუსეთში არ მოდის ბუნებრივ გარემოებათა გამო და იქიდან ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მოდის და იფიც არის. ის აუარებელი შრომა და ხარჯი, რაც, მაგალითად, მარტო პურის მოყვანაზე მოდის ჩვენში და ასე ძვირად გვიჯდება, სხვა, უფრო ძვირფას საგანს რომ მოვახმართ რუსეთში გასატანად და იქიდან პური ვეზიდოთ, მითამ წაგებაში ვიქნებით, თუ არა მოგებაში?“ (ჭაგჭავაძე 1956 ბ: 41).

მნიშვნელოვანია ეროვნული **ეკონომიკის შინაგანი რესურსებით განვითარება** და გარე და შინა ფაქტორების, მ.შ. ინვესტიციების თანაფარდობა. ილიას შეგონება ყურადსაღებია დღესაც, როცა ბევრს არ ესმის ქვეყნის ეკონომიკური თავისთავადობის მნიშვნელობა. „...ჩვენი ეროვნული ეკონომიკა, პირველ რიგში, საკუთარ წარმოებასა და მწარმოებელი ძალების განვითარებაზე უნდა იყოს გათვლილი, ხოლო შემდეგ – ნებისმიერ გარეშე ფაქტორზე.“ ილიას შემოქმედებისა და პრაქტიკული საქმიანობის არეში დიდი ადგილი უჭირავს **საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების** საკითხებს. მის ეპოქაში საქართველო აგრარული, თანაც განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ქვეყანა იყო. მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ სექტორის განვითარებას. ამასთან, საქართველო, როგორც სუბტროპიკული ზონის ქვეყანა, აგრარული დარგების განვითარების დიდ შესაძლებლობებს ფლობდა. ილია სავსებით მართებულად აღნიშნავდა: „ეკონომიკურად გაძლიერებისთვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის

არა აკლია რა. ზომიერი, ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენადაც საჭიროა, რომ ერმა უმტკივნეულოდ თავი ირჩინოს და ყოველს სფეროში გაიწივ –გამოიწიოს წარმატებისა და კეთილი მდგომარეობისათვის.“ (ჭავჭავაძე 1956 ბ: 32). ეს საქართველოს აგრარული წარმოების ბუნებრივი პოტენციალის საკვებით ჭეშმარიტი შეფასებაა, რომელიც ძალაშია დღეისთვისაც.

ამასთან ილიას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ ბუნების ფაქტორის არსებობით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ვერ მოეწეობა და ვერ განვითარდება. საჭიროა სხვა მრავალი პირობაც – ტექნიკა, ტექნოლოგიები, ინვესტიციები, მეცნიერების ხელშეწყობა, წარმოების ორგანიზაციის მოწინავე პეიზაჟები, გამართული ეკონომიკური ურთიერთობები. ამ საკითხების დამუშავებას ილიამ ათობით მეცნიერული და პუბლიცისტური ნაშრომი მიუძღვნა, ის ეხება მევენახეობისა და მეღვინეობის, მემარცვლეობის, მეხილეობის, მესაქონლეობის განვითარების, სოფლის მოწყობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების, ორგანიზაციული და საკუთრებითი ურთიერთობების საკითხებს. ილია წუხდა, რომ ქვეყნის შესაძლებლობები არაა სათანადოდ გამოყენებული მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად და საექსპორტო სასურსათო პროდუქტებს წარმოებისათვის.

ილიას მიდგომები და კრიტიკული შენიშვნები საგულისხმოა დღესაც. დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობა არქაულ ტექნოლოგიაზე, ხელით შრომაზე და წვრილ გლეხურ, საოჯახო მეურნეობაზე, წარმოების ორგანიზაციის მამაკაპურ მეთოდებზეა დამყარებული და დროის მოთხოვნებს ვერ პასუხობს. უკიდურესად დაბალია მწარმოებლურობა, მემცენარეობაში მოსავლიანობა და მეცხოველეობაში პროდუქტიულობა. აგრარულ სექტორში მუშაობს ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, თითქმის ერთი მილიონი (განვითარებულ ქვეყნებში – 2-3 %) და იგი ვერ ქმნის მოსახლეობის საჭირო სურსათის მესამედსაც, რის გამო მალაზიები

უცხოური პროდუქტებითაა გადატენილი და ადგილობრივ ნაწარმს იქ ნაკლებად იპოვით. ეს სრულიად გაუმართლებელი, კურორტული სიტუაციაა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მდგომარეობა უფრო გაუარესდა ბოლო ხანებში, მკვეთრად დაეცა მრავალი სახეობის პროდუქტების - მარცვლეულის, ხილის, მეცხოველეობის ნაწარმის და სხვ. წარმოება, რაც წლების მანძილზე მისდამი უყურადღებობის, მინიმალური ხელშეწყობის არარსებობის, კაპიტალურ დაბანდებათა მიხერული ოდენობის და სხვა ხარვეზების შედეგიცაა. ილიას მითითებებს რომ გავყოლოდით, ეს მდგომარეობა არ გვექნებოდა, მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყნისათვის, მწვავე არ იქნებოდა. ამჟამადც გასათვალისწინებელია მისი აზრი, რომ: „ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიკურის ცხოვრებისა მიწათმოქმედება“ (ჭავჭავაძე 1956 ბ: 73). სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობა უფრო ამაღლდებოდა ქვეყნისათვის საარსებოდ აუცილებელი აგრარული სექტორი სახელმწიფოსა და საზოგადოების, მეწარმეების სათანადო ზრუნვის საგანი რომ იყოს. იგი განსაკუთრებულ პრიორიტეტად უნდა იქცეს, დარგი გადავიდეს განვითარების თანამედროვე რელსებზე. ამის გარეშე შეუძლებელია გადამამუშავებელი მრეწველობის, ტურიზმის და სხვა დარგების განვითარებაც.

ილია ქომაგობდა **მრეწველობის განვითარებას**, მას კარგად ესმოდა, რომ იდუსტრიული ჩამორჩენა ქვეყნის განვითარებას ამუხრუჭებდა. ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი ავტორის აზრს, რომ ილიას საქართველო მხოლოდ აგრარულ ქვეყნად წარმოედგინა, რომლიც საერთო პროგრესის მიღმა იქნებოდა დარჩენილი. ილიას ეპოქაში მსოფლიოში საერთოდ მრეწველობა უკვე გახდა ეკონომიკის წამყვანი დარგი და ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესის გამსახდრელი ფაქტორი. ამ გზას არ უნდა ასცდნოდა საქართველო. ამიტომ ილია მრავალ ნაშრომში სპეცილურად ეხება მრეწველობის განვითარების საკითხებს, როგორცაა ნავთობის,

მანგანუმის მოპოვება და გადამუშავება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების საწარმოების შექმნა და სხვ. ილიას მსჯელობა ყურადსაღებია იმათთვის, ვისაც ოცდამეერთე საუკუნეში საქართველო ესახება აგრარულ ქვეყნად, როცა თვით აგრარული სექტორი ინდუსტრიული ბაზაზე დამყარებული, კაცობრიობა დაჯერებულად მიაბიჯებს პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული, ქსელური ტექნოლოგიების ეპოქისაკენ.

თანამედროვე ვითარებიდან გამომდინარე, უნდა გვესმოდეს, რომ **საქართველოს მრეწველობის** ამჟამინდელი მდგომარეობა სრულიად არ შეესაბამება ქვეყნის საერთო-ეკონომიკური პროგრესის, ადამიანთა დასაქმების, მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ინტეგრაციის, საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონის მიღწევის, საგანმანათლებლო და კულტურული წინსვლის ინტერესებს. ინდუსტრიული განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნაში ცივილიზაციის თანამედროვე დონის არსებობა. დღეისათვის საქართველოში აუცილებელი და შესაძლებელია ინდუსტრიის რიგი მაღალტექნოლოგიური დარგების, მათ შორის, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებელი და სხვ. განვითარება საერთაშორისო კოოპერაციის, საზღვარგარეთის კომპანიებთან ერთობლივი მუშაობის პირობებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ენერჯის განახლებადი წყაროების – ჰიდრორესურსების, მზის, გეოთერმული, ზღვის ენერჯის და სხვ ბაზაზე ენერჯეტიკის განვითარების, ამ დარგის პროდუქციის ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და საექსპორტოდ წარმოების დიდ შესაძლებლობები. უნდა მოხდეს რიგი ადრე არსებული სამრეწველო საწარმოების ადდგენა-აღორძინება, მოსახლეობის მოხმარების საგნების, მათ შორის ელემენტარული ნივთების – ლითონის თუ შეკერილი და ელექტროტექნიკური ნაწარმის, კვების პროდუქტების და სხვ., ადგილზე ვეექტიანი წარმოება, ეს ყველაფერი და, თანაც, არც ისე მაღალხარისხოვანი, ამჟამად ჩვენს მაღაზიებში ძირითადად იმპორტიორთა ინტერესების შესაბამისად სადღება. სწორედ ამის გამოსასწორება შეესაბამება

საქართველოს მრეწველობის განვითარების ილიასეულ კონცეფციას ინდუსტრიული ეპოქის გამოწვევების გათვალისწინებით. ილიამ დიდი ამაგი დასდო საქართველოში **ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა** განვითარებას. მან არა მარტო პრაქტიკული ძალისხმევა მოახდინა ამ საქმეს, როგორც თბილისის საადგილმამულო ბანკის უცვლელმა თავმჯდომარემ დაარსებიდან 30 წლის განმავლობაში (1875 - 1905 წწ.), არამედ გარკვეული წვლილი შეიტანა, მაშინდელი საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, საკრედიტო ინსტიტუტების განვითარების საკითხების გადაწყვეტის მცინიერული საფუძვლების შემუშავებაში. განვითარებული ეკონომიკური საქმიანობა და ურთიერთობები შეუძლებელია ქვეყანაში გაშლილ ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა გარეშე. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები მოწინავე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებისა უცილებელი პირობაა. ეს პირობა აკლდა საქართველოს. ილია შორსმჭვრეტელურად იქცეოდა, როცა დიდი ენერჯია მოახმარა საქართველოში **საბანკო სისტემის** განვითარებას, რასაც ბიძგი უნდა მიეცა ეკონომიკის ყველა დარგისათვის. „კრედიტი, ეკონომიური თვალთვალთ გასინჯული, ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობითაც გროვდება გაფანტული ფული და უქმი კაპიტალი, საზოგადოების ერთი ხელიდამ მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად. ეს ძლიერება წარმატების ერთადერთი, მხოლოდითი საგანია კრედიტისა“ – ამცნობდა საკრედიტო ურთიერთობებში გაუთვითცნობიერებელ თავის ხალხს ილია და მრავალ ნაშრომში განიხილავდა და აწვდიდა მას რეკომენდაციებს საკრედიტო ურთიერთობათა მოგვარებისა და განვითარების საკითხების ირგვლივ, რის გარეშე კაპიტალიზმის გზაზე დამდგარი ქვეყნის წინსვლა შეუძლებელი იყო. კრედიტს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მამულის გაძლიერებაში, თუ ის

ეფექტიანად იქნება გამოყენებული: „გრძელვადიანი სესხი, მამულის სარგოდ, მამულზე მოქცეული, აძლიერებს მამულის შემოსავალს...“ (ჭავჭავაძე 1956 ბ: 440). ამგვარი ცოდნის ხალხში შეტანით ილია ცდილობდა ქვეყანაში მეურნეობრივი ცხოვრება აეყვანა დროის მოთხოვნების დონეზე. აქაც იგი დროის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ერის წინამძროლის როლი ამითაც გაამართლა.

მართალია, საქართველოში უკანასკნელ ხანს სრულიად ახალი საბანკო სისტემა შეიქმნა და უკვე ჩამოყალიბდა ეკონომიკის ერთ-ერთ წარმატებულ სექტორად, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი ისე აქტიურად ეხმარება ეკონომიკასა და მოსახლეობას, როგორც ამის საჭიროებაზე ილია მიუთითებდა, კრედიტების სიძვირისა და საბანკო სისტემაში მოსახლეობის არასაკმარისად ჩართულობის გამო. ამიტომ არ შეიძლება ქვეყანა დასჯერდეს ამ სფეროში მიღწეულ დონეს.

X X X

ილია დიდ ყურადღებას უთმობდა **ინსტიტუციურ ფაქტორებს** ეკონომიკის განვითარებაში, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა სრულყოფას. საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მ. შ. ეკონომიკაში რეფორმების განხორციელებისათვის. გატარდა რიგი ღონისძიებებისა ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისთვის, ინვესტიციური აქტივობისთვის ქვეყნის შიგნით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის და სხვ. ამასთან ეკონომიკაზე ამ ღონისძიებათა გავლენა არასაკმარისად იგრძნობა. არასაკმარისია ეკონომიკური ზრდის

ტეში ეკონომიკის ტრანსფორმაციის და აღდგენის ამოცანების გათვალისწინებით. ამ მხრივ საქართველო ჩამორჩება რიგ პოსტსაბჭოურ და პოსტსოციალისტურ ქვეყნებს. აუცილებელია რეფორმების ეფექტიანობის ამაღლება.

ილია სავსებით მართებულად მიჩნევდა, რომ საზოგადოების საერთო კეთილდღეობის ამაღლებისათვის სრულიად არ კმარა მატერიალური დოვლათის სიუხვე, არანაკლებ მნიშვნელოვანია **სულიერი და სოციალური სიკეთენი**. ეს დღევანდელი საქართველოს დიდი საზრუნავია. თუ იგი ყურადღების გარეშე დარჩება, ეკონომიკურ წარმატებათა ფასი ბევრად დაბლა დაიწევს.

ილიას ჰუმანისტურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანია **ადამიანისა და ბუნების, გარემოს ჰარმონიის** საკითხი. იგი ნათლად ხედავს ბუნების როლს ადამიანის ცხოვრებაში, მის სიდიადეს, ესთეტიკურ ძალას. დიდი ოსტატობითა და შთამბეჭდავად აღწერს ის ბუნების მოვლენებს, სილამაზეს, სივრცეს, რომელიც ადამიანთა მოქმედების, ცხოვრების შეუცვლელ გარემოდ და განწყობის წყაროდაა წარმოდგენილი. ბუნების მშვენიერება, სიმდიდრე, ბუნებრივი მოვლენების ხასიათი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ერთ-ერთი პირობაცაა. საქართველოს ბუნება, ილიას მიხედვით, მისი სიდიადის ერთ-ერთ კომპონენტად წარმოგვიდგება. ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის პროცესის გააზრებაში იგრძნობა ილიას ესთეტიკის დახვეწილობა და სიბრძნესთან შერწყმული სინატიფე. ილიას **ესთეტიკური შეხედულებები ღრმააზროვანია**. იგი უკავშირდება ცხოვრების საზრისს. მისთვის მშვენიერია კეთილი, ზნეობრივი, ჯანსაღად მიაზროვნე, სამართლიანი ადამიანი, სამართლიანად, ზნეობრივად მოწყობილი, ცხოვრება. ცხოვრება სასიამოვნო და ტკბობის წყარო უნდა იყოს. ამიტომ იგი ისეთ ფუძეზე უნდა იყოს დამყარებული, რომ არ იწვევდეს ტკივილებს, დააბუ-

ლობას, მწარე განცდებს. ყოველივე ეს ადამიანებზე, მთელი საზოგადოების სრულყოფაზე, კულტურაზე, ფასეულობით ორიენტაციაზეა დამოკიდებული. ილიას კრედი, საბოლოო ანგარიშით, ცხოვრების მშვენიერებისათვის დეაწლად აღიქმება, რაც საერთოდ ცხოვრების ფილოსოფიური აღქმის გვირგვინია.

დიდი ილიას მოძღვრების, საზოგადოებრივი-პოლიტიკური მოღვაწეობის **მნიშვნელობა დღევანდლობისა და მომავალი თაობისათვის** იმაშია, რომ ის ცხოვრებაში ამკვიდრებს ადამიანურ ღირსებებს, ფასეულობათა იმპერატივს, ნერგავს ჰუმანიზმს, დემოკრატიის პრინციპებს, სამართლიანობის გრძნობას, მაღალ ზნეობას, ადამიანთა შორის სიყვარულს, პატივისცემას, ნამდვილი სიკეთის დაფასებას, მანკიერებათა დაძლევის აუცილებლობის შეგნებას, მიუთითებს იმ გზებზე, რომლებითაც შეიძლება ყოველივე ეს რეალობად იქცეს. ცხოვრების ღრმა წვდომით, მისი საზრისის, სიკეთეთა და მანკიერებათა შემეცნებით ილია არის ადამიანებისათვის **მარადიულ ჭეშმარიტებათა მქადაგებელი, ცხოვრების სწორი გზის მიმითებელი.**

ილიას უკვდავება მის ჰუმანურ, დემოკრატიულ იდეებშია, ამ იდეების დიდოსტატურად, ცხადად და ყველასთვის მისაწვდომად ხატოვანი და ნებითი ფორმებით გადმოცემაშია. ილიას სამყარო მეტად ადამიანურია, პროგრესისაკენ მისწრაფებული. ამ სამყაროსთან ზიარება ნათლად წარმოგვიდგენს, რომ **ყოველივე ამაღლებულს ჭეშმარიტად ადამიანურს აქვს ღირსება და ფასი, მომავალი.** ილიას მოძღვრების, იდეების სიბრძნე და მარადიულობა ადამიანებისათვის **გზამკვლევეა** ისევე, როგორც ჰომეროსის, რუსთაველის, ფირდოუსის, დანტე ალიგიერის, შექსპირის, გოეთესი და სხვა ინტელექტუალურ კორიფეთა ნააზრევი.

დღეს მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ქვეყნის ნათელი მომავალი შეიძლება დაემყაროს მხოლოდ ღრმა, ჭეშმარიტად ჰუმანურ და დემოკრატიულ ფილოსოფიურ იდეებს, როგორცაც ილია მთელი თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით, პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის მაგალითით ნერგავდა.

ასე წარმოდგება **საკაცობრიო ფასეულობათა ფონზე** დიდი მოაზროვნე და მოღვაწე, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, ხალხის ბრძენი მასწავლებელი და ერის წინამძღოლი დიდი ილია, რომლის ფილოსოფიური კჰმანიზმი და დემოკრატიზმი დღესაც შუქქელვარე მაგალითია ამ ჩვენს დედამიწაზე მცხოვრებთათვის. მეგზურობას გაუწევს მათ ფასეულობათა სამყაროში სწორი ორიენტაციისათვის.

დამატება

ადამიანური ცხოვრების მოდელის ქარგა ილიას

იდებების მიხედვით

ადამიანებო, იყავით ადამიანური –

ეს თქვენი მოვალეობაა!

ჟან ჟაკ რუსო

დიდი ილიას, როგორც ბუმბერაზი მოაზროვნის, ფილოსოფოსის, მწერლის, ეკონომისტის, ისტორიკოსის, სოციოლოგის, პოლიტიკოსის ყურადღების ცენტრშია ადამიანების საზოგადოებისზედი კეთილდღეობა; მომავალი ეს ეხება თითოეული მოქალაქის ოჯახის, თემის, ქვეყნის ცხოვრების მოწყობას. **ადამიანთა შორის სიკეთეზე დამყარებულ ურთიერთობებს, არსებობის ნომალური პირობებით უზრუნველყოფას, ერთი სიტყვით ცხოვრების წესს, მოდელს, ფორმასა და შინაარსს, რომელიც შეესატყვისება მაღალ ადამიანურ ფასეულობებს¹.**

ადამიანთა ცხოვრების საუკეთესო მოწყობის, ბედნიერების მოდელი (პროექტი) ილიამდე კაცობრიობის მრავალი მოაზროვნის, სოციალურ არქიტექტორთა განსჯის საგანი იყო უძველესი დროიდან - ჰესიოდედან და კონფუციდან მოყოლებული, პლატონის, არისტოტელეს, შუა საუკუნეების მოაზროვნე უტოპისტების - თომას მორის, თომაზო კამპალნელას, ბედნი-

¹ ცნებაში: „ადამიანური“ ყველგან და ყოველთვის იყო და არის ნაგულისხმევი ადამიანთა თვისებების, ქცევის, ცხოვრების მოვლენათა სწორედ ამგვარ ფასეულობებთან შესაბამისობა.

ერების ძიებით დაკავებულ აღმოსავლეთის სოციალურ-ფილოსოფიური აზრის წარმომადგენელთა¹, ახალი ეპოქის ევროპელ განმანათლებელთა (ჟ. ჟ. რუსოს და სხვათა), უტოპისტ სოციალისტთა (სენ-სიმონის, ოუენის, ფურიეს და ა.შ.), მარქსიზმის ფუძემდებელთა ჩათვლით. შემდგომაც მრავალმა მეცნიერმა თუ მწერალმა სცადა წარმოესახა ცხოვრების ახალი, ადამიანთა საყოველთაო კეთილდღეობის ვირტუალური სამყარო. ამ მოდელებისთვის მეტწილად დამახასიათებელია ცხოვრების პირობების, **ადამიანის, როგორც ისტორიული პროცესის შემოქმედის, პოზიტიური და ნეგატიური ნიშან-თვისებების, სინამდვილის იდეალიზებული ხედვა**, რეალობისგან მეტ-ნაკლებად დაცილებული, რიგ შემთხვევაში ფანტასტიკური წარმოდგენა. ამასთან, მათ დიდ გავლენა მოახდინეს სოციალურ და პოლიტიკურ ცნობიერებაზე, ადამიანთა მიზნებზე, ქცევებზე, საბოლოოდ საზოგად-ობრივიცხოვრების პროცესებზე, მოწყობაზე.

დღეისათვის თავი მოიყარა უტოპიური, ანტიუტოპიური, ეკოუტოპიური შინაარსის დიდძალმა ლიტერატურამ, ოფიციალურმასშტაბ-რობო, საერთაშორისო, პოლიტიკურმა დოკუმენტმა, რომლებიც აღწერს ან ადგენს საზოგადოების, მოქალაქეთა, მთავრობის ქცევის წესებს, აყალიბებს ცხოვრების მოდელს. ამასთან, მნიშვნელოვანია წარსულის დიდ მოაზროვნეთა ხედვებისმიხედვით აგებული ცხოვრების მოდელების გათვალისწინება. მათ შორის ასეთად წარმოგვიდგება დიდი ილიასმოდერნების შუქზე დანახული საზოგადოებრივი და ინდივიდუალურიცხოვრებისკონტურები, რომელიც აქ გვინდა

¹ამ უკანასკნელებში იგულისხმება ალ-ფაბრის, წმინდა ძმების, იბნ-სინას, იბნ-ბაჯის სრულყოფილი, იბნ-რუდმის ბედნიერების იდეალური ქალაქების ძიების პროექტები.

წარმოვადგინოთ. აქუპრი– იანია გავითვალისწინოთ ილიას ბრძნული შეგონება: არ უნდა გვექონდეს „იმისთანა ნატვრა..., რასაც ბუნება უარჰყოფს და არ გვითმობს .“

შესაძლებლად მიგვაჩნია ილიასეული იდეების მიხედვით ავაგოთ ცხოვრების მოწყობის უფრო რეალური, პრაქტიკაში რეალიზებადი თეორიული მოდელი, ვიდრე ზემოთ ნახსენებ უტოპიურ და ფანტასტიკურ ქმილებებშია მოცემული. იგი არსებული, ხარვეზებით დამძიმებული სინამდვილის და მისი მანკიერებათაგან **გათავისუფლებული ადამიანური საზოგადოებისა და ცხოვრების მოდელის გარკვეულ ვარიანტად შეიძლება მოვიაზროთ.**

ადამიანთა ცხოვრება ურთულესი ფენომენია. იგი სავსეა წინააღმდეგობებით, უკუღმართობებით, მანკიერებებით. „წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის –მამინაცვალი“. მოკლედ, ცხოვრების უკეთურებათა ფორმულა ასე წარმოგვიდგება: „ღმერთო, რამდენი ცრემლი იღვრება ამ შენს გაჩენილ დედამიწის ზურგზედ. მაგრამ სიავე ადამიანისა აქამდის არ ჩამცხრალა.“¹ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის გზა შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის გაკეთილშობილება, რაცმისი განვითარებითა და თვისებათა სრულყოფით უნდა მოხდეს. ამ მიზანს ეშუაობა კაცობრიობა მთელი ისტორიის მანძილზე და დღესაც. ილიასეული მსოფლხედვა შეიძლება წარმოვიდგინოთ ამგვარი **ცხოვრების**

¹ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები. ტ. 2, თბილისი . 1985 .გვ. 82–83.

გზების ძიებად, ახალი, ადამიანური ცხოვრების არქიტექტურის კონტურებად.1

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ რეალობის ილიასეული სურათის, მასში წარმოდგენილი ცხოვრების ავ-კარგის, რომლის რიგი ელემენტები შეინიშნება **დღესაც, პოზიტიური ელემენტების გაძლიერებით და ნეგატიურის გაქრობის შედეგადაა** შესაძლებელი იმ სასურველი მოდელის ძირითადი შტრიხების წარმოსახვა, რომელიც შეესაბამება ადამიანთა იდეალებს, ცხოვრების ისეთ მოწყობას, როგორც ოცნებობდნენ ადამიანთა თაობები. მან უნდა ასახოს ადამიანთა, როგორც ბუნების საუკეთესო ქმნილების, არსი, თვისებები, კაცობრიობის პრაქტიკით შემუშავებული ფასეულობები. იგი შესაძლებელია სინამდვილედ იქცეს ადამიანთა მოქმედებებით, ცხოვრების განვითარების კანონებზე დაყრდნობით. ასე აგებული, ილიას იდეებზე დამყარებული ცხოვრების სასურველი მოდელის კონტურები, ვფიქრობთ, საინტერესო და სასარგებლოა დღევანდელი პრაქტიკისთვის.

უწინარესად აქ უნდა აღინიშნოს დიდი ილიას მიერ მკაფიოდ დანახული **კაცობრიობის მთელი წარსულის ნათელი და ჩრდილოვანი მხარეები, პროგრესი და, მასთან ერთად, ის უკეთურობანი რაც ადამიანებმა, საზოგადოებამ ვერ დაძლიეს**, მათი ცხოვრების თანმხლები იყო დასაბამიდან და ასეთად რჩება კვლავაც. თანამედროვე ტერმინოლოგიით

¹ცხოვრების პროგრესულ ცვლილებათა აუცილებლობაზე მიუთითებდა ცნობილი პრაქტიკოსი, მეწარმე – ჰენრი ფორდი: „ახლანდელი წყობა თანდათანობით გადავა შემდეგში და ის შემდეგი წყობა იფუნქციონირებს და არა იმდენად თავისთავად, რამდენადაც ხალხის მიერ მასში ჩაქსოვილი შინაარსის მიხედვით.“ ჰ. ფორდი. ჩემი ცხოვრება, ჩემი მიღწევები. თბილისი. 1988. გვ. 20–21.

რომ ვთქვათ, კაცობრიობის მთავარი გამოწვევა ილიას მოძღვრების მიხედვით, სრულიად ცხადად, მდგომარეობს ადამიანთა და საზოგადოების მანკიერებათა დაძლევაში, ჭეშმარიტად ადამიანური საწყისების განმტკიცებაში, ამის საფუძველზე თითოეულისა და ყველას ცხოვრების ადამიანურ იმპერატივებზე დაფუძნებაში, რასაც დიდმა მოაზროვნემ და მოღვაწემ მიუძღვნა მთელი ცხოვრება და შემოქმედება.

ილიასეული იდეების ფუნდამენტზე აგებული ჭეშმარიტად ადამიანური ცხოვრების მოდელი შეიძლება **წარმოვიდგინოთ საერთო-საკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა ბურჯებზე აღმართულ მყარ კონსტრუქციად**. მასში „ მზიდი ბლოკების“ სახით, ნათლად ჩანს საკაცობრიო ადამიანური ფასეულობები - **ზნეობა, სამართლიანობა, თავისუფლება, ჭეშმარიტება, მშვენიერება, ადამიანთა ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე, კაცთმოყვარეობა, სიკეთე, მეგობრობა, ურთიერთთანადგომა, შრომისმოყვარეობა, პატროტიზმი, ადამიანთა ურთიერთპატივისცემა, უანგრობა, გულუხვობა, გულმოწყალება, თავმოყვარეობა, სიმამაცე და ა.შ.** ადამიანთა აზროვნება, ქცევა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ამ ფასეულობებზე დაშნებული, ნამდვილი ადამიანური, ბედნიერი ცხოვრების გარანტიად წარმოგვიდგება.

ილია ჭავჭავაძის იდეებზე აგებულ ცხოვრების მოდელის ცენტრში, ბუნებრივია, **ვხედავთ ადამიანს, როგორც ისტორიის ერთადერთ აქტორს**, რომლის ცნობიერებაზე, მენტალიტეტზე, ქცევაზე, საერთოდ, ურთიერთობაზე ბუნებასთან, თავისავე მსგავსებთან - თანამომხმეებთან მეტწილად დამოკიდებულია ის, თუ როგორია ყველასი და თითოეულის ცხოვრება, რამდენადაა ის უზრუნველყოფლი საჭირო

სიკეთეებით, ბედნიერი. მართალია, ყველას არ ეხება, მაგრამ ადამიანურად ცხოვრების მოწყობის პრობლემა ისაა, რომ ადამიანები ისეთები ვერ გახდნენ, როგორც უნდა იყვნენ: „ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ შენგან გაჩენილ ადამიანსა მართო შენი სახე მისცემია, თორემ გული კი არა...!“¹ ყოფის მოვლენებიდან ჩანს ის, თუ რამდენად უშლის ხელს ადამიანთა კეთილდღეობას, ცხოვრების გაუმჯობესებას მათი მანკიერებანი - სიძულვილი, ურიერთმეტრობა, ორგულობა, სიხარბე, ანგარება, ამპარტავნობა, სიზარმაცე, გაორებლული ხასიათი, ბოროტი ზრახვები და ა.შ. **ცხოვრების პრობლემები, ადამიანთა უბედურებანი ხომ მეტწილად მათივე მიზეზით, საკუთარი თავისა და სხვებისთვის მიყენებული ზიანითაა გამოწვეული.**

გვიჩვენა რა შთამბეჭდავად თავის მხატვრულ ქმნილებებში, ასევე მრავალმხრივი, ღრმა ფილოსოფიური მსჯელობებით მეცნიერულნაშრომებში, პუბლიცისტურ წერილებში, ილიამ კეთილი, ბრძენი ადამიანების ტიპები, მათი მსოფლხედვა, მოქმედება, გამოაქანდაკა რა **ადამიანური ადამიანის ტიპი**, წარმოაჩინამისი მოქმედების მიზნები, მოტივაცია, ორიენტირები, სავსებით სრულად გააცხადა ადამიანის ცხოვრების საზრ-ისში მისი პოზიტიური თვისებებისა და მოქმედების როლი. ილიამ მკაფიოდ წარმოსახა, რომ **ღირსეული, კეთილშობილი, აქტიურად მოქმედი ადამიანები არიან ცხოვრების ისტორიული პროცესის ნამდვილი ლოკომოტივები**. სწორედ ისინი ქმნიან პოზიტიურ ტენდენციას, პროგრესის ხერხემალს, აძლევენ ცხოვრების შინაარსს სიდიადეს. მთელი ცხოვრება რაც არ უნდა ნეგატიური მოვლენებით

¹ ი. ჭავჭავაძე. ჩეული ნაწერები. ტ. 2. თბილისი. 1985 გვ.85.

იყოს შებღალული, იგი უმთავრესად აღსავსეა ადამიანთა კეთილი საქმეებითა და მათი შედეგებით, კმაყოფილებისა და სიამაყის მომგვრელი მოვლენებით.

ამას ადასტურებენ ილიას ნაწარმოებთა დადებითი პერსონაჟები თავიანთი თვისებებით, საქმიანობით, აზროვნების წესით, ბოროტებასთან ბრძოლით. ისინი გვევლინებიან ჭკმმარტი ადამიანის განსახიერებად. მათი ყოფიერება, ცხოვრების კრედიო ადამიანის ამ ქვეყნად არსებობის, დანიშულების, საზრისის ხორცშესხმაა. მათი ცხოვრებიდან, მრწამსიდან, საქმიანობიდან ნათლად ჩანს, **თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი, რა არის მისი, როგორც ბუნების მშვენიერების, ამქვეყნიური ყოფის მთავარი მისია.** ცოცხალი პერსონაჟების, თუ ღრმა მეცნიერულ-ფილოსოფიური განსჯის საფუძველზე ილიას მოძღვრებაში მოცემულია ადამიანური ცხოვრების ჭკმმარტი მაქსიმები. ილიას პოემების, მოთხრობებისა და ლექსების, პუბლიცისტური და სხვა თხზულებათა **პოზიტიური გმირების გულმართლობა და კეთილშობილება, მაღალი ზნეობა, შრომაში გატარებული და მიზნდასახული, პატიოსნებისადმი ერთგულებით-გაცისკროვნებული ცხოვრება, თავისუფლების წყურვილი, სამშობლოს უანგარო სიყვარული და მისთვის თავგანწირვა, უღალატობა, ზრუნვა სხვებისთვის, ადამიანთა ერთობის გრძნობა, ეგოიზმისგან გათავისუფლება, ოპტიმიზმი - ადამიანების ძალებისადმი რწმენა, უმწიკლოება, თითოეულის ბედნიერების ხორცშესხმისაკენ სწრაფვა - აი, ის საყრდენები, რომლებიც აგებს ადამიანური ცხოვრების ნაგებობას და რომლის საყოველთაო სიმტკიცისკენ მოუხმობს ადამიანებს, თავისთანამომემებს ილია. მართლაც, ყოველივე ეს ხომ ადამიანთა საერთო, ე.ი ნამდვილი ბედნიერი ცხოვრების მტკიცე ბურჯებია.**

და ყოველივე ეს ხომ თვით ილიაში იყრის თავს. იგი თავად წარმოგვიდგება ადამიანური ადამიანის ეტალონად.

უფრო სრულად რომ გამოჩნდეს კარგი ადამიანი, მისი ცხოვრება, ილიამ ნეგატიური ტიპების (ისინი რეალობაში არსებობენ, ასეთია სინამდვილე), მათი აზროვნების, მიზნების, მოქმედების ჩვენებით დაადასტურა, თუ როგორი არ უნდა იყოს ადამიანი, როგორ არ უნდა განსჯიდეს, როგორ არ უნდა იქცეოდეს, როგორ არ უნდა ცხოვრობდეს იგი.ესენი არიან ილიას მხატვრული ნაწამოებებისა და ნაშრომების ნეგატიური პერსონაჟები: მოძალადეები, სხვისი მჩაგვრელი ბოროტი, გულგრილი, უდარდელი, პარაზიტულ ყოფას მიჩვეული ადამიანები, რომლებისთვისაც ცხოვრების აზრი ჟინის მოკვლაში, სხვის ჩაგვრაში, ფულის (სიმდიდრის) დაგროვებაში, კუჭის დაკმაყოფილებაშია.ეს საზოგადოების ის ნაწილია, ვინც არად დაგიდევს მორალის, სამართლიანობის ფეხქვეშ გათელვას, ოღონდ მიაღწიოს თავის მიზანს, მოიპოვოს სიმდიდრე, სიამოვნება.თავისინტერესებში ჩაკეტილი ეს ინდივიდუალისტიები ნამდვილ ადამიანთა გვერდით ცხოვრობენ, პირადული სიკეთით მოტივირებულნი, ბოროტი ზრახვებით შეპყრობილნი, სხვის უბედურებაზე დამყარებული, მათი გაგების, ბედნიერების ძიებით დაკავებულნი;თავიანთი მიზნების დაკმაყოფილებით სხვისთვის უბედურების მომტანნი, ვისაც სხვისი დაჩაგვრა, დაკნინება, ზიანი სიამოვნებას გვრის, ფაქტობრივად ამ მიზანსვერ აღწევენ. მათი მიდრეკილებები, მიზნები და ქცევა, ცხოვრების ნირი საბოლოოდ მათ ნამდვილ ბედნიერებას არ უქადის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ სხვანაირები იყვნენ. ისინი მოჩვენებით კეთილდღეობას ებლაუჭებიან, მაცდური სურვილების დაკმაყოფილებას ესწრაფიან.

ცხოვრების ნაგებობა, მისი ავ-კარგიადნიშნულ ორ ბლოკზეა დაფუძნებული. პირველიცხოვრების გამმაგრებლის, გაკეთილშობილების, გახალისების, გამშვენირების სიმტკიცის, მდგრადობის პირობაა, მეორე - ცხოვრების გაუკუღმართების, აზრის დამახინჯების, დასუტებისა. ცხოვრება ისეთია, როგორცაა ამ ბლოკების თანაფარდობა. მისი გაკეთილშობილება პირველის განმტკიცებასა და გაფართოებაზე, მეორის დასუსტებაზე და შეკვეცაზეა დამოკიდებული.

ილიას ეპოქის, ადამიანთა ცხოვრების მის მიერ სააშკარაოზე გამოტანილი სურათი აღსავსეა ნეგატიური – ადამიანის საქმიანობის, მენტალიტეტის, მიდრეკილების შედეგებით, უკუღმართობებით, სისამაგლეებით, თუმცა ისინი, კეთილ ადამიანთა წყალობით, ვერ ფარავს ცხოვრების სიდიადეს, მშვენიერებას. „რაც ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს, ადამიანი მაინც ყველაზე ღირსეული არსებაა ამ ქვეყნად“. (გოეთე).

ილიას მხატვრული ნაწარმოებებისა და მეცნიერული და პუბლიცისტური ნაშრომების შინაარსის, იდეების ერთობლიობითაგებული ნამდვილი ადამიანური ცხოვრების წარმოსახვითი მოდელი, მის კონსტრუქციები ეფუძნება და ესადაგებასადაც მოაზროვნე კონკრეტული ინდივიდებისა და მთლიანად საზოგადოების იდეალებსა და მისწრაფებებს, ეხმიანება კაცობრიობის ინტელექტუალური და ზნეობრივი ელიტის აზრებსა და იდეებს, რომელთაგან მუდამ მეტ-ნაკლებად დაშორებული იყო და რჩება დღემდე ცხოვრება. იგი დიდი წინააღმდეგობებით, მაგრამ პროგრესის ვექტორით მაინც მიემართება წინ. **ეს გარდაუვალია, რადგან არსებულ გაუკუღმართებათა პირობებში ცხოვრების გაგრძელება დიდ საფთხეს შეიცავს, კატასტროფით ემუქრება ადამიანთა მოდგმას. ეს, ერთი მხრით, მეორე მხრით, კაცობრიობას გააჩნია მორალური და ინტელექტუალური**

რესურსი თავი დააღწიოს უკეთურობებს და ადამიანურად ზნეობრივ იმპერატივებზე, სამართლიანობაზე, ჰუმანურ ურთიერთობებზე, რაციონალურობაზე, ზომიერებაზე, მშვენიერებაზე, ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული ცხოვრება მოაწყოს, გათავისუფლდეს მანკიერებათგან.

ახალი, ნამდვილი ადამიანური ცხოვრების მოდელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგპირობას: „აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიმცნო, ჟამი რას მოითხოვს“.1ახალი ყოფა, რომელიც განსხვავებული იქნება არსებულისგან, პირველ რიგში გულისხმობს ინდივიდთა ისეთ პირად თვისებებს და ცხოვრებას, რომლებზეც აღიმართება მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობები, სისტემა. ილიასეული მოძღვრების მიხედვით, ნამდვილი ადამიანური ცხოვრება შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ საერთო-საკაცობრიო, ასევე ეროვნულ ფასეულობებს.

მთელი ფასეულობითი სისტემის ამოსავლად კი ზნეობა გვევლინება. ახალი ცხოვრების ადამიანის თვისებები ილიამ ნათლად გამოკვეთა: „სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილი ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა სხვა. გონება ერთს იტყვის და გული სხვასაქნევინებს.“ 2 ზნეობრივი, ღირსეული ადამიანი

1 ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული . ტ. 7. გვ. 74.

2 ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრული კრებული , ტ. 5. გვ. 293.

ყოველთვის იქცევა ადამიანურად, სწორად, არ დაარღვევს ზნეობრივ იპერატივებს. ის ემსახურება **სიკეთის** პრინციპებს: „სიტყვა ისაა კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.“ ასევე: „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველსა დღეს შენს თავსკითხო: აბა, მე დღეს ვის რა ვარგე“. ანკიდევ: „ვაჟკაცად იგი მიქია, ვინც უბედურთამხსნელია.“ ილია მისდევს საკაცობრიო სიბრძნეს, რომელიც დიდი ხანია გააცნობიერეს ადამიანებმა „სხვის ბედნიერებაზე ზრუნვით ჩვენს ბედნიერებასვპოულობთ.“(პლატონი). ქართული ცნობიერება ტრადიციით ადამიანთა შორისალაღ, გულისხმიერ დამოკიდებულებას მოითხოვს: „გული მისცეს გულისათვის სიყვარული გზად და ხიდად.“ (რუსთაველი).

ახალი ცხოვრებისთვის უცხოა **უხეში ეგოისტური ინდივიდუალიზმი**, საკუთარი ინტერესების ნაჭუჭში ჩაკეტილობა. ადამიანური ყოფა შეიძლება ემყარებოდეს სუბიექტების ერთიანობას, კოლექტივიზმის გრძნობას, რაც ადამიანურ ბუნებას შეესაბამება. საწინააღმდეგო მდგომარეობა საფრთხის შემცველია: „გაყოფაში იყო, არის და, თუ გონს არ მოვეგეთ, მომავალში იქნება ჩამალული საქართველოს დამხობის თესლი“. ერთობას, კოლექტივიზმის გრძნობას, სასიკეთო შედეგი მოაქვს: „ ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ.“¹ „საცა თითოეული უღონოა, ღონიერნი ყველანი არიან ერთად. ერთიანი ხელის გამოღება, ერთიანი გარჯა, მხნეობა, თითოეულსაგან ერთად მოგროვილი ქონება, თუნდ ცოტ-ცოტაობით, იმოდენა წყაროს შექმნის შეძლებისას,

¹ ი. ჭავჭავაძე . თხზულებათა სრული კრებული. ტ. 7. თბილისი. 1958. გვ. 271.

რომ ჩვენ არც ცოდნის მოპოვებად გაგვიჭირდება, არც ამგვარი სამოქმედო ქონებისა, რომელიც ცხაკლიტულ კარს მიწის სიმდიდრისა გაგვიღებს წარსამატებლად და სასიკეთოდ. 1“

ხალხსაც სწამს, რომ „პატიოსნება უნოდ ლაპარაკობს“ (ანდაზა). აფრიკელების ხალხური სიბრძნე გვამცნობს: „ყველაზე დიდი სიმდიდრე არის ჩვენი პატიოსნება“ .

უპატიოსნობის ერთ-ერთი გამოვლინება დასაზოგადოების საშიში სენი კი არის კორუფცია –ერის დამანგრეველი ჭირი, რომელიც ყოველვარ სტიმულს უკარგავს ერის მწარმოებლურ ძალებს; 2. ცხოვრება უნდა გათავისუფლდეს მისგან, ასევე ისეთი მანკიერებებისაგან, როგორცაა: ქურდობა, წამგლეჯობა, სიხარბე, სხვისი მონაგარის მითვისება. „ქურდობაცაა ბურჟუაზია და კაპიტალიზმის გაუმადლარი სტომაქი ქართველებს სახსენებელს გაგვიწყვეტს, თუ ჩვენი მხრიდან ცხოვრების უწერელი კანონები არ მოვიმერჯვეთ.... კაპიტალი როცა ნამუსიანია, კარგია, მაგრამ უნამუსო, ჩარჩული კაპიტალი, ჩარჩული ფული ბუნებითადმხდალია, იმიტომ, რომ ქურდობაცაა, იქ იმკის, საცა არ უთესია.“³

ნათქვამიდანაც ცხადია, რომ **მძალადი ზნეობის ადამიანების არსებობაა ადამიანური საზოგადოების მომავალი ცხოვრების მოდელის ერთ-ერთი ბურჯი**. კარგი თვისებების მატარებელი, ადამიანი „ყველაზე ღირსეული არსებაა ამ ქვეყნად“. (დალაი ლამა). როგორც ძველი ლათინები ამბობდნენ:

¹ ი . ჭავჭავაძე. თხზ. სრული კრებული. ტ.7. თბილისი. 1957 გვ.33.

² ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრული კრებული. ტ. 7. თბილისი. 1961 . გვ 167.

³ იქვე, გვ .23-24.

„homo homini dues“ - „ადამიანი ადამიანისთვის ღმერთია“, ცხადია, კარგი ადამიანი.

ადამიანური ცხოვრების ნიშან-თვისებათა ცენტრშია ასევე **სამართლიანობა**, მისთვის მებრძოლი და თავგამოდებული ადამიანები. უსამართლობა ისაა, რაც ცალკეულ ადამიანებს აცლის ღირსებებს, ხოლოსაზოგადოებას იმ განძს, რაც ერთ-ერთი უძვირფასესია მისთვის. „თუ სამართლიანი ხარ და თავმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ“.¹ სამართლიანობა საზოგადოებისთვის ბუნებითი აუცილებლობაა. თანასწორობა „დადგენილია ბუნებით, უთანასწორობა დაწესებულია ადამიანთა მიერ“ (რუსო).

ადამიანური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფასეულობა პიროვნების **თავისუფლება**ა. იგი, ილიას მიხედვით, განუხრელი ატრიბუტია ადამიანური ყოფისა. „თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა.“ სადაც თავისუფლება არაა, იქ ადამიანთა ცხოვრება არ შეიძლება იყოს ადამიანური, „მონება კაცს არ შეშვენის.“ თავისუფლება ისაა, რაც ადამიანთა ცხოვრებას ამაგრებს, იცავს: „თავისუფლებაც, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი“. ამას ეწინააღმდეგება ისეთი სავალალო რეალობა, როცა „ადამიანები ცხოველებივით არიან: დიდები პატარებს ჭამენ და პატარები იკბინებიან“ (ვოლტერი).

თავისუფლება არა მარტო პიროვნებათა ნორმალური ცხოვრების გარანტს წარმოადგენს, არამედ **მთელი ხალხისაც**, რომლის დაკარგვა უმძიმესი ხვედრია მის ცხოვრებაში. ის ძნელად მოსაპოვებელი და მთელი ისტორიის მანძილზე, სხვა სიკეთეებთან ერთად, მუდამ უკმარი იყო.

¹ ი . ჭავჭავაძე. თხზ. სრული კრებული. ტ.4 . გვ 299.

ხალხი, საზოგადოება დამოუკიდებელი, თავისი ბედის ბატონ-პატრონი, გამგებელი, თავისი მოქმედების გამსაზღვრელი თავად უნდა იყოს. კარგად მაშინ იქნება ხალხი, როცა ის თავისუფალი, დამოუკიდებელია. „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ “. 1

მრავალი შემოქმედისა და პოლიტიკოსის თუ რიგითის საოცნებო თავისუფლებასადმი დამოკიდებულებასაც გამოხატავდა დიდებული პოეტი ბაირონი :

„თავისუფლების მოთხოვნილება
თვით ღვთისგან აქვს ყველა ქმნილებას, ...
რომ არ ჰყოლია ახალ იმდენი
თავისუფლებას ჰყავს მემკვიდრენი “. 2

თავისუფლების პრობლემა ადვილად როდი წყდება. ის მუდამ იდგა და კვლავ დგას დღის წესრიგში. ილიას ეპოქიდან გარკვეული დროის შემდეგ დიდი გალაქტიონი იტყოდა:

„ თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით ირმების გუნდს წყარო ანკარა “.

ეპოქის, საზოგადოების ცხოვრების ადამიანურობის, პროგრესის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, მიზანი სწორედ **პროგრესისა და ხალხის დამოუკიდებლობა, თავისუფლებაა, ამასთან, ის მხოლოდ**

¹ ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები. ტ. 2. თბილისი. 1985. გვ. 24.

² ჯ. ბაირონი. ლირკა. თბილისი. 1965, გვ. 29.

სრულფასოვანი უნდა იყოს და არა ფორმალური, სანახევრო, რომლის გარემუქებალი ცხოვრების მოდელი ილუზიის ხასიათს იღებს.

ამასთან, ადამიანისთვის, როგორც სოციალური არსებისთვის, სულაც არაასაკარისი მაღალი ზნეობრივი თვისებები - პატიოსნება, სიტყვის კაცობა, კაცთმოყვარეობა, გამრჯელობა, მეგობრული გრძნობა, ალალ-მართლობა, თუნდაც თავისუფლება. ის პროგრესისკენ უნდა ისწრაფოდეს, ცოდნას უნდა აღრმავებდეს, ახალ ცოდნას იძენდეს, ეუფლებოდეს სამყაროსა და ცხოვრების არსს, კანონებს, სულ უფრო ღრმად წვდებოდეს მათ, ტექნოლოგიურ სიახლებს კმნიდეს, სრულყოფდეს საქმიანობის ორგანიზაციას, წარმოების მართვას, ყოველივეს, რაც აუმჯობესებს ცხოვრებას, ალამაზებს, შინაარსით ამდიდრებს, წინ სწევს მას. ამიტომ თავის მეცნიერულ და პუბლიცისტურ ნაშრომებში ილია დამაჯერებლად ასაბუთებს განათლების, მეცნიერების, ახალი ტექნოლოგიების როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის პროგრესისთვის, საერთოდ, და საქართველოს მაგალითზე, კონკრეტულადაც. მისი მოძღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ახალი ადამიანური ცხოვრების სუბიექტის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი **მაღალი ინტელექტი, ცოდნა, განათლებაა**., მეცნიერება და ხელოვნება იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრების მეოხებით და მერე თვითონ მიჰყავთ წინ ცხოვება¹. „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება - ღონეა იმისთანა, რომელსაც ვერაფერი შეედრება: ვერც

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული. ტ. 2. გვ. 629.

მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯარის სიმრავლე.“ხოლო „მიზეზთა მიზეზი ყოველი უბედურებისა - ეს უვიცობაა.“²

საზოგადოება და თითოეული ადამიანი უნდა ცდილობდეს დაემყაროს **ჭეშმარიტებას**, რომლისგან გადაცდენა მას სიკეთეს არ უქადის. „რა აახლებს, რა ცვლის და თუ ცხოვრება ჯანმრთელია, რას მიჰავს წინ? – ცოდნასა, მეცნიერებას, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფია არიან.“³

შრომისა და მშრომელის ფაქტორი ცენტრალურ ადგილს იკავებს ადამიანური ცხოვრების პირობათა შორის. პირველ რიგში მთავარია შრომის გათავისუფლება ანუ მშრომელის თავისუფალი შრომის უზრუნველყოფა „შრომისა ახსნა“. „ხოლო გვწამს ღმერთი – უქმთა წამწყმედი, ტვირთმძიმეთ და მაშვრალთა მხსნელი. ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა, ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი“.

ამასთან, ადამიანები უნდა ფლობდნენ დოვლათის გამოყენების მაღალ კულტურას, უნარს. მხოლოდ მშრომელთა, გამრჯელი, ყაირათიანი ადამიანების საზოგადოება შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი და ბედნიერი: „ქვეყანა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს.“ ინიცატივა და აქტიურობა აძლევს შრომას მაღალი ნაყოფის მოცემის ძალას. „მარტო იგი შრომაა ნაყოფიერი, რომლის საძირკველი საკუთარი თაოსნობაა და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა.“

¹ ი.ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ.4 გვ. 252.

² იქვე, გვ. 270.

³ ი. ჭავჭავაძე . თხზულებანი. თბილისი. 1989. გვ. 531.

სავსებით გასაგებია ილიას მიერადამიანთა გამრჯელობის, შრომის-
მოყვარეობის ხაზგასმა. იგი ხედავდა **ადამიანთა დიდი ნაწილის სენს –
სიზარმაცეს, მიდრეკილებას უფრო უქმობისკენ, გართობისკენ, ვიდრე
გარჯისკენ, დროის ფლანგვას, რაც მათ დასაბამიდან დაჰყვა.**სიზარმაცე
კაცობრიობის უდიდესი მტერია, რომელიც მას დიდ პრობლემებს უქმნის.
იგიადამიანთა დიდი ნაწილის სიღარიბის, დოვლათის უკმარობის,
გაჭირვების ერთ-ერთი საყოველთაო მიზეზია. უმრავლესობის სურვილია
ნაკლები იმუშაოს და მეტი მიიღოს. კაცობრიობა, ხალხები წინ ადამიანთა
ბეჯით უმცირესობას და დანარჩენის იძულების მექანიზმს მიჰყავს, რომ-
ლის მეშვეობითგარემოს, აღზრდის გავლენაადამიანთა დიდ ნაწილს,
მათი განწყობისა და ნდომის მიუხედავად,ჩართავს შრომით საქმიანობაში
საარსებო საშუალებათა მოპოვებისათვის, თუმცასრულად ამას ვერ
აკეთებს. **ამის გამო არსებობს საზოგადოების დოვლათშემქ- მნელი
პოტენციალის უზარმაზარი დანაკარგები.**

შრომის მიზანი, მართალია, დოვლათის (სიმდიდრის) შექმნა და
ფლობაა, მაგრამ ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს ზნეობრივი ქცევის ფარგ-
ლებში.დოვლათი, სიმდიდრე აუცილებელზელ ფასეულობად, კეთილდღე-
ობის ერთ-ერთ წყაროდ წარმოგვიდგება, მაგრამ იმ პირობით, რომ მას თან
არახლავს ადამიანურობის მოთხოვნებიდან გადახრა...რა არის სიმდი-
დრე? სიმდიდრე კარგი რამაა. მე მის წინააღმდეგ არაფერი მეტყმის...
მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა. უიმისოდ
ბედნიერება კარგად გრძნობს თავს და იგრძნობს კიდევ, თუ კი ჩვენ
ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად ზნეობრივი
მხარის დაკამყოფილებას ესწრაფიან“. ცხადია, აქ მხედველობაშია
ცალკეულ ადამიანთა ზედმეტი მისწრაფება სიმდიდრისადმი.

საზოგადოების ღირსეულ წევრთა ცხოვრების ნაწილია ქვეყნის, კაცობრიობის სამსახური...კაცთა საზოგადოება თავისი სიმკვიდრისა, შეურყეველობისა და არსებობისთვის ყოველ ცალკე ადამიანისაგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელიდაა კაცთა კრებულად ცხოვრებისათვის.¹ როგორც ნ. ბარათაშვილიც გვამცნობს: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“. საზოგადოების ღირსეულმა წევრებმა არ იციან რა საკუთარ თავში კარჩაკეტილობა, მათ არ სჭირდებათ დამალვა, ბრძანება საერთო საქმეში მონაწილეობისთვის. ისინი მთელი ენერგიით, შესაძლებლობებით ჩართულნი არიან საერთო საქმეებში, არანაკლებ საკუთარისა. ეს მათ ანიჭებს კმაყოფილებას, აღუძრავს ღირსების გრძნობას. თავის უდიდეს მოვალეობად და საქმედ მიაჩნიათ საზოგადო საქმის სამსახური. მათთვის უცნობია მდაბლური მისწრაფებები და უმსახურებელი სიმდიდრის, თანამდებობის, ჯილდოს, სახელისკენ. „თავისი და თავისი ქვეყნის სასარგებლო სამსახური აროდეს დაპირისპირებია კაცობრიულს, არც კულტურითა, არც ზნეობით.“

ადამიანები ცხოვრების მოწყობაში მთელ თავიანთ ეროვნულ წარსულს, ტრადიციას, ზნე-ჩვეულებებს უნდა ემყარებოდნენ, იცავდნენ მათ, სამშობლოსადმი ერთგულება სისხლ-ხორცში უნდა ჰქონდეთ გამჯდარი. ახალი ადამიანური ცხოვრება ისე ვერ დაფუძნდება. „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისი ყოფილი ცხოვრების... წარსული - მკვიდრისადირკველია

¹ იქვე, ტ. 7, გვ. 224.

აწმყოსი, როგორც აწმყომომავლისა.ეს სამისხვადასხვა ხანა, სხვადასხვაჟამიერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეო-როდ წარმოუდგენელი, გაუგებარიდა გამოუცნობია .1“

დაუშვებელია ეროვნული ფასეულობების დაკარგვა. „სამი ღვთა-ებრივი სუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან: მამული, ენა სარწმუნოება. თუ მათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლებას.? “2

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი შტრიხების მიხედვით, ახალი ცხოვრების აქტორი ილიასეული იდეების ფუნდამენტზე მდგარიადამიანი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ . ესაა მაღალი ზნეობის, პატიოსანი, კეთილი მიზნებით, პასუხისმგებლობით მოქმედი, საკუთარ ოჯახზე, მოძმეზე, ქვეყანაზე მზრუნველი, ბოროტი ზრახვების, ეგოიზმის, ანგარების, სიხარბის, ამპატავნობისაგან და სხვა მანკიერებათაგან თავისუფალი პიროვნება; მას ახასიათებს სიცოცხლის წყურვილი, სხვების პატივცემა, გულისხმიერება, შეჭირვებულთა დახმარება, მეგობრებისა და ყველა ადამიანისადმი თანადგომა; იგი გარჯისადმი მიდრეკილი, მიზანდასახულია; მისი ცხოვრება აღსავსეა აქტიური ძიებით, ინიციატივებით, ქმედებებით, კეთილი საქმეებითაა მოტივირებული; იგი თავისუფალია არა მარტო სხვისი ძალადობის, შემზღვედავი კარნახის, ბრძანებებისგან, არამედ ყოველგვარი ბოროტი განზრახვისგან; მის ცხოვრებისთვის უცხოა სხვისი მონაგარის მითვისება და მასზე აგებული კეთილდღეობა; მისი კრედაა ჭეშმარიტების გზა და

1 ი. ჭავჭავაძე. სრული კრებული. ტ. 4. გვ.200.

2 ი. ჭავჭავაძე. სრული კრებული . ტ. 3. გვ. 26-27.

დირსეული ცხოვრება, ზომიერება; მისთვის შინაგანად უცხოა ნივთების ფლობის იდეალიზაცია, სხვისთვის ზიანის მომტანი ქმედება, აშკარა თუ ფარული ძალადობა. მას ესმის, რომ ბოროტებას ხანმოკლე არსებობა უწერია, ბოროტებით მოპოვებული კეთილდღეობა არაა ნამდვილი. იგი საზოგადოების სისლბორცეული ნაწილია და მხოლოდ მასთან, სხვა ადამიანებთან ერთობაში წარმოიდგენს თავს და გამორიცხავს სხვებისგან გარიყულ, განკერძოებულ და სხვებს დაპირისპირებულ ყოფას.

მთელი საზოგადოების ცხოვრების მოდელში პიროვნებისადინიშნულ თვისებებს გამსაზღვრელი ადგილი უჭირავს. ეს საერთო-სახალხო ცხოვრების საფუძველს ქმნის, მას აკეთილშობილებს და მიმზიდველს ხდის. ამასთან ერთად, ახლი, არსებულისგან განსხვავებული, ცხოვრების მნიშვნელოვანი კომპონენტებია საზოგადოებრივი ურთიერთობები და გარემო, ეკონომიკური მოწყობა და მექანიზმი, პოლიტიკური სისტემა. ილიასეული იდეების მოდელის **საზოგადოება და მისი ცხოვრება თავისუფალია ყოველგვარი ძალადობის, ადამიანებისა თუ მათი ჯგუფების, ხალხების ჩაგვრისგან, აგრესიული, ექსპანსიონისტური მოქმედებებისგან.** იგი მოწყობილია ადამიანების უფლებების უპირობო დაცვის, ხალხის ნების, მოთხოვნილებების რეალიზაციის პრინციპებზე,.....ლახვა სხვისი უფლებისა, მერე მისთანისა, რომელიც ბუნებით მინიჭებული აქვს ყოველს ადამიანს, შეუწყნარებელია და დაუზოგავად განსაკითხავი ყველგან და ყველასაგან. შენც იყავი და მეც მამყოფე, განა ბუნებური და სამართლიანი სურვილი არ არის?

ამ საზოგადოებაში არ არსებობს **ფუნდამენტური უფლებრივი განასხვავება** ადამიანებს შორის წოდების, წარმომავლობის, რელიგიის, თანამდებობრივი მდგომარეობის **მიხედვით, ამ მხრივ აღიარებულია**

თანასწორუფლებიანობა, რაც კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის, დიდი მოაზროვნეების იდეალია. „ყველასა აქვს თანასწორი უფლება ამ თვალწინდენ ქვეყანაში ცხოვრებისა“¹ ილიას თვალსაზრისი ეხმიანება კაცობრიობის პროგრესულ წარმომადგენელთა შეხედულებებს. მაგალითად, ამერიკის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის, მესამე პრეზიდენტის, მეცნიერის თომას ჯეფერსონი მიერ შედგენილ „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“ აღინიშნა: „თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილნი არიან როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორცაა: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა“.

ადამიანთა სტატუსი დაფუძნებულია მათ ღირსებებზე, თანამედროვე ტერმინოლოგიით, **განვითარების ვექტორი, მომავალი მიმართულია მერიტოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ.** ისტორიამ ადამიანები დაჰყო სიმდიდრისა და ძალაუფლების მიხედვით ძლიერ-ზად ამა ქვეყნისა და სუსტებად, თანაც სამართლიანობის უფლებელყოფით. პირველთ მეტი ერგოთ, ვიდრე ეკუთვნით სიკეთე, მეორეთ - ნაკლები. პირველნი რაციონალურად ვერ იყენებენ ზედმეტად მიღებულს ისე, რომ მეორენი არ დაზარალებდნენ. ილია ისტორიულ ამოცანად მიიჩნევს ამგვარ განასხვავებათა აღმოფხვრას. „ნუთუ ყოველ საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასთვის?“² - კითხულობს ის.

¹ ი. ჭაჭავაძე. თხზ. ტ. 8 . 1957 . გვ. 188.

² წიგნიდან : აწერეთელი. თხზ. სრ. კრებ. ტ. 14. გვ. 57.

უზარმაზარი განსხვავება ადამიანებს შორის, რაც დამყარებულია ქონებრივ დაძალაუფლებითუთანასწორობაზე, ისტორიის „ცოდვებს“ მიეკუთვნება. ადამიანები ამ ზომით არ განსხვავდებიან არც ფიზიკური და არც ინტელექტუალური მონაცემებით. ეს განსხვავება უნდა მოისპოს.

„წარმატებისათვის, კეთილდღობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი ძალნი ერთობისანი ერთად, ერთგვარად იყვნენ მიდრკილნი და მიწვეულნი. თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთი სახით გაჭირვების უღელს ეწევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებასა და მოვალეობას. საცა ეს არ არის, მაშინ ერთის ამაღლება, ერთის კეთილდღეობა მეორის გაღარიბებაზედ არის ხოლმე დამოკიდებული. უთანასწორობა ერთმანეთს შორის, უჯრად–უჯრად დაყოფის შედეგია. ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წა–უმატოს; რაც არის, ისიც უნდა დაშალოს, დაარღვევინოს, ქარს მისცეს.“¹

მზრძანებლობისა (ბატონობისა) და მორჩილების ურთიერთობა მხოლოდ ცხოვრების მანკიერებად უნდა ჩაითვალოს, რაც ისტორიას სხვადასხვა ფორმით თან მოჰყვა და რჩება დღემდე. ასეთი ურთიერთობა კი შეუფერებელია ადამიანისთვის... ადამიანი, ვისაც ჭირდება მზრძანებლობა იგი ცხოველია და თუ ადამიანია, მას არც მზრძანებლი ჭირდება“. (ი კანტი). სწორედ განვითარების ასეთი დონეა აუცილებელი ცხოვრების ადამიანურობისთვის. სხვაზე ბატონობა, სხისი დაკნინება არავის არ აძლევს მართლზომიერ უპირატესობას, რეალურ სიკეთეს, ხოლო სხვას კი აკნინებს, აზიანებს. **ადამიანებს შორის ბუნებრივ ურთიერთობაში ერთის მიმართ მეორის მორჩილება კი არ უნდა**

¹ ი. ჭავჭავაძე. სრული კრებული. ტ.8. გვ. 50–51.

იყოსცხოვრების წესი, არამედურთიერთ ხელშეწყობა და თანამშრომლობა. ილიას მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟს – ლუარსაბს („კაცია-ადამი-ანიდან“)იმის პასუხად, რომ უთანასწორობა ადამიანების თითებზეცაა გამოსახული, მისი ყმა - დათო უაღრესად დრამაზროვნ პასუხს აძლევს: „...დიდიც არის და პატარაც, მაგრამ დაილოცა ღვთის სამართალი, ერთმანთს არ უშლიან“.¹ სწორედაც ასე უნდა იყოს. უფროს-უმცროსობის გამო, რა ნიშნითაც არ უნდა არსებობდეს იგი, ადამიანები არ უნდა უშლიდნენ ხელს ერთმანეთს ანუბატონნი თუ მორჩილნი კი არ უნდა იყვნენ, არამედ თანამცხოვრებნი და თანამოსაქმენი თანაბარზომიერ პირობებში. **ადამიანებს შორის უნდა დამკვიდრდეს თანამშრომლობა დოვლათის (სიკეთის) შექმნისთვის საქმიანობაში, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნებული განაწილებისა და არა რაიმენაირი გარეგანი იძულების საფუძველზე.** ასეთი ურთიერთობა კი დაგინდება ადამიანთა შეგნებული საზოგადოებრივი თანხმობის („ხელშეკრულების“) წესით, როგორც მასზე ჯერ კიდევ ევროპელმა განმანათლებლებმა მიაჩინეს. ილიას მიხედვით, „უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი დაუკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილობისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონმდებლობის ძალითა და ნიჭითა.“² ეს ყოველთვის ასე თუ არ იყო და არაა, უნდა იყოს და სავარაუდოა, რომ იქნება მომვალში. ასეთია კანონზომიერება. **უნდა დამთავრდეს ბრძანებლობითი და მორჩილებითი ურთიერთობა ადამიანთა ცხოვრებაში. ადამიანებმა მოვალეობის, პასუხისმგებლობის**

1 ი. ჭავჭავაძე. ერთტომეულ. თბ., 1957 გვ. 276.

2 ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრული კრებული. თბილისი. 1956. ტ. 6 გვ. 8.

შინაგანი რწმენით უნდა იმოქმედონ და აკეთონ სასარგებლო საქმე, უნდა ითანამშრომლონ, იურთიერთონ, როგორც ბუნებრივად თანასწორუფლებიანებმა არა უმეტესად დეკლარირებულად, როგორც იყო დღემდე და დღესაა, არამედ ფაქტობრივად. ექიმისადმი იპოკრატეს მოთხოვნას თუ ყველა ადამიანზე გავავრცელებთ, ისინი უნდა მოქმედებდნენ პრინციპით: „არ ავნო!“

მაგრამ ეს ასე ვერ იქნება ამკარა წოდებრივი, ქონებრივი თუ თანამდებობრივი უფლებების შედეგად ფუნდამენტური განსხვავების არსებობის პირობებში, „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანებით, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია, არამედ „ხიდის ჩატეხის“ მიზეზების მოსპობით. ცალკეული ავტორის დაჟინებული მტკიცების მიუხედავად, თითქოს იღია წოდებათა შერიგებას ქადგებდა, მისი ნამდვილი თვალსაზრისი ნათელია შემდეგი მსჯელობიდან: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვლიოს... ცალ-ცალკე წევრ-ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალკე თლა ლხინისა თავისკენ და ტირისა სხვისკენ, მარტო თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერობო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთი-ერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ქვიან.¹“

ეს კი ნიშნავს ადამიანთა შორის ხელოვნური, ფორმალური ბარიერების ზედმეტი, მათ შორის წოდებრივი, განსხვავებების გაქრობას ადამიანთა

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრული კრებული. თბილისი. 1961. ტ. 8. გვ. 312

რეალური თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის, მაღალი ზნეობის, შეგნების ნიადაგზე,,ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმოფხვრას **ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთ დიდებულ დენას შეერთებული ძალისას.**“¹

ეკონომიკურ ურთიერთობებში, როგორც ცნობილია, განმსაზღვრელია **საკუთრება**, თუ ვის ეკუთვნის წარმოების ფაქტორები, მ. შ. წარმოების საშუალებები. ილია სავსებით ნათლად ეწინააღმდეგება ადამიანთა გაუცხოებას წარმოების საშუალებებისგან. გასაგებია, რომ ასეთი გაუცხოება ქმნის ერთი ადამიანის მეორისაგან მატერიალურ და შემდეგ სხვა ფორმით დამოკიდებულ მდგომარეობას. ამიტომ ნებისმიერი თავისუფალი პიროვნება, სამუშაო ძალის ფლობასთან ერთად, უნდა იყოს წარმოების საშუალების - დამოუკიდებლობის, თავისუფლების, დემოკრატიის ეკონომიკური გარანტის მფლობელი (თანამფლობელი). სხვანაირად **თავისუფალ ადამიანთა ნამდვილი დემოკრატიული საზოგადოება ვერ იარსებებს.**

უწინარესად ეს ეხება წარმოების ისეთი საშუალებების საკუთრებას,როგორცამიწა. თავიდან,,თანასწორობა მიწის მფლობელობაში ... დამკვიდრებული იყო, მეტ-ნაკლებობის ჩამოვარდნას გზა გადაღობილი ჰქონდა; მიწის მშრომელი და მისი მფლობელი ერთიდაიგივე კაცი იყო.“² **საკუთრების, საარსებო შემოსავლების წყაროს**

¹ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა კრებული. ტ. 7. 1988. გვ. 57.

²ი. ჭავჭავაძე. სრული კრებული. თბილისი.1956. ტ.6. გვ.119-120.

გარანტიის გარეშე პიროვნების რეალური თავისუფლება და დამოუკიდებლობა ფორმალური ან სანახევრო იქნება.

დიდი ილია ამასშესანიშნავად ხვდებოდა. ამასთან, კერძო საკუთრების უფლება არ ნიშნავს მის განუზომელ თავმოყრას ცალკეული პირების ხელში, რაც საზოგადოებას მრავალ წინააღმდეგობაში ხვევს, ამკვიდრებს უსამართლობას, ადამიანთა მეტისმეტ ქონებრივ უთანასწორობას, იწვევს საზოგადოების დაქსაქსულობას და სხვა. პრაქტიკაში ეს ნათლად ჩანს მიწის მაგალითზე. „ზღვარდაუდებელმა უფლებამ საკუთრების პირადის ელემენტისამ თავი მოუყარა მამულებს კერძო პირთა ხელში ცალ-ცალკე, განაშორა მუშა ხელი სამოქმედო საგანს – მიწას, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი.“¹ ილია არ ემხრობოდა ასეთ მდგომარეობას, ფაქტობრივად საკუთრების დემოკრატიზაციის მომხრე იყო, საკუთრების პლურალიზმს უჭერდა მხარს, რაც შეიძლება იყოს ნამდვილი თავისუფალი საზოგადოების ეკონომიკური (მატერიალური) საფუძველი. იგი ბუნებრივად მიჩნევს საამხანაგო - კორპორაციულ (თანამფლობელობით) და სათემო საკუთრებას, გაუმათლებლად მიაჩნია, რომ საამხანაგო-კორპორაციული საკუთრების სისტემა „ადვირახსნილმა კერძოებრივმა საკუთრებამ დასძლია...“² საკომლო-გლეხურ მეურნეობასთან ერთად, სოფლად ილია საჭიროდ თვლიდა კოოპერაციული (ჯგუფური) მსხვილი მეურნეობის არსებობას საკუთრების შესაბამისი ფორმით. ცხოვრებამ დაადასტურა, რომეს ფორმები თანამედროვე

¹ იქვე, გვ. 142.

² იქვე, გვ. 121.

აგრარული ეკონომიკის შესატყვისია.¹ ამასთან, საკუთრების დემოკრატიზაცია, მისი საზოგადოების ინტერესების შესატყვისი მრავალფორმიანობის არსებობა გარდაუვალია მომავალი ჰუმანური საზოგადოების ყველა სფეროში. ეს აუცილებელია სოციალური სამართლიანობისთვის და ადამიანთა რეალური თავისუფლებისა და უფლებების გარანტიისთვის, ნამდვილი დემოკრატიის დამკვიდრებისთვის. ასევე ეს ევექტიანი ეკონომიკის არსებობის პირობაცაა. რეალური თავისუფლება და დემოკრატია ექვემდებარება სამართლიანობის - ზედმეტი უთანასწორობის, სხვისი კუთვნილის მითვისების გამორიცხვის პრინციპს. საკუთრების პლურალიზმის ბუნებრივი აუცილებლობა თვით საზოგადოების სტრუქტურაში ძვეს - სათემო (ჯგუფური), კორპორაციული (თანამფლობელობითი) და სახელმწიფო საკუთრების ძალადობის გარეშე არსებობის კანონზომიერებას ცხოვრება კარნახობს., საკუთრებას ორი ნაწილი შეადგენს: ერთი - პირადი, მეორე - საზოგადო, რადგანაც იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისთვის, რომ ნამაგრი მისი შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისთვისაც, რომ შესაძლოდ და დღეგრძელად ქნას არსებობა თვით საზოგადოებისა. ერთიცა და მეორე ნაწილიც ცოტად თუ ბევრადთვის საბუთსა პოულობს იმაში, რომ თვით ადამიანიც ორ მხარეს წარმოადგენს.“²

სავსებით ცხადია, რომ ადამიანი თავისი არსებით ორ მხარეს განასახიერებს - კერძოსა (პირადსა) და საზოგადოებრივს. ამიტომაც მას

¹ ამისა და სოფლად თანამედრვე მოწინავე წარმოების მოწყობის საკითხებზე დაწვრილებითა და არგუმენტირებულად იხ. წიგნში: პაატა კოლუაშვილი . ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალთ. თბილისი. 2013.

² ი.ჭავჭავაძე. თხზ.სრული კრებული. ტ. 6. თბილისი.1956. გვ.141.

შესაბამის გარემოში უწევს ცხოვრება და საქმიანობა. ჰუმანურისაზო-გადოების დოვლათის განკარგვა შეიძლება ემყარებოდეს პირადი და საერთო-საზოგადოებრივი ინტერესების, ყველასა და თითოეულის კეთილდღეობის უზრუნველყოფას, საერთო პასუხისმგებლობას ეკონომიკურ პროცესებსა და მისი შედეგებზე. ასეთი მდგომარეობა თავიდან გვაცილებს ცალკეულ ადამიანთა ზედმეტ დატვირთვას, დამაბულობასა და პასუხისმგებლობას, როგორც უკვე ითქვა, ქმნის დემოკრატიის, ადამიანთა დამოუკიდებლობის, თავისუფლების ეკონომიკურ დასაყრდენს, რის შედეგად მათ შეეძლებათ საკუთარი ნების შეუფერხებლად გამოხატვა, სხვისი კარნახით მოქმედებისგან, სხვაზე დამოკიდებულებისგან თავისდახსნა. სანამ ადამიანი არ გახდება ეკონომიკურად და სოციალურად რეალურად დამოუკიდებელი, სანამ იქნება სხვისი განკარგულებებით და კარნახით მოქმედი სუბიექტი (მათ შორის დამქირავებლების) მისი ნამდვილი თავისუფლება, დემოკრატიული უფლებები ილუზიაა.

ეკონომიკური ცხოვრება, წარმართება მისი შინაგანი მარეგულ-ირებელი კანონების (თვითრეგულირების მექანიზმისა) და საზოგადოების ნების საფუძველზე ჩამოყალიბებული პრინციპებისა და კანონების მიხედვით...ცხოვრება თვითრეგულირება იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან გამოჭრილ რიკრიკაზედ.“¹ამდენად აუცილებელია ამ ორი მხარის შერწყმა, ურთიერთკავშირში მოქმედება, რომ ცხოვრებამ მიიღოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისი ხასიათი. ამასთან, სათანადო ორგანიზაციული ფორმების, ეკონომიკური აქტივობის, მეურნეობრივი

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. თბილისი. 1989. გვ. 536.

მექანიზმის, მეურნეობრიობის უნარის, მეცნიერებისა და გამოცდილების გამოყენების გარეშე განვითარებული ეკონომიკა ვერ შეიქმნება, რაც გინდა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არ არსებობდეს. ამიტომ სათანადო პროგრესული მეურნეობრივი სისტემის შექმნას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. „...რაც უნდა სიმდიდრით იყოს მორთული ქვეყანა, მაინც ხალხის კეთილდღეობას სხვა მხრივაც ხელშეწყობა სდომება: კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“¹. „თავიდათავი ქვეყნის გაღონიერებისთვის მათგან ნაწარმოებნი არიან, იმიტომ, რომ მარტო ესენი ქმნიან მას, რასაც საპოლიტიკო ეკონომია ქვეყნის სიმდიდრეს ეძახის.“²

ცხოვრების სასურველი პირობებისთვის უმნიშვნელოვანესია საზოგადოების მართვის (პოლიტიკური) სისტემა, ხალხის ნების გამოხატვა და რეალიზაცია ამ სისტემის მეშვეობით.

დემოკრატია მხოლოდ ხალხის მმართველობა, მხოლოდ კანონის უზენაესობა და მხოლოდ თავისუფალი არჩევნების საყოველთაო უფლება არაა. ესაა ფასეულობითი სისტემა, იდეოლოგია, საზოგადოებრივი ცნობიერება, ადამიანთა მაღალ ზნეობაზე, შინაგან რწმენაზე, მოვალეობათა და უფლებათა გაცნობიერებაზე დამყარებული ცხოვრებისშეგნებული წესრიგი, რომელმაც უნდა განაპირობოს თითოეულისა და ყველას აქტიური, უზრუნველყოფილი და შინარსიანი, განსაცდელს მოკლებული ყოფა.

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ.6 . თბილისი 1956. გვ. 8.

² „ივერია“ № 89ი 1887 წ.

საზოგადოებრივი პროცესები, საერთო საქმეების მმართველი ახალი ადამიანური ცხოვრების პირობებში სრულად იქნება დამყარებული ხალხის ნებასა და გადაწყვეტილებებზე, მათ განხორციელებაზე, რაც განსხვავდება დემოკრატიის თანამედროვე, პალიტიური ფორმებისგან. აქყოველ ადამიანს აქვს უფლება და ევალება აქტიურად და რეალურად მონაწილეობდეს ქვეყნის, მისი განაყოფების მართვის პროცესებში. ეს არაფორმალური, ნაწილობრივი, არამედ სისხლსაცხე, მთლიანობითი, რეალური პროცესია, როცა გადაწყვეტილებების მიიღება კონსენსუსის საფუძველზე, არ არსებობს უმრავლესობის ან ძლიერი უმცირესობის ტირანია, ქონებრივი ან სხვა ძალადობრივი ფაქტორის ზეგავლენა, ხელისუფლებაში ხალხის მონაწილეობის, აქტიურად ჩართვის სრული შესაძლებლობა არსებობს, არა აქვს ადგილი არანაირ დიქტატს, მართვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სისტემები შერწყმულია: „...საცა მთავ-რობას ხელთ უპყრია მართო სახელმწიფო საჭიროების საქმენი, ყოველივე სხვა კი საზოგადოებას დაუსაკუთრებია. მერე ისე, რომ ადგილობრივნი საქმენი აქვს ხელშეუხლებლად მინდობ-ილნი...“¹ სწორედ რეალური დემოკრატიის ადეკვატურია ის სისტემა, როცა სახელმწიფოს ყველა საფეხურზე - ძირეულზე (სოფელი, რაიონი), შუალედურზე (მხარე, რეგიონი, დარგი) და უმაღლესზე (ქვეყანა), ცხოვრების რეგულაციები აგებულია ძალაუფლების სამართლიანი განაწილებისა და თვითმართველობის პრინციპებზე, ანუ მოქმედებს გარე ძალების, ცალკეულ პიროვნებათა ამბიციური დირექტივების გარეშე.

¹ ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სულ კრებული. ტ.6, თბილისი, 1956, გვ. 35.

ადამიანთა ჯგუფებისა თუ ხალხისნების, ინტერესების შესაბამისად. ქვეყნის ყველა რგოლის ურთიერთობა დამყარებულია, ურთიერთ-სარგებლობის, ურთიერთდახმარების საწყისებზე, გამორიცხავს აგრესიულობას და ექსპანსიონიზმს. განსაკუთრებულ რეალურ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი, სამოქალაქო ორგანიზაციები.

ამრიგად, ახალი ადამიანური ცხოვრების მოდელის კონტურები სინთეზურად ილიას იდეების საფუძველზე შემდეგნაირად წარმოგვიდგება .

ახალი საზოგადოება შედგება ინდივიდებისაგან, რომელთაც მიაღწიეს სრულყოფის მაღალ საფეხურს, რაც გამოიხატება მათ მაღალ ზნეობრივ და ინტელექტუალურ დონეში, წარმოადგენს ადამიანთა სწორი ქცევის, ჭეშმარიტების, კაცობრიობის მიერ შემუშავებული ზნეობრივი იმპერატივების საფუძველზე ადამიანთა მოქმედების გარანტს. გარკვეული მოსალოდნელი ექსცესების გარდა, ასეთი ადამიანები მოქმედებენ რაციონალურად არიან ზომიერნი, ნამდვილად ადამიანურნი, რომელთა ნაკლებობა მთელი ისტორიის მანძილზე შეიმჩნეოდა. მათ არ აწუხებთ ანგარება, ამპარტავნობა, მატერიალური სიმდიდრისადმი, ზედმეტი მოხმარებისაკენ დაუოკებელი და უზომო სწრაფვა, სხვა ინდივიდუუმების მიმართ გარეგნული და ფორმალური უპირატესობის, მოჩვენებითი პრესტიჟის მოთხოვნილება. ისინითავის და სხვის სასარგებლოდ მოქმედებენ სინდისის, შინაგანი რწმენის კარნახით, როგორც ცნობილი სენტენცია გვიხსნის: „სიკეთე ისე უნდა აკეთო, რომ სარგებელზე არ ფიქრობდე“. ეს ადამიანები შემოქმედებით, ნაყოფიერ შრომაში, სიკეთის სამსახურში, ადამიანთა მოდგმის სიყვარულში, სულიერი და საყოველთაო მატერიალური სიმდიდრის გაზრდაში, პირადთან ერთად საერთო

კეთილდღეობის ამაღლებაში წვლილის შეტანაში, ადამიანთა ბედნიერების სადარაჯოზე დგომაში ხედავენ ცხოვრების ჭეშმარიტ აზრს, თავის ბედნიერებას, განსხვავებით ინდივიდუალისტიკისაგან, რომლის ბედნიერება ხინჯიანი და ყალბია.

ადამიანები ბუნებით თავისუფლები არიან ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, მხოლოდ ერთმანეთის მიმართ რაიმე უფლებრივი გამორჩეულობის, ბატონობა-მორჩილებითი დამოკიდებულების გარეშე, როორც ჯონ ლოკი აღნიშნავს: „თითოეულს სრული თავისუფლება აქვს ბუნების კანონების ფარგლებში თავად გადაწყვიტოს, თუ რა აკეთოს - ისე მოექცეს თავის საკუთრებასა და სხვა ადამიანებს, როგორც თვითონ უნდა და სამისოდ არავის სთხოვოს ნებართვა და არავისზე იყოს დამოკიდებული. ეს, ამავე დროს, თანასწორობის მდგომარეობაა, როდესაც ყოველგვარი ძალა და კანონის მიყენების უფლება გაწონასწორებულია და ისინი არავის აქვს სხვაზე მეტად მომადლებული. სრულიად ცხადია, რომ ამ მდგომარეობაში ერთი და იმავე მოდგმისა და რანგის ადამიანები, რომლებსაც ბუნებამ განურჩევლად მიანიჭა ყველა უპირატესობა და ერთი და იმავე უნარებით დააჯილდოვა, ასევე თანასწორნი უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ.“ (ჯონ ლოკი. „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე.“).

ახალი ცხოვრების ადამიანები განუწყვეტლივ, გონივრულად და გეგმაზომიერად ეძიებენ, თითოეულის არსებობის პირობებისა და წესის თანაბრად, შერჩევის გარეშე, გაუმჯობესების, გამრავალფეროვნების გზებს. ასეთ ადამიანთა საზოგადოებას გადალახული აქვს წარსულის მანკიერებანი: ქიშკი, დაპირისპირება ადამიანებსა და ხალხებს შორის, რასაც მანამდე ხმარდებოდა მათი ენერჯის, დროისა და მატერიალური

რესურსების დიდი ნაწილი, რაც უქმად იხარჯებოდა ან რაც ადამიანთა საზიანო მიზნებისთვის გამოიყენებოდა. ადამიანები არ ფლობენ ზედმეტ ე.ი. იმაზე მეტ სიმდიდრეს, რაც მათ რეალურ კეთილდღეობას ემსახურება და მათი ქონება შეძენილი ან დაგროვილი არაა პრესტიჟის თუ სხვაზე უპირატესობის, სხვაზე ზემოქმედების დადასტურების მანკიერი, აბსურდული მიზნებისთვის. **მაშასადამე, გამქრალია ზედმეტი მოხმა-რება და დაგროვება, დამკვიდრებულია ზომიერება, მოსპობილია უქმი ეკონომიკა-კაცობრიობის ეს დიდი უკეთურობა, რაც მას მთელი ისტორიის მანძილზე ახლდა და ხელს უშლიდა ადამიანური, ღირსეული ცხოვრების დამკვიდრებას ყველასთვის.** ამით ჩნდება საზოგადოების ცხოვრების უდიდესი სიკეთე, საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის უქრობი წყარო.

ეკონომიკა ფუნქციონირებს დინამიურად, გეგმაზომიერად ობიექტური კანონების, თვითრეგულირების შინაგანი მექანიზმისა და საზოგადოების ინტერესებისა და ნების საფუძველზე, ძალადობრივი ზემოქმედებისა და სტიქიურ ძალებზე მიშვებულობის გარეშე. დაძლეულია დოვლათის შექმნასა და განაწილების სუბიექტებს შორის ბუნებრივი თანაფარდობის – შრომითი წვლილის მიხედვით შემოსავლის (დოვლათის) მიღების დარღვევა – მთელი ისტორიის თანმხლები წინააღმდეგობა. სრულადაა ძალაში დოვლათის განაწილების პროცესში ალტრუიზმის – საზოგადოების ჰუმანურობის საფუძველზე უმწეოთა უზრუნველყოფის პრინციპის გამოყენება. ამით მიღწეულია სამართლიანობა და ზნეობრიობა, გადალახულია ზედმეტი, ბუნებრივის საწინააღმდეგო ქონებრივი უთანასწორობა ადამიანებს შორის. ადამიანთა შრომისადმი დამოკიდებულება შეცლილია, შრომა გადაქცეულია

საყოველთაო შინაგან მოთხოვნილებად, გადალახულია ადრე არსებული სიზარმაცე. ეს მდგომარეობა ემყარება შრომის სიმძიმის დამღევას მისი შემსუბუქებით, შემოქნედებითი, საინტერესო ელემენტებით შევსებას ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, ასევე ადამიანთა შორის ურთიერთობათა ჰუმანიზაციას, მბრძანებლობა –დამორჩილების დამოკიდებულების აღკვეთას. შრომა წარმოადგენს ადამიანთა, ჯანსაღ მატერიალურ და მორალურ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების, ღირსების უცვლელ წყაროს.

ეკონომიკური დეცენტრალიზმი - საზოგადოების წევრების ეკონომიკური უფლებებისა და ძალაუფლების, საკუთრების სამართლიანი, თანაბარზომიერი განაწილება, ასევე მაღალი საერთო კულტურა, ინტელექტუალური დონე, მორალი, ჯანსაღი ფასეულობითი ორიენტაცია წარმოადგენს დემოკრატიის სრულყოფილების, საზოგადოების წევრთა უფლებებისა და თავისუფლების გარანტს არა დეკლარირებულად, არამედ რეალურად. ადამიანები სრულად განაგებენ ქვეყნისა და თავიანთ ბედს, აქტიურად მონაწილეობენ საერთო საკთხების გადაწყვეტაში. საფუძველი გამოცლილი აქვს უკიდურეს ინდივიდუალიზმს თითოეული პიროვნების ინდივიდუალობის არსებობის პირობებში. ადამიანთა შორის უხეშ დაპირისპირებას არაჯანსაღი, დაუნდობელი მეტოქეობის (კონკურენციის), ცალკეულთა მიერ სარგებლის მიღებისა და სხვების განდგურებისკენ მიმართული ფორმების არსებობასცვლის კეთილგანწყობილი, საქმიანობის საერთო, ყველას მიერ რაც შეიძლება მეტი სასარგებლო შედეგებისმიღებისაკენ მიმართული შეჯიბრება განათლების, მეცნიერების, სპორტის, ეკონომიკური საქმიანობის სფეროებში, ქველმოქმედებაში და სხვა.

განათლება ხელმისაწვდომია ყველასთვის. შინაარსით იგი მიმარ-თულია ადამიანის ჰარმონიული განვითარების, ყველა მსურველის მიერ მეცნიერების მიღწევების ათვისების, მაღალი კულტურის, ზნეობის, ჭეშმარიტად ჰუმანური ადამიანის ჩამოყალიბებისკენ. დაძლეულია ტექნოკრატიზმი, მექანიკური და წმინდა უხეში, კომერციული მიდგომა განათლებისადმი. განათლება ყველა დონეზე საზოგადოების მიერ არის მატერიალურად და ფინანსურად უზრუნველყოფილი, როგორც, ინდივი-დუალურთან ერთად, მთელი საზოგადოების სიკეთე.

სრულადაა გაცნობიერებული **მეცნიერების** - საზოგადოების პროგ-რესის უშრეტე წყაროს - როლი კაცობრიობის მთელი ისტორიული ტრადიციის კვალობაზე, მისი განვითარება პრიორიტეტულადაა აღი-რებული. მას ყოველმხრივი მხარდაჭერა აქვს.

თითოეული ადამიანის **ჯანმრთელობის დაცვა** საზოგადოებისერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს. უზრუნველყოფილია მისი საყ-ოველთაო, თანაბარი გარანტიები საზოგადოების ყველა წევრისთვის. იგი დაფუძნებულია გეგმაზომიერ შრომის მეცნიერულად დასაბუთებულ პირობებზე დანორმებზე.

მაღალ კულტურულ და მატერიალურ დონეზეა **უზრუნველყოფილი ადამიანთა მიერ თავისუფალი დროის გამოყენება, დასვენება, გართობა.** საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს მათ შინაარსს, ადამიანების სულიერი სიმდიდრის, ფიზიკური განვითარებისათვის გამოყენებას. უკუგდებულია დასვენებისა და გართობის უხამსი, ფუქსავატური, პიროვნების გამრყენელი ფორმები, რაც ე.წ. ლიბერალურ (არსებითად ცრუ ლიბერალურ) იდეოლოგიას და პოლიტიკას ემყარება, ფაქტობრივად ადამიანისთვის საზინოა, მიეწოდება მომხმარებელს ყალბად გაგებული

სიამოვნების თუ კმაყოფილების მიღებისთვის, ფრთაშესხმულიაკომერ-
ციული მიზნების, ხშირად კრიმინალური ბიზნესის მიერ.

ესაა, ჩვენი ხედვით, ილასეული იდეების საფუძველზე წარმოდგე-
ნილი მომავალი ჰარმონიული, ადამიანური საზოგადოების მოდელი,
მისი ცხოვრება ზოგად შტრიხებში, რომელიც შეესბამება კაცობრიობის
სუკეთესო წარმომადგენლების იდეალებს, ადამიანთა საერთო - ყველა
ფენის, თითოეულისა და ყველას ინტერესებს (რაც ამჟამად ნაკლებადაა
გაცნობიერებული).ნამდვილი ადამიანური ცხოვრების ასეთი პროგ-
ნოზული მოდელიგარკვეული მიახლოებით რეალობად შეიძლება იქცეს
კაცობრიობის ცნობიერების, ზნეობრივი, კულტურული, მეურნეობრივი
და ინტელექტუალური განვითარების, ე.ი. მთელი ისტორიული პროგ-
რესის კანონზომიერებათა შედეგად. ეს არის პროგრესის უალტერნა-
ტივოზა, ალტერნატივა კი არის რეგრესი და კატასტროფა.

საბოლოოდ ის დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, რომ გაუმათლებლია
საქართველომ იაროს სხვა ქვეყნების გატკეპნილი გზით, პირწმინდად
გადაიდოს იქ არსებული ყოფის, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური
სისტემის, კულტურის, ადმინათა ქცევის ასლი, დაკარგოს თავისი
ეროვნული სახე, თვითმყოფადობა, გამოვიდეს უსუსური ეპიგონის
როლში, გადაგვარდეს. ილიას იდეები, ხალხის მრავალსაუკუნოვანი
ცხოვრების, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური, კულტურული
განვითარების ისტორია, მდიდარი, ტრადიციები, როგორც მსოფლიოში
ბევრ ქვეყანას არ გააჩნია, ხალხის ინტელექტუალური, ზნეობრივი
პოტენციალი სავსებით იძლევა საშუალებას საქართველო მომავლისკენ
გაემართოს ნამდვილი ჰუმანური ცხოვრების, სოციალურ-ეკონომიკური
და სახელმწიფო მშენებლობის საკუთარი, თვითმყოფადი გზით,

რომელიც არ იქნება არავის კუდში ჩანჩალი, არამედ ბევრ დეტალისხვევისთვის საეტალონოც შეიძლება იყოს. ამ დასკვნას გვკარნახობს ილიასეული იდეები. ამასთან, საკმრისი არაა მათი დეკლარირება, არამედ აუცილებელია ცხოვრებაში გამოყენება.